



გულითადად მივესალმებით სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტრის მიერ დაარსებული ჟურნალის „მაყვლოვანის“, – გამოცემას. მოხარულნი ვიქებით, თუ მისი შემდგენელი შეძლებენ, მკითხველს გააცნონ საქართველოში დაცული სიწმინდენი, ბერ-მონაზენური ცხოვრების სიღრმე, აზრი და მნიშვნელობა, ის, თუ რა არის ჩვენი ეროვნული ფასეულობანი, როგორია ჩვენი ტრადიციები, ისტორია, ეთნოგრაფიული თავისებურებანი, ჩვენი ხალხური სიბრძნე.

ეს ყოველივე დიდად შეუწყობს ხელს ჩვენი საზოგადოების სულიერი და ინტელექტუალური დონის ამაღლებას და მათში ჭეშმარიტების გზით სვლის სურვილის გაღვივებას.

ღმერთმა და წმიდა ნინომ დალოცოს „მაყვლოვანის“ გამომცემულნი და მკითხველნი.

ღმერთმა დალოცოს სრულიად საქართველო.

სრულიად საქართველოს

კათოლიკოს-პატრიარქი

25 მაისი 2010 წელი

© ყველა საავტორო უფლება დაცულია. ჟურნალ „მაყვლოვანში“ გამოქვეყნებული ტექსტებისა და ფოტომასალის გამოყენება აკრძალულია რედაქციის ნებართვის გარეშე.

ISSN 1987-5207
შაპ (UDC) 27 + 271.2
გ – 407

	ს ს ა მ ე გ რ დ	მიმღების რეგისტრაციის №
	შ უ რ ე ბ ა ლ - გ ა ზ ე თ ე ა მ ს	3 (20)
	ს ა ხ ე ბ ი ა მ ი ს მ ა ს ა ხ უ რ ი	20.08.15.
	მ ი ნ ი ა დ ა რ ე გ ი ა ბ ი ს №	თ ა რ ი ა დ ა
	დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა : ქ უ ჩ ნ ს გ რ მ ა ზ ა რ კ ა რ ი	
	რ ე ც ე ნ ი ა ნ ტ ი ა : მ ი ნ ი მ ა ზ ა რ კ ა რ ი	

შინაარსი

შესხმა ყოვლადწმიდისა და ღვთივამაღლებულისა ღვთისმშობელისა.....	5
მთავარეპისკოპოსი სპირიდონი (აბულაძე) დედაეკლესიას არ უსმენენ.....	8
გიორგი მაჭარაშვილი ლიონის უნია და საქართველო.....	13
წმიდა მაქსიმე ბერძენი სომხური ბოროტმორწმუნეობის წინააღმდეგ.....	19
მდგდელმოწამე კირიონ II (სამაგლიშვილი) მართლმადიდებელი საქართველოს შიოგ მუსულმანებთან საუკუნეობრივი ბრძოლის ბოლო ეპიზოდი.....	24
ძალისაებრ აღვასრულებთ ღვთის ნებას (ინტერვიუ არქიმანდრიტ ლაზარესთან (გაგნიძე)).....	30
იღუმენიად კურთხევის 24 წლისთავი (ინტერვიუ იღუმენია ქეთევანთან (კოპალიანი)).....	34
შემოკლებული კანონი მონაზონებითისა ცხოვრებისანი (XIX ს.).....	40
ნანა ბურჭულაძე ზარზმის ღვთისმშობლის ხატის სახისმატყველებითი საზრისი.....	46
ეთერ უროტაძე საუფლისწულო დროშა.....	52
ქრონიკა.....	54

რედაქტორი:

მონოზონი ანა (ნიაური)

სარედაქციო კოლეგია:

არქიმანდრიტი ლაზარე (გაგნიძე)
იღუმენია ქეთევანი (კოპალიანი)

კომპიუტერული მომსახურება:

მონოზონი ბარბარე (იაკობაძე)

მისამართი: მცხეთის სამთავროს

წმიდა ნინოს დედათა მონასტერი.

მირიან მეფის ქუჩა N 3

ტელ: 593 76 31 87; 593 30 07 07

ელ.ფოსტა: samtavrosmonasteri@yahoo.com

ანგარიშის ნომერი: GE65BG0000000158107700



**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი,
უწმიდესი და უნეტარესი ილია II**

* * *

„....ამაზე მეტი სიმდიდრე არ არსებობს დედამიწაზე, რაც
არის მართლმადიდებელი ეკლესია! მართლმადიდებელი ეკლე-
სია რომ არ არსებობდეს და ქართველი ერი რომ არ იყოს
მართლმადიდებელი,— ქართველი ერი ვერ გადარჩებოდა!“

„....ჩვენ მადლობას ვწირავთ უფალს, რომ ლირსი გაგვხადა
ვიყოთ მართლმადიდებლები. მაგრამ... უპირველეს ყოვლისა,
ჩვენ უნდა გვწამდეს მართლმადიდებელი სარწმუნოება. ჩვენ
უნდა ვიცოდეთ, რა არის მართლმადიდებლობა...“

2006 წელი. საკვირაო ქადაგება

ყოვლადცმილისა და ღუთივამაღლებელისა ღვთისმამაბეჭისა

შესხმა

(გამოირჩია უფალმან სიონი და
სათნო იყო იგი სამკვიდრებელად თვისად)

გიხაროდენ, მარიამ უფლისა სათნო
სამკვიდრებელო.

გიხაროდენ, ანგელოზთაგან წმიდა-არ-
სობით საგალობელო.

გიხაროდენ, მამამთავართა წიაღთა გან-
სუენებულო.

გიხაროდენ, წინასწარმეტყუელთა მო-
სწავებისა სრულებაო.

გიხაროდენ, მოციქულთა ქადაგებისა
დამტკიცებაო.

გიხაროდენ, მოწამეთა აღსარებისა სარ-
წმუნოებაო.

გიხაროდენ, მღვდელმთავართა ხარისხ-
ით ხარისხად ამაღლებაო.

გიხაროდენ, მოღუაწეთა დიდებითი
დიდებად წარმატებაო.

გიხაროდენ, ყოველთა წმიდათა შუენიე-
რო სუფევაო და ბრწყინვალებაო.

ღუთივსულიერნო შვილნო ეკლესიი-
სანო, ვაქებდეთ და ვადიდებდეთ, აღუა-
მაღლებდეთ და უგალობდეთ, დედასა
ნათლისასა, რომელსა აქებენ ანგელოსნი
ცათანი და ადიდებენ ნათესავნი კაცთანი
და უგალობს მეფსალმუნე და იტყვის:
პირსა შენსა ლიტანიობდენ მდიდარნი ერ-
ისანი; წინაშე ჰეშმარიტად პირსა შენსა
ლიტანიობდენ ქალწულო, წმიდანი მოცი-
ქულნი მდიდარნი სათნოებითა და მრავალ-
თაცა განმამდიდრებელნი საკვირველუ-
ბითა. პირსა შენსა ლიტანიობენ, წმიდაო
მარიამ, მთავარანგელოსნი ერისა ძალნი
ნანდვილვე, მდიდარნი ბრწყინვალებითა
და ელუარებითა პირსა შენსა ლიტანიო-
ბენ. უწმიდესო დედოფალო, ქერუბიმნი
და სერაფიმნი მდიდრად მგალობელნი
ალლილუიათი და წმიდა არსობითა მი-
თა ყოვლად ტკბილითა და საწადელითა
დაღადებენ და იტყვიან:

გიხაროდენ, მარიამ ამაღლებულო ძისა
შენისათანა.

გიხაროდენ, კურთხეულო ქალწულო,
ღმერთი შენთანა.

გიხაროდენ, უპატიოსნესო ქერუბიმთაო.

გიხაროდენ, უზესთაესო სერაფიმთაო.

გიხაროდენ, საგალობელო ანგელოსთა-
გან.

გიხაროდენ, სახარულევანო მთავარან-
გელოსთაგან.


გიხაროდენ, უბრწყინვალესო მზისაო.

გიხაროდენ, უშუენიერესო მთოვარისაო.

გიხაროდენ, სასოო ყოველთა დაბადე-
ბულთაო, სულიერმყოფელო მკუდართაო
და განმამხიარულებელო ყოველთა ზეცი-
სა ძალთაო.

ჰა, მოყუარენო, ღუთისმშობელისანო
და პატივისმცემელნო დღესასწაულისა
მისისანო, გულითა წმიდითა უგალობ-
დეთ, კეთილითა საქმითა ვადიდებდეთ
და მოწყალებით გაბრწყინუებულნი ვიხ-
არებდეთ, კრებასა ღვთისმშობელისასა
და ამაღლებასა ღუთისა დედისასა და
გვირგვინოსნობასა ღუთივბრწყინვალისა
დედოფლისა ჩუენისასა, რამეთუ მის მიერ
იხარებენ ზეცისანი და ქუეყანისანი და
თვით იგიცა იხარებს ძისა თვისისათანა
და იტყვის: ადიდებს სული ჩემი უფალ-
სა და განიხარა სულმან ჩემმან ღუთისა
მიმართ მაცხოვრისა ჩემისა. – ჰე, ნანდ-
ვილვე, ჰეშმარიტად განიხარა სულმან
შენმან, მარადის ქალწულო მარიამ, სასუფ-
ეველსა.

ჰოი, საყუარელნო, უკეთუ ერთისა ცოდ-
ვილისა მოქცევასაზედა სიხარული იქმ-
ნების ცათა შინა წინაშე ანგელოსთა,
ხოლო ამან ღუთივსანატრელმან ქალ-
წულმან, მიზეზმან ყოველთა ცხოვრებისა-



მიძინება. 1380 წელი.
ხატმწერი თეოფანე ბერძენი

მან, რაოდენი ბევრის ბევრი, ათასეულნი აცხოვნნა და განამხიარულნა: ანგელოსნი და ანგელოსთა მეფე, ძეი თვისი სახიერებით შუენიერი დმერთი და აწცა რაოდენი ცოდვილნი მოიქცევიან მადლითა მისითა და სიხარული იქმნების ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა, რომელმან შეინანოს და ვითარცა მზისა შარავანდედი, გარდაფენილ არს კიდითგანვე კიდემდე სოფლისა. ეგრეთ ბრწყინავს სასწაულთა მისთა სიმრავლე, რომელთაგან ერთი მოგითხრა, რათა სიყუარული მისი უმეტესად აღეტყინოს ჩუქ შორის.

* * *

იყო ვინმე მგალობელი, ფრიად მშვიდი, მდაბალი გულითა, წრფელი სულითა და ძვირუხსენებელი ყოვლადვე, რომელსაცა დიდისა ტრფიალებით და მრავლისა სურვილითა, უყუარდა დვთისმშობელი ქა-

ლწული მარიამ და მარადლე უგალობდა სულით და გულით ყოვლადისა წადიერებითა. ხოლო ტკბილად ხმოვანებისათვის მისისა, მრავალი ქრისტე ანგენი შორით მოვიდოდეს და ისმენდეს საღმრთოსა წირვასა და ტკბილითა გალობითა მისითა ლმობიერ იქმნებოდენ და ადიდებდენ დმერთსა, რომელი ბრწყინუალითა ხმითა განაშუენებდა და შეამკობდა. დღესასწაულთა და კვირიაკეთა და იტყოდა რა: „დიორს არს ჭეშმარიტად, რათა გადიდებდეთ შენ დუთისმშობელო, რომელი მარადის სანატრელ იქმენ, ყოვლად უბიწოდ და დედად დმრთისა ჩუქისა. უპატიოსნესსა ქერუბიმთასა და აღმატებით უზეშთაესსა სერაბიმთასა, განუხრწნელად მშობელსა სიტყვისა დმრთისასა, მხოლოსა დმრთისმშობელსა გალობით გადიდებდეთ.“ – ცეცხლებრ აღეტკინებოდა გული მისი მარიამის სიყუარულითა,

რამეთუ უგალობდა იგი ტრფიალებითა სულისათა. და იყუნეს მისა ორნი ჰურიანი მეგობრად, დიდად უყუარდათ იგი სიმშვიდისათვის და სიწრფოებისა მისისათვის. გარნა განიხერხებოდენ შურითა, გალობისა მისისათვის, რამეთუ მრავალნი მოვიდოდენ დიდებად ქრისტესა და სიყუარულად დუთისმშობელისა. ვინათგან ვერ დაითმინეს მზაკუართა მათ, დდესა ერთსა განიყუანეს გარე ქალაქისა, რეცა სახითა მეგობრობისათა. ჰოი მე, მოაშთუეს მგალობელი იგი იდუმალ და დაუტევეს. ვპა, საკვირველებათა შენთა, დუთისმშობელო, მარიამ; რამეთუ მოიწია რა კვირიაკე კვალად უგალობდა იგი სასოსა თვისსა მარიამს, ჩუქულებისაებრ ხმითა ტკბილითა და საწადელითა და ვითარცა ესმათ ხმა მისი ჰურიათა მათ, განკვირდეს და გამორავიდა ეკლესიით, შეძრწუნებული ეტყოდეს:

— მოყუასო, ვითარ ცოცხალ იქმენ, რომელი ჩუენ მოგაშთუეთ? ხოლო მან მიუგო მხიარულითა პირითა: — უოვლადწმიდამან ღუთისმშობელმან განმაცოცხელა, რამეთუ მას მრავალი ესევითარი უქმნიესო, და მოუთხრობდა მრავალთა სასწაულთა და საკვირველებათა მისთა. მაშინ პრქუეს პურიათა, უკეთუ ეგე ძალუმს ღუთისმშობელსა მარიამს, რომელ მკუდართა განაცოცხლებს და სულსა აცხოვნებს, რადა ყენება არს ჩუენდა ნათლისდებად? და მათცა ნათელ იდეს, სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა და იქმნეს მართლმადიდებელ და ადიდებდეს ღუთისმშობელსა და მადლობით უგალობდეს სახელსა მისსა წმიდასა, რამეთუ მისძლით დაუტევეს საცოური ბნელისა და შეუდგას ნათელსა ჭეშმარიტებისასა, უფალსა ჩუენსა იესო ქრისტესა.

იხილეთ, საყუარელნო ღუთისანო, თუ ვითარი მოწყალე დედოფალი და უოვლისა შემძლებელი მეოხად გვივის უოვლად უბიწო ქალწული მარიამ. ამისთვის გლოცავ და გევედრები, პატივისმცემელნო ღუთისა დედისანო, შევიყუაროთ ჩუენცა ღუთივსასურველი დედოფალი და მოვიგოთ სიმშვიდე, სიმდაბლე, მოწყალება, სახიერება, სიყუარული და ლოცუა, წმიდა სულის სიყუარულით და გულის სიწმიდით უგალობდეთ ნამდვილ საყუარელსა ქალწულ მარიამს, მოციქულთა სიქადულსა და მახარებელთა სიხარულსა, შევსწირვიდეთ მსხუერპლსა ქებისასა და ნაყოფსა ბაგეთასა ესრეთ მეტყულნი:

გიხაროდენ, პეტრეს სარწმუნოებისა სიმტკიცეო.

გიხაროდენ, პავლეს სიბრძნისა მოძღუარებაო.

გიხაროდენ, იოანეს სიყუარულისა ტრფიალებაო.

გიხაროდენ, იაკობის მხერულე გულის მოსწრავებაო.

გიხაროდენ, ანდრიას სიმხნისა შემწეო.

გიხაროდენ, ბართლომეს ქუხილისა ქადაგებაო.

გიხაროდენ, სვიმეონის სუნნელებისა განვენაო.

გიხაროდენ, იაკობის მღუდელობისა წარმართებაო.

გიხაროდენ, მატოეს გონებისა სივრცისა განათლებაო.

გიხაროდენ, მარკოზის სიბრძნისა ძლიერებაო.

გიხაროდენ, ლუკას ხელოვნებისა გამომაჩინებელო.

გიხაროდენ, თომას სარწმუნოებისა გამომაცხადებელო და უოველთავე განმაშუენებელო ელვარებაო.

ჰოი, ღუთივბრწყინვალეო უოვლად დიდებულო ზეცისა და ქუეყანისა დედოფალო მარიამ, მოიხილე ჩუენ ზედა უოვლადტკბილითა მეოხებითა შენითა და მოგუმადლე კეთილმოქალაქეობით წარმატება, საონებით განათლება, ძისა შენისა საონოფა, მართლმადიდებლობით განბრწყინუება, ეკლესიათა განშუენება, მეფეთა განძლიერება, ერთა მშვიდობა და უოველთავე უვნებელობა; ხოლო უამსა სულისა ჩუენისა განსვლისასა, შეგუეწიე და მოგუეც ხელი წყალობისა და გვიხსენ ჩუენ ხელთაგან ჰაერის მცუელთასა და საშინელსა მას სამსჯავროსა მეოს გუეყავ წინაშე მართლმსაჯულისა ძისა შენისა და ღუთისა ჩუენისა, რათა ლირს ვიქმნეთ საუკუნოსა დიდებასა მისსა და ვხედვიდეთ დიდად შეუნიერებასა სიწმიდისა შენისასა, უგალობდეთ, ვადიდებდეთ და ვაკურთხევდეთ შენსა მადიდებელსა მამასა, შენსა აღმამაღლებელსა ძესა და შენსა გვირგვინოსანმყოფელსა სულსა წმიდასა, რომელსა ჰუკუნის უოველი დიდება, პატივი და თაყუანისცემა, აწდა მარადის და უკუნითი უკუნისამდე ამინ.

„სულისა დამატკბობელი მანანად ანუ შესხმანი ღვთივდიდებულთა წმიდათაოვის“

ტფ. 1904 წ.

MTAVAREPISKOPOSI SPIRIDONI (ABULAZE)

DEDA EKLESIAS AR USMENEN*

სახელითა მამისათა და ძისათა და
წმიდისა სულისათა!

ჩვენთან არს ღმერთი!

ღმერთმა დაგლოცოთ, გაგახაროთ.

დღეს მინდა კიევ-პეტორის მონასტრის
მდგომეში დავანებულ წმიდა მამებზე გა-
საუბროთ.

ცნობილია, რომ ეს ლავრა დაარსდა
1051 წელს. მიწის ქვეშ, დაახლოებით 15-
20 მეტრის სიღრმეში, რამოდენიმე კილო-
მეტრზე, ძალიან დიდი გვირაბების ქსელია,
სადაც თითქმის ათასი წლის მანძილზე
ბერების სენაკები იყო განთავსებული და
მათში მრავალი წმიდა მამა მოღვაწეობ-
და. ამ დიდი ასკეტი მამების უხრწესელი
სხეულები დღეს ლუსკუმებში განისვენე-
ბენ. ძალიან დიდია ამ მამების ღვაწლი,
რომელთა შორის ცნობილი რუსი გმირის,
შემდგომში ბერის, წმიდა ილია მურომე-
ცის წმიდა ნაწილებიც არის. კიევ-პეტორის
მამების ლოცვა შეგვეწიოს ჩვენ, ყველას.
ისინი უდიდესი მეოხნი არიან დათის წი-
ნაშე, მთელი მსოფლიოსთვის და პირველ
რიგში, რა თქმა უნდა, სლავებისთვის, რუსი
ხალხისთვის.

თქვენ იცით, რომ, ქრისტიანულ ცხოვრე-
ბას კიევში ანდრია მოციქულმა დაუდო სა-
თავე, რომელიც კავკასიოდან, კერძოდ, საქა-
რთველოდან წავიდა ჩრდილოეთით. მივიდა
და ჯვარი ადმართა იქ, სადაც დღეს კიევია
გაშენებული. ანდრია პირველწოდებულ-
მა იწინასწარმეტყველა, რომ იმ ადგილს
დაარსდებოდა დიდი ქალაქი და უამრავი
ეკლესია-მონასტერი გაშენდებოდა.

დაახლოებით, XI საუკუნეში, ყოვლად-
წმიდა დათისმშობელმა ბერები წარგზა-
ვნა კიევში, მონასტრის დასაარსებლად.
როგორც ცნობილია, კიევი არის ყოვ-

ლადწმიდა დათისმშობლის მესამე წილხ-
ვედრი ადგილი; როგორც იტყვიან, მესამე
ნავსაყუდელი. დმრთისმშობლის პირველი
წილხვედრი არის ივერია – სრულიად
საქართველო; მეორე წილხვედრ ადგი-
ლად ითვლება ათონის წმიდა მთა, რო-
მელიც მართლმადიდებლობის ბურჯია;
დათისმშობლის მესამე წილხვედრად კი
მიჩნეულია, როგორც უკვე ვთქვით, კიევ-
პეტორის ლავრა; ხოლო მეოთხე წილხვე-
დრი არის, წმიდა სერაფიმე საროველის
მიერ დაარსებული, დივეევოს დედათა
მონასტერი.

დღეს პეტორის მამების დღესასწაუ-
ლია. შევთხოვთ მათ, რომ სიმშვიდე იყოს
უკრაინის მხარეში. მოგეხსენებათ, რომ
რუსეთი დაიწყო კიევიდან. თავდაპირვე-
ლად კიევის რუსეთი იყო. სრულიად რუ-
სეთი ხერსონში, ყირიმში მოინათლა. შემ-
დეგ, როცა გამრავლდა და გაიშალა ერი,
ნაწილი ჩრდილოეთით განსახლდა, ზოგ-
იც ჩრდილო-დასავლეთით წავიდა. თავი-
დან იყო „კიევსკაია რუსკა,“ და შემდეგ
ნაწილდება: მოსკოვის რუსეთი, „ბელაია
რასია“ – ბელორუსია, „მალაია რასია“,
რომლებიც კიევის ოლქებად იწოდებოდა.
ეს ყოველთვის ერთი ხალხი, ერთი ერი
იყო და ამდენად, ძალიან გულსატკენია,
რომ მესამე ძალების წაქეზებით, დაპირი-
სპირებით, მართლმადიდებლების მტრების
მზაკვრობით, დღეს იქ ძმათა შორის სისხ-
ლი იღვრება. ვევედროთ უფალს, რომ კიევ-
პეტორის მამების ლოცვით, ეს განსაცდელი
განქარდეს.

წიგნში „რუსეთი მეორედ მოსვლის წინ“,
რომელიც დაახლოებით 30 წლის უკან
დაიწერა, სწორედ ის მოვლენებია განხი-
ლული, რომლებიც დღეს ხდება უკრაინა-
ში. წიგნში ნათქვამია, რომ კიევ-პეტორის
მამების ლოცვით, უფალი აუცილებლად

* სათაური შეარჩია რედაქციამ



ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების კიევ-პეჩორის ლავრა

გაამთლიანებს და გააერთიანებს რუსული ტომის სლავებს: უკრაინელებს, ბელორუსებს და რუსებს; და ეს იქნება ერთი ძლევი მართლმადიდებელი სახელმწიფო, რომელსაც ეყოლება მირონცხებული მეფე და მის წინაშე ანტიქრისტეც კი შედრკება. უნდა ვილოცოთ, უნდა ვევედროთ უფალს, რომ ეს ადსრულდეს.

სამწუხაროდ, დღეს უკრაინაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, გარკვეულ წრეებში არამართლმადიდებლური შეხედულებები ვრცელდება, რაც არასწორია და სამწუხარო. საგულისხმოა, რომ საქართველოშიც არის კუთხეები: კახეთი, ქართლი, სამეგრელო, სვანეთი, გურია, აჭარა და ა.შ. – ეს ერთი ხალხია, ერთი ერია – ქართველებია და საქართველოა; და განა შეიძლება რომელიმე მათგანმა განაცხადოს, რომ ის საქართველო არ არის და ცალკე სახელმწიფო ან ცალკე ეკლესია მოითხოვოს?! – ღმერთმა დაგვიფაროს, ჯვარი გვწერია! ეს ხომ მკრეხელობა იქნება?! ეს იქნება ბოროტმოქმედება ქართველი ერის წინაშე და პირველ რიგში, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის წინაშე; რადგან ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი საქართველოს მფარველი, პატრონი დედაა და დედოფალი. და ჩვენ, სრულიად

საქართველო, ერთიანი ვართ ღვთისმშობლის წინაშე – საქართველო ყოვლადწმიდა ქალწულ მარიამის წილხვედრია.

რა ვითარებაა დღეს უკრაინაში? ისტორიიდან ცნობილია, რომ სლავების ერთი ნაწილი, კერძოდ, პოლონელები, XVI-XVII სს. მიჯნაზე რომის პაპის მცდელობით გაკათოლიკა; ხოლო სლავების დანარჩენმა ნაწილმა: სერბებმა და რუსებმა მართლმადიდებლობას, სლავების განმანათლებლების, კირილესა და მეთოდეს სწავლებას, უფლის ჭეშმარიტ გზას, არ უდალატა. კათოლიკური სამყარო საუკუნეთა მანძილზე ცდილობდა, რომ მართლმადიდებელ სამყაროში იძულებით დაენერგა პაპიზმი ანუ კათოლიციზმი. ცნობილია მათი სისასტიკე, ისინი კლავდინენ და აწამებდნენ ადამიანებს. როდესაც კათოლიკებმა კონსტანტინეპოლი აიღეს და დაარბიეს სოფიას ტაძარი, ოქროს საკურთხეველი ნაწილ-ნაწილ დაჭრეს და გაყიდეს; ხოლო ტაძარში მეძავი დედაკაცები შერეკეს და დრეობა გამართეს. სასტიკად მოექცნენ ისინი ათონის წმიდა მთის ბერებს: ზოგრაფის მონასტრის ბერები ცეცხლში დაწვეს, ხოლო ივირონის მონასტერი დაარბიეს, ასეულიბით ქართველი ბერი გარეკეს, ნაწილი წყალში დაახრჩვეს

და ნაწილი სიცილიაში მონებად გაჰყიდეს. საყოველთაოდ ცნობილია ჯვაროსნული ომები, რომელიც არა მხოლოდ მუსულმანთა, არამედ მართლმადიდებელთა წინააღმდეგ იყო მიმართული. ჯვაროსნებმა, იერუსალიმი რომ აიღეს, ერთიანად ამოხოცეს მართლმადიდებელი ქრისტიანები. ასეთივე აგრესია გამოიჩინეს ლათინებმა მეორე მსოფლიო ომის დროს სერბიაში, როდესაც უშტაცებმა დააარსეს საკონცენტრაციო ბანაკები და მილიონზე მეტი სერბიაშიამებს...

ანალოგიური სიტუაციაა დღეს უკრაინაშიც, სადაც მიმდინარე დღევანდელ პროცესებს, წინ უძღვის კათოლიკების მიერ შუა საუკუნეებში (1596 წ.) შემოდებული უნიატური მოძრაობა, რომელიც ბრესტის უნიის სახელით არის ცნობილი და რომელმაც ცეცხლით და მახვილით გადაუარა მართლმადიდებელ მოსახლეობას დასავლეთ უკრაინაში, დასავლეთ ბელორუსიაში და საერთოდ, ამ ბუფერულ ზონას – ცენტრალურ ევროპაში, უფრო ცოტა ოდნავ აღმოსავლეთ ევროპაში. გადავხედოთ ისტორიას: უნიატები ცოცხლად მარხავდნენ ჭებში მართლმადიდებლებს, კევრში აბამდნენ მათ, შოლტით ცემდნენ და სულს ხდიდნენ; ამ საშინელი ტანჯვა-წამებით, იძულებულს ხდიდნენ მართლმადიდებლებს, რომ კათოლიკობა ან კათოლიკებთან უნია მიედოთ. და როგორც ჩვენში თურქმა მუსულმანებმა სასტიკი ძალადობით გაამუსულმანეს სამხრეთ საქართველო, ასევე ძალადობით ათქმევინეს სლავებს მართლმადიდებლობაზე უარი და უნია შემოიდეს. ხოლო უნია გულისხმობს პაპის უცდომელობის, მისი ერთპიროვნული ქრისტიანული მმართველობის, მათი მწვალებლური მოძღვრების, რჯულსგადამცდარი სარწმუნოების აღიარებას და მართლმადიდებლური რიტუალების მხოლოდ გარეგნული მხარის შესრულებას. უნიატები არ ცნობენ მართლმადიდებელ მდგდელმთავრებს, მათი წინამძღვარი მხოლოდ რომის პაპია.

ძალადობით რჯულსგადამხდარი ეს უნიატი სლავი ხალხი დაუპირისპირეს ისევ მართლმადიდებელ სლავებს. აი, აქედან იღებს სათავეს უკრაინაში დღეს მიმ-


დინარე პროცესები – მმათა შორის მკვლელობა და დაპირისპირება. ჩვენ ისიც კარგად უნდა ვიცოდეთ, მმებო და დებო, რომ 1946 წელს, როცა სტალინის ჯარები შევიდნენ ევროპაში, სტალინმა გააუქმა ბრესტის უნია და ათიათასობით უნიატური ტაძარი რუსეთის ეკლესიას დაუბრუნა; ხოლო გორბაჩოვმა, რომის პაპთან შეთანხმებით, ათიათასობით ტაძარი კვლავ უნიატებს გადასცა, და თითქმის 25 წელია, ეს უნიატური საკრებულოები ზრდიან თავის კათოლიკურ თემს, რომლებიც დაუპირისპირდნენ მართლმადიდებელ ხალხს.

კათოლიკების მცდელობით მოხდა უკრაინაში ეს ამბოხი და მმათამკვლელი ომი, რომლის ხელშემწყობი ევრო-ამერიკული სამყარო, ლათინ მწვალებელთა ის სამყარო, რომელიც ესწრაფვის, რომ მართლმადიდებელი ქვეყნები და ერთ-მანეთს დაუპირისპიროს; რომ გზადაკარგული უნიატები და მართლმადიდებლები ერთმანეთის სისხლს დვრიდნენ, ეს არის ის, რაც დღეს უკრაინაში ხდება. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ქრისტეს ვერავინ მოერევა, რომელმაც ბრძანა: „ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემი და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მასო“.

ეკლესიას ვერავინ მოერევა! დღეს ზოგიერთი ქართველი თუ არაქართველი ლანძღავს და აგინებს რუსეთს, ბელორუსიას, სრულიად მართლმადიდებელ სამყაროს. რა უნდა ითქვას? განა კათოლიკური და პროტესტანტული სამყაროს გამარჯვება უნდა სურდეს ქართველს და მართლმადიდებელთა დამხობა?! ისტორია გავიხსენოთ, რა მოგვიტანა ჩვენ, ქართველებს, ბიზანტიის დაცემაში? ბიზანტიია, მიუხედავად ყველაფრისა, ზურგი იყო მართლმადიდებლობისა. კონსტანტინეპოლი სულიერ-კულტურული ცენტრი იყო მართლმადიდებელი ახალგაზრდობისა; ხოლო როცა თურქების უკეთებელმა დასცეს ბიზანტია და მუსლიმებმა კონსტანტინეპოლი სტამბულად აქციეს, საქართველო მუსულმანურ ზღვაში კუნძულად აღმოჩნდა. ჩრდილოკავკასიელები და რწმენის და ერის მოდალატე დიდგვაროვნები

ქართველ გოგო-ბიჭებს მონებად ჰყიდვენ
ბათუმისა და სტამბულის ბაზარზე; მაშინ
დაიწყო მამელუქობა და ათიათასობით ქა-
რთველი მამელუქი იბრძოდა თურქეთისა
და ეგვიპტის მამელუქთა არმიაში...

მართალია ბიზანტიის იმპერიას საქა-
რთველოსთვის მრავალი პოლიტიკურ-
კულტურული ჭრილობა მიუყენებია, ის-



კიუვ-პეჩორის ლავრის მდგიმები

ევე როგორც რუსეთის იმპერიას, მაგრამ ერთიცა და მეორეც ჩვენი პოლიტიკური, სულიერ-კულტურული ზურგი იყო მუდამ; და ბიზანტიელების დახოქების და დაცემის შედეგად, საქართველო დაიყო სამ სამეფოდ და სამთავროებად. ქართველებს ამუსულმანებდნენ და თურქეთში ჰყიდვენ მონებად. ნუთუ ვერ ვხვდებით, რომ დღე-
საც ასე ხდება და კიდევ უარესიც მოხ-
დება? ნუთუ ცნება სამშობლო, რჯული
და ზნეობა ესერიგად უცხოა თქვენთვის?!
ნუთუ მართლაცდა ზომბირებულია ჩვენი
ხალხი?! დირსმა მამა გაბრიელმა პირვე-
ლი მაისის დემონსტრაციაზე შეჩვენებუ-
ლი ლენინის 12 – მეტრიანი სურათი რომ
დაწვა, იცით, ვინ ცემა მაშინ მამა გაბრი-
ელი?! – ქართველმა დემონსტრაციებმა, 37

ჭრილობა მიაყენეს მაშინ ღირს მამას და კლავდინენ; მამა გაბრიელი ყვებოდა, „სად-
ამსჯელო მე-8 პოლკი გამოიძახეს და იმ
პოლკმა გადამარჩინა, გამომგლიჯა ხალხს ხელიდანო.“ მაშინაც გადაგარებული ქა-
რთველები აწამებდნენ მამა გაბრიელს. მაშინ კომუნიზმით გონდაბნელებული ქა-
რთველები და დღეს დასავლეთით, ევრო-
ამერიკული ფასეულობებით აუიტირებუ-
ლი ქართველები ებრძვიან ქართულ სულს, მამულს, ენას, სარწმუნოებას. სამწუხაროდ
ასეა გადაგარებული დღეს ჩვენი ხალხი...

დიდება და მადლობა უფალს! დიდება
და მადლობა! და ჩვენ გვჯერა და გვწამს,
რომ წმიდა მამათა ლოცვით, ჩვენი დიდი
წმიდანების ლოცვით, დავით აღმაშენებე-
ლის, თამარ მეფის, ჩვენი დიდი ათცამეტი
ასურელი მამების ლოცვით, გრიგოლ ხან-
ძოცელის და ტაო-კლარჯეთის მამების
ლოცვით, ჩვენი დიდი ბერების ლოცვით,
6 ათასი გარეჯელი ბერის ლოცვით და
ასი ათასი ქართველი წმიდანის ლოცვით,
რომელებიც თბილისში ეწამნენ და მრავა-
ლი ათასი, აჭარაში მოკლული წმიდანების
ლოცვით – ქართველ ხალხს უფალი და-
იცავს! მაგრამ ჩვენ ხომ უნდა ვიყოთ ფხი-
ზლად?! და სანამ გონიერ არ მოვალო, მანამ
ყოველთვის გაჭირვება გვექნება. ფსალმუ-
ნი იცივის: „ჭიმითა და აღვირითა უქციერ,
რომელი შენ არა მოგეახლნესო“ – მაინც-
დამაინც აღვირი უნდა მოგვდოს უფალმა
და მათრახი გადაგვიჭიროს, რომ ჭკუაზე
მოვიდეთ?! მანდამაინც დვთის რისხვა
უნდა მოიწიოს ჩვენზე, გარყვნილების იმ
პროპაგანდისთვის, რომელსაც დღეს საქა-
რთველოს ტელევიზია ეწევა?!

ვავედროთ უფალს, რომ მოგვანიჭოს სუ-
ლიერი განსჯა, მოგვცეს გული გონიერი:
„გული წმიდაი დაბადე ჩემთანა დმეროო და
სული წრფელი განმიახლე გვამსა ჩემსაო“.
გავიხსნოთ, რა სთხოვა სოლომონ მეფე
უფალს, სოლომონმა – დავით მეფის, წი-
ნასწარმეტყელის შვილმა ითხოვა: გული
გონიერი მომეცი უფალოო, რომ გავარჩიო
ბოროტი კეთილისგანო. და დღეს სწორედ
ამის ვეღრება გვმართებს წინაშე უფლისა.

რადგან დღეს ყოველგვარი ზნედაცემულობა და გათახსირება აღმატებულად მიიჩნევა, ხოლო ყოველი სულიერ-ზნეობრივი, მართლმადიდებლური აზრი – სიმდაბლედ, უმეცრებად, უმცირესობის შეურაცხყოფად. რა პქვია ამას?! – რა თქმა უნდა, ეს დიდ ხანს არ გაგრძელდება, რადგან უფალი არა მარტო მოწყალეა, არამედ სამართლიანია. ღმერთი მხოლოდ სამართლიანი რომ იყოს, დედამიწაზე ცოცხალი არცერთი ჩვენგანი აღარ ვიქნებოდით, იმიტომ რომ ცოდვის შედეგი სიკვდილია. მოწყალეა უფალი პირველყოვლისა და ამიტომ გვითმენს ამდენს, მაგრამ უფლის მოწყალებასაც აქვს საზღვარი; როცა აიგსება პირამდე ღვთის მოწყალების ფიალა, მაშინ სამართალი სასჯელი მოიწევა დედამიწაზე. და ნუ გავაკეთებთ ისე, რომ რისხვა ღვთისა აინოს ჩვენზედ.

დოოზე შემოვბრუნდეთ, ქართველო ხალხო. ჩვენ, ქართველები, პირველი საუკუნიდან მართლმადიდებლები ვართ; ჩვენ დავით აღმაშენებლის და თამარ მეფის შვილები ვართ. გავიხსენოთ, თამარ მეფემ როგორ მიმართა საეკლესიო კრებას, მეფედ კურთხევის ჟამს:

თქვენ კანონმდებლები ხართ, მე კი შემსრულებელი ვარო; ამიტომ, როგორც თქვენ მეტყვით, ზუსტად ისე შევასრულებო ყოველს; ღმერთმა ხმალი წელზე იმიტომ შემარტყა, როგორც საეკლესიო კრება მეტყვის ანუ წმიდა სინოდი, ისე აღვასრულებო. – და რას ვხედავთ ჩვენ დღეს? ჩვენი პოლიტიკოსები გამოდიან და ასეთ მკრეხელობას ამბობენ: ბიბლიით ქვეყნის მართვა ბოროტება არისო. – ამაზე მეტი ბოროტმოქმედება და ჰკუასუსტობა იქნება?! ღმერთმა შექმნა სამყარო და ღმერთმა უკაეთესად არ იცის, სამყარო და ქვეყნები?! ღმერთის ხელშია ყველაფერი: „უფლისაა ქვეყანა და სავსება მისი, სოფელი და ყოველი დამკვიდრებული მას შინა“; უფლის წინაშეა ყველაფერი, წარსული, მომავალი და ახლანდელი. უფალმა განა ჩვენზე მეტად არ იცის, რა მოხდება და როგორ იქნება მომავალში?! შენზე უკაეთესად არ იცის, ადამიანო?

როცა საქართველო ღვთის ნებით მიღიოდა, ყოველთვის წარმატებული იყო; ბეჭრი იმასაც ამბობს, პოლიტიკის ზნეობაში არევა არ შეიძლებაო. მაგრამ, ვნახოთ რას ამბობს უფალი: „უფალმა ძალი ერსა თვისსა მოსცეს, უფალმა აკურთხოს ერი თვისი მშვიდობით!“ ანუ თუ უფლისანი ვიქნებით, უფალი მოგვცემს მშვიდობას და კეთილდღეობას, და თუ არა – გვექნება ომი და განსაცდელები. ბიბლიიდან განა არ ვიცით, რომ ყველაფერი, რაც კი ისრაელს შეემთხვა – მათი უზნეობის ბრალი იყო, – ამას ამბობდა იერემია წინასწარმეტყველი, ამასვე ამბობდა იეზეკია, და შენ ვინ ხარ ადამიანო, უკუდმა რომ ლაპარაკობ?! – ანტიქრისტიანი ხარ – სხვა არავინ. ჩვენი უბედურებაც ეს არის, რომ ქვეყნის სადავეები უდმერთო ადამიანების ხელშია. ამიტომ ვისჯებით, სისხლი გვდის, გაიყიდა ჩვენი მიწები; დავრჩით ორი მილიონი; გავიდა ყველა საქართველოდან. ეს იმიტომ, რომ ანტიქრისტიანულად ვცხოვრობთ და არ ვუსმენ იმას, ვინც საღვთო სჯულს ქადაგებს საქართველოში, ვინც წმიდა წერილს ქადაგებს – პატრიარქს არ უსმენ, დედა ეკლესიას არ უსმენ და იმიტომ ვართ ასეთ განსაცდელში!

დიდება და მადლობა უფალს, ყველაფრისათვის! გამოვხილდება ჩვენი ხალხი. ღმერთმა იცის, ვინც ცდება დდებს; დაგუფალმა მოიყვანოს ყველა შეცდომილი ეპლესიაში და სწორ გზაზე დაყენოს.

დაგლოცოთ ღმერთმა, გაგახაროთ და კიევ-პეჩორის წმიდა მამების ლოცვით, წმიდა ქართველი მამების ლოცვით, წმიდა ბერძენი მამების ლოცვით, ღმერთმა აღადგინოს დიდი ივერია და გვიკურთხოს ტახტი წმიდა დავით წინასწარმეტყველისა საქართველოში – ბაგრატიონების ტახტი აღადგინოს და გაამთლიანოს უფალმა საქართველო ნიკოფისიდან დარუბანდამდე. ღმერთმა დაგლოცოთ და გაგახაროთ!

ქადაგება კიევ-პეჩორის მღვიმეში დავანებულ მამათა ხევნების დღეს
08.03.2015

LIONIS UNIA DA SAQARTVELO

საკითხი, რომლის გამორკვევასაც ამჯერად ვისახავთ მიზნად, ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე შეუსწავლელია.¹

ისტორიიდან ცნობილია, რომ დიდი სქიზმის შემდეგ საეკლესიო უნიის მრავალ მცდელობას ჰქონდა ადგილი [2]. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მხოლოდ რამდენიმე მათგანის განხორციელება მოხერხდა. დიდი სქიზმის შემდეგ პირველად სწორედ ლიონის 1274 წლის კრებაზე მოხერხდა საეკლესიო უნიის გაფორმება პაპისტებსა და მართლმადიდებლებს შორის.

ლიონის 1274 წლის კრება გაიხსნა 7 მაისს. სულ რამდენიმე სხდომა გაიმართა და კრებამ 17 ივლისს უკვე მუშაობა დაასრულა [3]. კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ ანტიოქიისა და კონსტანტინეპოლის ლათინი პატრიარქები, თხუთმეტი კარდინალი, ხუთასი ეპისკოპოსი, სამოცი აბატი და ათასზე მეტი პრელატი [4]. კრებას მეთაურობდა რომის პაპი გრიგოლ X [3]. მის სხდომებს, საფრანგეთისა და ინგლისის მეფეთა ელჩების გარდა, ესწრებოდნენ ბიზანტიის იმპერატორ მიხეილ VIII პალეოლოგისა და ბერძენ სასულიეროთა სამი წარმომადგენელი, ასევე მონღოლთა ყაენის დელუგაცია [3].

პალეოლოგის ელჩებმა კრებაზე წარადგინეს მრავალი ბერძენი ეპისკოპოსის მიერ ხელმოწერილი სინოდალური დოკუმენტი,² რომლის საფუძველზეც

უნია გაფორმდა კრების მეოთხე სხდომაზე, ხოლო მეექვე სხდომაზე ბერძნებმა უკვე ფილიოკავეც აღიარეს [4]. კრების დასრულების შემდეგ, რომის პაპმა მიხეილ პალეოლოგის ელჩები მდიდრული საჩუქრებით ხელდამშვენებულნი დაბრუნა კონსტანტინეპოლიში.

უნიამ დიდი მდელგარებები გამოიწვია აღმოსავლეთში. მიღწეული შეთანხმება ფაქტობრივად ქადალდზე დარჩა, რადგან მართლმადიდებელ სასულიეროთა და მრევლის უდიდესმა უმრავლესობამ, თვით მიხეილ პალეოლოგის იმპერიაშიც კი, არ მიიღო იგი. „უმჯობესი იქნება, რომ თუნდაც ჩემი მმის იმპერია დაიღუპოს, ვიდრე მართლმადიდებელი სარწმუნოება“, - ეს სიტყვები, რომლებიც მიხეილ პალეოლოგის დაიძლ დას მიეწერება [5], ნათლად ასახავს, რაოდენ რადიკალურ წინააღმდეგობას წააწყდნენ უნიატები მართლმადიდებელთა მხრიდან. არადა იმპერატორს უნია ჰაერივით სჭირდებოდა.³ სწორედ ამიტომ დაიწყო მიხეილ პალეოლოგმა რეპრესიების გატარება. იგი სასტიკად უსწორდებოდა ყველას, ვინც უნიას ეწინააღმდეგებოდა, თვით საკუთარ ახლობლებსაც კი. დაიწყო უნიის წინააღმდეგომელთა გადასახლებანი და მათი ქონების კონფისკაცია. საპყრობილები გაივსო მართლმადიდებელი ტუსაღებით, ხდებოდა მათი საჯარო წამება და დამცირება. უნიის არშემწყნარებლებს, როგორც იმპერატორის (ანუ ქვეყნის) მოღა-

1. არსებობს ცალკეული პუბლიკაციები ფერარაფლორენციის კრების მუშაობაში საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლების მონაწილეობის შესახებ, რასაც ვერ ვიტყვით ლიონის 1274 წლის კრების შესახებ. მოცემულ საკითხს შეეხო ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი მურმან პაპაშვილი [1]. მაგრამ, სამწუხაროდ, პატივცემული ავტორი ვერაფერს ხელშესახებს ვერ გვეუბნება.

2. „The letter Paleologus which they presented had been written in the name of fifty archbishops and five hundred bishops or synods“ [3].

3. მიხეილ პალეოლოგის მდგომარეობა მეტად არამყარი იყო. ქვეყანა იდგა რეალური საგარეო საფრთხის წინაშე. ლათინთა იმპერიის დამხობისა და კონსტანტინეპოლის განთავისუფლების შემდეგ, ჯვაროსანთა ახალი გამანადგურებელი შემოსევის თავიდან ასაცილებლად, იმპერატორს უნია მართლაც ჰაერივით სჭირდებოდა. პალეოლოგი ასეთ ვითარებაში ჰგავდა ჩასაძირად განწირული ხომალდის კაპიტანს, რომელიც ყველაფერ ზედმეტს ზღვაში ჰყრის. იმპერატორ მიხეილ პალეოლოგისთვის ასეთი ზედმეტი ტვირთი იყო მართლმადიდებელი სარწმუნოება.

ლატებს, სჯიდნენ თვალების დათხრით, მკლავების მოკვეთით, ცხეირის მოჭრითა და სხვადასხვაგვარი სასჯელებით [6:664]. განსაკუთრებით სასტიკად იდევნებოდნენ სასულიერო პირები.

ცნობილია, რომ მიხეილ პალეოლოგის-გან ლტოლვილმა უნიის მოწინააღმდეგე მართლმადიდებლებმა ამ დროს სხვა ქვეყნებთან ერთად საქართველოშიც პპოვეს თავშესაფარი (კერძოდ დავით ნარინის სამფლობელოში) [7:121]. როგორც ჩანს საქართველოს ეკლესია უნიას არ თანაუგრძნობდა. ნაკლებად დასაჯერებელია, რომ უნიას გამოქცეულებს უნიატური საქართველოსთვის შემოეფარებინათ თავი.⁴

ის, რომ ქართველები ემიჯნებოდნენ უნიას, ცხადად ჩანს კიდევ ერთი ისტორიული ფაქტიდან: მოცემულ პერიოდში ქართველები დიდად ედგნენ მხარში იერუსალიმის ბერძნულ საპატრიარქოს.⁵

4. ნიკიფორე გრიგორას ცნობა იმის შესახებ, რომ უნიის წინააღმდეგომედმა ბერძნებმა საქართველოს შემოაფარეს თავი, სიმონ ყაუხებიშვილმა თარგმანა ქართულად და გამოსცა სათაურით: „კოლხეთი - მართლმადიდებელთა ქვეყანა“ [8:133].

5. ეს ჩანს იერუსალიმის საპატრიარქოს ოფიციალური ანგარიშიდან, რომელიც მოიცავს 1200-1308 წლებს: „ქართველები... დიდად დაეხმარნენ ბერძნულ საპატრიარქოს, რისთვისაც ბერძნებმა ჯერ წმიდა ნიკოლოზის მონასტერი უბოძეს, მოგვიანებით კი – ჯვრის მონასტერი. ვინაიდან ქართველები ძალზე ბევრი იყვნენ, ჩვენგან მიიღეს წმიდა იაკობის, წმიდა იოანე ლვის სმერბეგალის, წმიდა თევდორეს, წმიდა დემეტრეს, წმიდა ოქტას, წმიდა ეპატერინეს მონასტერები, ხოლო 1308 წელს – გოლგოთა“ [9:36]. ეს ღოკუმენტი ცხადყოფს, რომ უნიას პერიოდში ქართველები მხარში ედგნენ იერუსალიმის ბერძნულ საპატრიარქოს, ანუ იერუსალიმის მართლმადიდებელ პატრიარქებს. თანაც ამგვარი დამოკიდებულება იყო მეტად მყარი (როგორც ღოკუმენტიდან ჩანს, მთელი ასწლეულის მანძილზე დასტურდება). სწორედ ამის გამო ბერძნული საპატრიარქო ქართველებს უფრო და უფრო მეტ სავანებს გადმოსცემდა. ამგვარად, იერუსალიმის ბერძნული (მართლმადიდებელი) საპატრიარქოსა და ქართველების მოკავშირეობა ლიონის უნიის წლებში უდავო ფაქტია. ეს კი თავისთვად მიანიშნებს ქართველთა ანტიუნიატობაზე, რადგან ერთორწმუნები ვიყავით და ბერძნები, მიუხედავად ამისა, მაინც გვართმევდნენ ხოლმე სავანებს, ხოლო უნიატები რომ კუოფილიყავით, მაშინ თავისი ნებით გადმოგვცემდნენ იერუსალიმის მონასტრებს?

ხოლო თავის მხრივ იერუსალიმის ბერძენ პატრიარქებს, ჯვაროსნების დროიდან მოკიდებული, მეტად მწვავე დაპირისპირება ჰქონდათ ლათინებთან. ცნობილია ისიც, რომ მიხეილ პალეოლოგის თანამედროვე, იერუსალიმის მართლმადიდებელი პატრიარქი გრიგოლი, ანტიუნიატურ პოლიტიკურ მოლაპარაკებებშიც კი იყო ჩართული [6:651].⁶ ამგვარად, ეს ორი ფაქტი, – უნიის მოწინააღმდეგეთა შემოკედლება საქართველოში და იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოსადმი ქართველთა მხარში დგომა, – მიანიშნებს იმაზე, რომ ქართველები უნიას არ თანაუგრძნობდნენ.

უფრო მეტიც, ქართველთა ანტიუნიატობის შესახებ პირდაპირი ცნობაც მოგვეპოვება. მხედველობაში გვაქვს ათონის ივერთა მონასტრის დარბევა პაპისტების მიერ, რაც სწორედ იმით იყო გამოწვეული, რომ ქართველებმა უნია არ შეიწყნარეს.


მიუხედავად იმისა, რომ იმპერატორ მიხეილ VIII პალეოლოგს ათონის ივერთა მონასტრის წინაშე პირადი დამსახურება ჰქონდა (1259 წელს მან ოქრობეჭდით დამტკიცებული შეწირულობის სიგელი უბოძა ივირონს), ათონელი ქართველების მიმართ მისი ამ დამსახურების მიუხედავად, ათონისა და ულუმბოს სხვა მონასტრებთან ერთად, როგორც ჩანს, ივირონმაც მიიღო მონაწილეობა 1278 წელს მოწვეული ანტიუნიატური საეკლესიო კრების მუშაობაში. ადნიშნულმა კრებამ უნიის გამო შეაჩვენა იმპერატორი მიხეილ პალეოლოგი, კონსტანტინეპოლის უნიატი პატრიარქი იოანე XI ვეკი, რომის პაპი და მათთან ერთად ყველა უნიატი [6:651].⁸

6. და ეს ხელმისამართი იმის მიუხედავად, რომ მიხეილ პალეოლოგი რომის პაპს იერუსალიმისა და ანტიოქიის საპატრიარქოების გაუნიატებასაც დაპირდა [6:630].

7. ადნიშნული სიგელის ბერძნული ტექსტის ქართული თარგმანი გამოსცა სიმონ ყაუხებიშვილმა [10:130-132]. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ზეობის დასაწყისში უკანონო იმპერატორი მიხეილ პალეოლოგი გამოირჩეოდა თავისი „უშურველი“ შეწირულობებით ეკლესიისადმი და ზეპური ერისადმი, რათა მათი მსარდაჭერა მოგოვებინა.

8. სამწუხაროდ უცნობია, თუ ვინ იყო ამ დროს ივირონის წინამდგარი [11:112, 125]. ჩვენ ვერც ამ

ამ კრების შემდეგ და სწორედ მის გამო, 1280 წელს,⁹ მიხეილ პალეოლოგმა პაპისტებს სასტიკად დაარბევინა ათონის წმიდა მთა და ივერთა მონასტერი. სწორედ ამ ინკვიზიტორული დარბევის დროს გაიტაცეს ივირონიდან ათონელი ქართველი მამების წმიდა ცხედრები და გადაკარგეს დასავლეთში. აი, რას გვაუწყებს ამის თაობაზე იოანე, ექვთიმე და გიორგი



ივირონელ დირსმოწამეთა მარტვილობა

ათონელების ბერძნული ცხოვრება: „გადმოცემით კი ცნობილია და სინამდვილესაც უნდა შეეფერებოდეს, რომ, როცა აქ,

ანტიუნიატური კრების განჩინებაზე მიგვიწვდება ხელი, სადსაც, შესაძლოა, იყოს დაფიქსირებული ივირონის იმქამინდელი წინამდვრის სახელი.

9. განსხვავებულად ათარიღებს ამ მოვლენას მ. კახაძე: „1285 წ. ათონის მონასტერებს თავს დაესხენ **<<ფრანკები>>** და მოითხოვეს ქართველებისგან რომის პაპის უფლება-მოსილების აღიარება და კათოლიკობის მიღება. მიხეილ პალეოლოგმა ათონელებს მოსთხოვა რომთან უნია და როცა მიზანს ვერ მაღწია, რამდენიმე წლის განმავლობაში სულ გაანადგურა მათი მონასტერი“ [12:87].

მთაწმინდაზე, კათოლიკები მოვიდნენ, მეფე მიქაელისა და პატრიარქის (იგულისხმება იოანე ვეკი - გ.მ.) თანხმობით, მათ ივერიის მონასტრის წმიდა მამები ზღვაში დაახრჩეს, რადგან პაპის წარგზავნილები არ მიიღეს და არ ისურვეს ხელი მოეწერათ ლათინთა დადგენილებებისთვის.

„წმიდა ეფთვიმეს ნაწილთა ჩასასვენებელიც, ისევე როგორც იოანესი და გიორგისა, გაიტაცეს სხვა საეკლესიო განძთან ერთად და მონასტერი ცარიელი დატოვე“ [13:143].

აღნიშნულის შესახებ ივერთა მონასტრის ქრონიკაც იუწყება.¹⁰ მასში ვკითხულობთ, რომ ივირონი „მოოხებასა შეეყნა სრულად, ვთარცა ძუელ წინა პირობითთა ოქრობეჭდოვანთა სიგელთა შინა ვისწავებით“. მასში აღნიშნულია, რომ მიხეილ პალეოლოგის დროს „საფრანგეთით მომავალი ავაზაკებრ ზემოთქუმულსა მონასტერსა ზედა დაესხენ და მოაოხეს და თუ ითქმის, უმკვიდროდ და იავარყოფილად დაუტევეს... მონაზონნი უკუ ვიეთნიმე მოაშთვეს და სიკუდილისა საქმე უყვეს, ხოლო სხუანი დევნენეს და მეოტყვენეს, რომლისა მიერ ყოველივე მდგომარეობა მონასტრისა უაჟქცეულ იქნა“ [14:82].¹¹

10. ქრონიკის სათაურია: „მოოხება უმშვენიერესი მონასტრისათვის ივერთასა, რომლისა თანამდებარისად ყოველი მონაზონნი“. იგი XVII-XVIII საუკუნეებში ითარგმნა ბერძნულიდან ქართულად [14:73-75].

11. ივერთა მონასტრის ქრონიკაში ეს ამბავი მცდარად არის დათარიღებული 1259 (ჩსნო) წლით. ამასთან დაბავშირებით კორნელი კეკელიძე შემდეგი სახის კომენტარს დაურთავს მოცემულ ძეგლს: „1280 წელს მიხეილის ხებართვით ლათინები შეესიენ ათონს და მოითხოვეს ბერძნისაგან უნიის მიღება. ბერძნთა მონასტერები თითქმის ყველა იძულებული იყო დათანხმებულიყო, ივერთა მონასტრის ბერებმა კი უარი განაცხადეს, რისთვისაც მათ თავს დაატყვა ის საშინელება, რაც ჩვენს ქრონიკაშია გადმოცემული. ამ მონასტერების ბერძნი, რომლებიც ხოცვა-ულეტას გადაურჩნენ, გავეკე თო ნაწილად, ქართველები გარეკეს იტალიაში, ხოლო სხვები ზღვაში დაახრჩეს“ [14:77]. ინგლისურენოვან თხლან ენციკლოპედიაში (OrthodoxWiki) ათონის ზოგრაფის მონასტრის ბერძნის წამქების თარიღად 1282 წლის 10 ოქტომბერია დასახელებული (იხ. სტატია: Zographou martyrs). როგორც ცნობილია, ზოგრაფისა და ივირონის

მაგრამ, რაც არ უნდა გასაოცარი იყოს, მიხეილ თამარაშვილი, თვით ამ საშინელ ფაქტშიც კი საქართველოს ეკლესიასა და რომს შორის არსებულ დაურღვეველ ერთობას ხედავს. რადგან, მისი აზრით, თუკი იმასაც გავითვალისწინებო, რომ „ივერიის მონასტრიდგან რომას წაუდიათ წმიდა მამათ იოვანესი, ეფთვიმესი და გიორგის გვამნი, – მაშინ ცხადად დავრწმუნდებით, რომ მეცამეტე საუკუნეში ისევ ყოფილა ერთობა ლათინთა და ქართველთა შორის. ეს გარემოება, ჩვენის აზრით, სხვაფრივ ვერ აიხსნება“ – წერს იგი[15:23].

საყურადღებოა, რომ ივერთა მონასტრის აკლებას დასავლელთა მიერ ადგილი ჰქონდა მაშინ, როცა საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარი იყო უწმიდესი ნიკოლოზი. უფრო კონკრეტულად, ეს მოხდა მისი პატრიარქობის ბოლოსთვის.¹² და სწორედ ამ დროს, უწმიდესი ნიკოლოზის მწყემსმთავრობის დასასრულს, როგორც ამას უამთაადმწერელი გვაუწყებს, ათონის მთიდან, ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის გამოცხადებით, საგანგებოდ ჩამობრძანდა საქართველოში ევფემიოს კათალიკოსის ბიძა – ბასილი მონაზონი,¹³ რათა ემსილებინა იმ დროს ქართველთა შორის გავრცელებული სხვადასხვაგვარი ცოდვები. მან თვით საქართველოს მეფის წინააღმდეგაც კი აიმაღლა ხმა. ხოლო ამ დროს საქართველოს უნიატური კავშირი რომ ჰქონოდა რომთან დამყარებული, განაამის შესახებ ხმას არ ამოიღებდა ათონის მთიდან (ანუ ანტიუნიატური ციტადელიდან) სამშობლოში ჩამოსული თავისი პირუთვნელი მამხილებლობით სახელგანთქმული ბასილი მონაზონი?

უფრო მეტიც, ჩვენ დანამდვილებით

დარბევა თანადროულად მოხდა.

12. უწმიდესი ნიკოლოზის პატრიარქობიდან გადადგომის თარიღთან დაკავშირებით გარკვეული აზროსახვაობა არსებობს. დასახელებულია 1280 [16:59] და 1282 წლები [17:675; 18:177]. ოუმცა, უნდა ითქვას, რომ ამ კონკრეტულ საკითხს ჩვენთვის ამჯერად არსებითი მნიშვნელობა არ გააჩნია.

13. უამთააღმწერელი გადმოგვცემს, რომ როდესაც უწმიდესი ნიკოლოზი გადადგა, სწორედ მაშინ „მათ უამთა შინა მოიწია მთაწმიდით ბასილი მონაზონი“ [17:285-286; 19:515-516; 20:173-174].

ვიცით, რომ ზემოხსენებული პატრიარქი ნიკოლოზი, უნიატებისგან განსხვავებით, არც ლიონის 1274 წლის კრებას აღიარებდა მადლმოსილ მსოფლიო საეკლესიო კრებად და, შესაბამისად, არც ამ კრებაზე გაფორმებულ უნიას სცნობდა [21:42]. ამას მოწმობს „დაწერილი ნიკოლაოზ ქართლის კათალიკოზისა არვანბეგ საბასძისადმი“ - საკანონმდებლო აქტი, რომელიც შედგენილია უწმიდესი ნიკოლოზის მიერ 1281/2 წელს [18:178].

აღნიშნული საკანონმდებლო ძეგლი ჩვენთვის ფასდაუდებელ წყაროს წარმოადგენს, რადგან იგი შედგენილია მანამდე, ვიდრე მოხდებოდა უნიის ანულირება. თანაც შედგენილია სწორედ იმ ქართველი პატრიარქის მიერ, რომლის მწყემსმთავრობის დროსაც გაფორმდა ლიონის უნია. ასე რომ, საქართველოს ეკლესია რომთან უნიით რომ ყოფილიყო დაკავშირებული, მაშინ ეს უსათუოდ აისახებოდა მოცემულ ძეგლში. მაგრამ პატრიარქ ნიკოლოზის მიერ გაცემულ საბუთში უნიის ნატამალიც კი არ ჩანს. საქმე იმაშია, რომ მასში მოიხსენიება მხოლოდ შვიდი მსოფლიო საეკლესიო კრება [18:178], რომელთა მადლმოსილებასაც აღიარებდა და დღესაც აღიარებს საქართველოს ეკლესია; ხოლო საქართველო უნიატური რომ ყოფილიყო, მაშინ მოცემულ ძეგლში შვიდის ნაცვლად ცამეტი მსოფლიო კრება უნდა მოიხსენიებოდეს, რადგან ლიონის 1274 წლის კრება პაპისტებისა და მათთან გაერთიანებული უნიატების მიერ მეცამეტე მსოფლიო კრებად იქნა ცნობილი [3].

ამგვარად, საგსებით გულდანდობილად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ საქართველოს პატრიარქი უწმიდესი ნიკოლოზი ემიჯნებოდა უნიას და რომის პაპისგან თავი შორს ეჭირა. უამთააღმწერელი აღნიშნავს კიდეც მისი დახასიათებისას, რომ პატრიარქი ნიკოლოზი იყო „მართლმადიდებელი“,¹⁴ რაც იმ დროს, უნი-

14. უწმიდესი ნიკოლოზი იყო „კაცი მხილველი სულთა, ანგელოზთა მობაძავი, და მრავალთა მოღუაწებათა შინა საკვირველი, მართლმადიდე-

ის გამო ატენილი არეულობის ჟამს, როცა მრავალი ბერძენი იერარქი მოიკოჭლებდა სარწმუნოებაში, ვფიქრობთ, მრავლისმეტყველი დახასიათება უნდა იყოს.

ერთი სიტყვით, ჩვენს ხელთ არსებული ყველა ისტორიული წყარო მიანიშნებს იმაზე, რომ საქართველოს ეკლესიას არ შეუწყნარებია 1274 წელს გაფორმებული უნია. მხოლოდ ერთადერთი წყარო სახელდება ამის საწინააღმდეგო ცნობად. ეს გახლავთ პაპ ნიკოლოზ IV-ს მიერ წმიდა მეფე დემეტრე თავდადებულისადმი 1289 წლის 11 ივლისს რიეტიდან გამოგზავნილი წერილი. აღნიშნულ წერილში პაპი ამგვარი თხოვნით მიმართავს ქართველ გვირგვინოსანს: „ვიწვევთ თქვენს ხელმწიფებას, რათა... შეუდგეთ ერთგულებით სარწმუნოებასა და ... განაგრძოთ ეკლესიის ერთობა“ [22:491]¹⁵.

რომის პაპის ეს სიტყვები ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს საქართველოს ეკლესია უნით იყო რომთან დაკავშირებული და თითქოს ამ ერთობის განგრძობისკენ მოუწოდებდა პაპი დემეტრე მეფეს. მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ეს მხოლოდ ერთი შეხედვით არის ასე. აღსანიშნავია, რომ იგივე რომის პაპი ნიკოლოზ VI სულ ცოტი ხნით ადრე, საქართველოს პატრიარქ აბრაამ I-სადმი გამოგზავნილ წერილში ცხადად მოწმობს, რომ არანაირი ეკლესიური ერთობა საქართველოსა და რომს შორის არ არსებობდა. ხოლო ის, რაც უბრალოდ არ არსებობდა, როგორ უნდა „განეგრძო“ დემეტრე თავდადებულს? ამგარად, როგორც ჩანს, პაპის სიტყვები არარსებული ერთობის „განგრძობის“ შესახებ, ჩვეულებრივი პაპისტური დიპლომატიური ენადაშაქრულობის გამოვლენაა მხოლოდ და მას არსებულ რეალობასთან არაფერი აქვს საერთო.

ბელი, ძლიერი და თუალ-უხუვად მამხილებელი მეფეთა და მთავართა, რამეთუ იყო უმანკოცა, და არავის თუალი აუხუნის“ [17:224].

15. სწორედ ამ წერილზე დაყრდნობით გამოაცხადა მიხეილ თამარაშვილმა წმ. დემეტრე თავდადებული კათოლიკედ. თამარაშვილის მოსაზრებას კი საკმაოდ გამოუჩნდნენ გამზიარებლები, მათ შორის თანამედროვე ფრანგი ისტორიკოსი ჟან რიშარი [23:95-99].

აი კერძოდ რას სწერდა პაპი ნიკოლოზ IV საქართველოს პატრიარქს:

„...სძლიერ ყოველ სიძნელესა, რაც კი მასთან (კათოლიკური ეკლესიასთან – გ.მ.) შეერთების დროს გამოგიჩნდეთ, გულმოდგინებით მოისწრაფეთ, ნებით და დაუყოვნებლივ მომართეთ, მხნედ მოუახლოვდით და ეცადეთ სხვების მოზიდვასაც... იმდი გვაქვს და დარწმუნებულიც ვართ, ჩვენი სურვილი კარგად დააკმაყოფილოთ და თქვენი ერი წარმართოთ ერთობის გზასა“ - იწერებოდა პაპი რიეტიდან 1289 წლის 7 ივლისს [22:490-491].

ამ წერილს მითითებული აქვს, რომ „ერთი პირი მისი პატრიარქის გარდა გაეგზავნა იმავე დროს საქართველოს ყველა მთავარეპისკოპოსთ, ეპისკოპოსთ და არხიმანდრიტოთ,“ აღნიშნავს თამარაშვილი [15:20]. ფაქტია, რომ პაპი ნიკოლოზ VI, მისი ოპტიმისტური განწყობის მიუხედავად, როგორც ჩანს, მაინც არ ენდობოდა საქართველოს პატრიარქს. იგი სულაც არ იყო დარწმუნებული იმაში, რომ უწმიდესი აბრაამ I უნიას მიემხრობოდა და დაიწყებდა მის პროპაგანდას. სწორედ ამიტომ, მან გადაწყიტა, საქართველოს პატრიარქის იურისდიქციაში მყოფი იერარქებისთვის, საქართველოს პატრიარქის გვერდის ავლითაც, გამოეგზავნა ზემოხსენებული წერილის ასლები.

რომის პაპის ზემოხსენებულ წერილს დართული აქვს ეგრეთ წოდებული „შეერთების მუხლები“, ანუ რომთან შეერთების პირობები, რომლებიც უნდა დაეკმაყოფილებინათ ქართველ მდგრელმთავრებს. ეს მუხლები მიხეილ თამარაშვილმა გასაგები, მიზეზების გამო და მეტად ალოგიკური საბაბით, საერთოდ არ გამოაქვეყნა. ეს „შეერთების მუხლები“ კიდევ ერთხელ მოწმობენ, რომ საქართველოს ეკლესია არათუ არ იმყოფებოდა რომთან ერთობაში, არამედ იმდენად შორს იდგა მისგან, რომ საკმაოდ ვრცელი აღმოჩნდა იმ პირობების ჩამონათვალი, რომელთა შესრულებასაც მოითხოვდა პაპი უნიის მისაღწევად.

ერთი სიტყვით, ცხადია, ამგვარ წერილს პაპი არ გაუგზავნიდა იმ ეკლესიის მწყემსმთავარს, რომელიც უნით იყო რომთან დაკავშირებული. პაპის წერილი-დან პირდაპირ ჩანს, რომ საქართველოს პატრიარქი და მისი სამწყსო ერი არ იყო ერთობაში რომთან. წინააღმდეგ შემთხვევაში პაპი „შეერთებისკენ“ არ მოუწოდებდა მას, არც „სხვების მოზიდვას“ (ანუ „მისი ერის“) გაუნიატებას სთხოვდა და არც „შეერთების მუხლებს“ გამოუგზნიდა.

როგორც ჩანს, პაპმა ნიკოლოზ IV-მ კარგად იცოდა, რომ საქართველოს პატრიარქი არ იმყოფებოდა მასთან ერთობაში და საერთოდაც არ სცნობდა მის ხელისუფლებას. სწორედ ამიტომ, იგი თავის წერილში ტკბილი სიტყვით მოუწოდებდა „უწმიდეს აბრაამ პირველს „შეერთებისაკენ“ (ანუ საქართველოს ეკლესიის გაუნიატებისაკენ).

ამგვარად, ცხადია, რომ მანამდე სანამ რომი ლიონის უნიას ანულირებულად სცნობდა,¹⁶ საქართველოს ეკლესია ნამდვილად არ იმყოფებოდა მასთან ერთობაში. ეს კი თავის მხრივ, სრულიად აბათილებს იმავე პაპის ნიკოლოზ IV-ს სიტყვას, თითქოს წმიდა დემეტრე თავდადებულსა და დავით ნარინს უნდა „განეგრძოთ“ ეკლესიის ერთობა. რადგან, როგორც ჩანს, უწმიდესი აბრაამ პირველი, მისი წინამორბედი უნიის მოწინააღმდეგ პატრიარქის კურსის გამგრძელებელი იყო (რომელმაც იგი „ხელითა თვისითა აკურთხა – კათალიკოსად“ [20:172]). უნიისაგან მასაც თავი შორს ეჭირა.

16. დასავლერი ისტორიოგრაფია უნიის ანულირების თარიღად სწორედ 1289 წელს მიიჩნევს: „Conciles de Lyon:... 1274, XIII^e oecumenique, remarque par une ephemere reunion avec les Grecs (rompue des 1289)“ [24:3395].. ოუმცა მართლმადიდებლურ საეკლესიო ისტორიოგრაფიაში უნიის ანულირების თარიღად 1283 წელი მიიჩნევა, როდესაც კონსტანტინეპოლის საეკლესიო კრებაზე გაასამართლეს უნიატები, პირველ რიგში პატრიარქი იოანე ვები [25]. როგორც ჩანს, მისი მიუხედავად, რომ 1283 წელს კონსტანტინეპოლის უარყო უნია, აღმოსავლეთში მაინც რჩებოდნენ უნიატები, ამიტომ 1289 წლამდე რომს უნიის ანულირება არ მოუხდენია.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეკლესიას, არ მიუღია ლიონის უნია, გარკვეული დიპლომატიური ურთიერთობები ქართველებს რომთან მაინც ჰქონდათ. მაგალითად ცნობილია, რომ ლიონის უნიის გაფორმებიდან ორიოდე წლის შემდეგ ევროპაში ჩავიდნენ აბათა ყაენის ქართველი ელჩები – მმები იოანე და იაკობი [26:425-426]. ქართველ ელჩებს დავალებული ჰქონდათ რომის პაპისთვის გადაეცათ მონღოლთა დიდი ყაენის სურვილი საყაენოში მისიონრების გაგზავნის შესახებ...

ამგვარად, ჩვენს ხელო არსებული წეროების კომპლექსური შესწავლის შედეგად, დგინდება, რომ ლიონის უნია საქართველოს ეკლესიას, არ მიუღია. და ამაში



ლიონის 1274 წლის კრება
ბონავენტურას წარდგომა პაპ გრიგოლის წინაშე

არაფერი არ არის მოულოდნელი, რადგან საქართველოს ეკლესიამ, როგორც ცნობილია, არც ფერარა-ფლორენციის კრებაზე გაფორმებული უნია არ შეიწყნარა და მაშინაც უარი თქვა რომის პაპისადმი დაქვემდებარებაზე.

გიორგი მაჭარაშვილი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

WMIDA MAQSIME BERZENI (†1556)

SOMXURI BOROTMORWMUNEOBIS WINAARMDEG

(„Плоды экуменического древа“ т.32. М. 2005. с.234-243)

სომხური დმრთივსაძულველი სარწმუნოება, რომელიც მრავალი მწვალებლობის-გან შედგება, სამ უმთავრეს, ყველაზე უფრო უწმიდურ და საძაგელ მწვალებლობას შეიცავს. პირველი და ყველაზე უძორობესი მათი ზრახვა ის არის, რომ ღვთის სიტყვის მაცხოვნებელი წამებისას, მათი აზრით, უკნებელი ღვთაებაც ისევე მოკვდა, როგორც კაცთა მოდგმა; მეორე მათი უმთავრესი მწვალებლობის თანახმად, ისინი ირწმუნებიან, რომ განკაცებულმა სიტყვამ ღმერთისამ ზეცად ამაღლების შემდგომ განიძარცვაო ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის, ყოვლადწმიდა სისხლით მიღებული, სხეული; ხოლო მესამე მათი უმთავრესი მწვალებლობა არის ის, რომ არასწორად აღრევს ქრისტეს შეურევნელად შეერთებულ ორ ბუნებას – კაცობრივს და ღვთაებრივს, რომელნიც, მათი თქმით, ვითომდაც ერთ ბუნებად იქცა.

ასეთია უმთავრესი მათეული დმრთივსაძულველი მწვალებლობები და რა შეიძლება ვთქვათ მართლმადიდებლებმა წინააღმდეგომ ამისა? ნუთუ ჩვენ ამას დავთანხმებით, რომ ასეა?! – არავითარ შემთხვევაში! ნუ იყოფინ, რომ ოდესმე შევიწყნაროთ ესოდენ ღვთისმგმობი და მკრეხელური აზრები გვამოვნებით ერთ, მარადმყოფ, უკვდავ და უკნებელ ღმერთის ბუნებაზე და მის უკვდავებაზე. მათეული მკრეხელობის არც წარმოთქმა და არც მოსმენა არ შეუძლიათ, თვით ღმრთისწინააღმდეგომ ეშმაკებაც კი. ხოლო ეს იმ ნათქვამიდან ჩანს, რომელიც დამდუპველმა და ბოროტის დასაბამმა გველმა პირვერულად ჩასჩურჩულა დედაკაცთა წინაპარს:

„არა სიკუდილით მოჰკუდეთ. რამეთუ უწყოდა ღმერთმან, ვითარმედ: რომელსა დღესა სჭამოთ მისგან, განგეხუნენ თქვენ თვალნი და იყვნეთ, ვითარცა ღმერთნი, მეცნიერ კეთილისა და ბოროტისა“ (დაბ. 3-4,5). ესე იგი, უკვდავნი და უხრწნელნი იქნებით, ვითარცა თვით უფალი, რომელ-მან შეგქმნათ თქვენ.

მაგრამ ყოველთა შემოქმედი ღმერთის უკვდავებაზე მრავლისმეტყველება არათუ ზედმეტია, არამედ ღიმილის მომგვრელიც, რამეთუ ღმრთივსულიერნი წერილნი სავსე არიან მარადმყოფი, ყოველთა დამტევნელი ღმერთის უკვდავებაზე მოწმობით. და არა მარტო წმიდა წერილი, არამედ ყველაზე უფრო გარეშე ფილოსოფოსებიც და რიტორნიც კი უგალობენ თავიანთ თხზულებებში მარადმყოფი ღვთის უკვდავების დიდებას. მაშ, წყეული სომხები, წყეულ დიოსკორესთან ერთად, როგორდა ამტკიცებენ, რომ ქრისტეს ღმრთაებრივი უკვდავი ბუნება მის წმიდა სხეულთან ერთად მოკვდა? და უკეთუ უკნებელი, უკვდავი და არაქმნილი მისი ღვთაება სიკვდილს მიეცა, როგორც ისინი ამბობენ, მაშინ ეს ნიშნავს, რომ მისი წმიდა სულიც, ვითარცა ხორცობან ერთად შობილი, მის ღმრთაებასთან ერთად მოკვდა? და უკეთუ ვაღიარებთ, რომ ეს ასეა, მაშ როგორდა ვიტყვით, რომ იგი შთახდა ჯოჯოხეთს და ბჭენი რგალისანი შემუსრა და აღმოიყვანა საუკუნითგან იქ მყოფი მართალი სულები?

უკეთუ იგი მოკვდა, როგორც ხორცით, ასევე ღმრთაებით და სულით, მაშ, როგორდა იქნება თავად ჯვარცმულისაგან ჭეშ-

მარიტებით თქმული: „ამისთვის უყვარ მე მამასა, რამეთუ მე დავსდებ სულსა ჩემსა, რაითა კუალად მოვიდო იგი;” და კუალად: „ხელმეწიფების დადებად მისა და ხელმეწიფების კუალად მოღებად მისა” (იოანე, 10,17-18). და უკეთუ, მათებურად, იგი მოკვდა როგორც ხორცით, ასევე ღმრთაებით და სულით, მაშ, როგორდა შეძლო მისი მიღება სრულებით მკვდარმა, – მან, ვინც არის განუსაზღვრელად ძლიერი ძალა ყოვლისმპრობელი ღმერთისა? უკეთუ ადამიანის სულს, რომელიც შექმნილია სიტყვიერად და უკვდავად, არ შეუძლია რომ მოკვდეს, მაშ ყოველთა ცხოვრება, „რომელსა მხოლოსა აქვს უკვდავება, და ნათელსა მყოფ არს მიუწვდომელსა” (1 ტიმ. 6,16), როგორდა მოკვდა ჯვარზე თავის უკვდავი ღმრთებით?

და ეს მწვალებლური ზრახვა რომ დგომის გმობაა, ღვთივსაძაგელია და სიცრუეა, ძალიან ბრძნულად აჩვენა ალამუნდარ ისმაიტელმა, რომელიც ქრისტიანულ მართლმორწმუნოებაზე მოიქცა და მოინათლა მთელი ოჯახითა და მოდგმით. ხოლო როდესაც უწმიდურმა სევეროსმა შეიტყო, ისმაიტელის უწმიდური მამული სჯულისაგან მართლმადიდებელ სარწმუნოებაზე მოქცევა, მაშინ მასთან გაგზავნა თანამზრახველი ორი ეპისკოპოსი და შეეცადა თავის ღმრთივსაძაგელ მწვალებლობაზე მის მიდრევას.

როდესაც მწვალებლები ალამუნდართან მივიდნენ და ხანგრძლივი საუბარი გაუბეს, სევეროსის მოძღვრებაზე, ალამუნდარმა დაითხოვა ისინი და უთხრა: „ხვალ კიდევ ვისაუბრებთ ამაზეო.“ ხოლო მწვალებელთა წასვლის შემდგომ, მან თავის ერთგულ მსახურს უთხრა: „სევეროსის მოგზავნილები კიდევ რომ მოვლენ ჩემთან და თავიანთ მწვალებლურ მოძღვრებაზე საუბარს დამიწევებენ, მაშინ მომიახლოვდი და ყურში ჩამჩურჩულე: მიქაელ მთავარანგელობაზე უკვე გარდაიცვალა-თქო.“

მართლაც, როცა სევეროსის კაცნი კვლავ მოვიდნენ და ხანგრძლივად სიტყვაფლიდობდნენ წინაშე ახლადნათელ-ღებული ალამუნდარისა, მაშინ მივიდა მასთან მსახური და თავის ბატონს წასჩურჩულა, ის, რაც დავალებული ჰქონდა. ალამუნდარი უმაღ მოჩვენებით მწუხარებას და ნაღველს მიეცა, თავი ჩაქინდრა და იდაყვდაყრდნობილი მდუმარედ იჯდა. მწვალებელი ეპისკოპოსების სიტყვებს ყურადღებას არ აქცევდა და როცა ისინი ჩაცივდნენ და მწუხარების მიზეზს ჰკითხავდნენ, ალამუნდარმა უპასუხა: „შევიტყვე, მთავარანგელოზი მიქაელი გარდაიცვალა და როგორ არ ვიდარდო, როდესაც ასეთ მცველს მოვაკლდი?” – ამაზე ეპისკოპოსებმა შესძახეს: „არ დაიჯერო, პატივცემულო ბატონო, არაფრით არ მიაქციო უწმიდებება ამგვარ ამბავს! ეს აშკარა ტყუილია, რამეთუ ანგელოზთა ბუნება სიკვდილს არ ექვემდებარება, რადგან ყოველთა შემოქმედმა შექმნა ისინი უკვდავადო.“

მაშინ ალამუნდარმა უთხრა: „უკეთუ შემოქმედის მადლით შექმნილ ანგელოზთა ბუნებას არ ძალუმს სიკვიდლი, მაშინ დაუსაბამო და მარადიული უფალი, რომელსა მხოლოსა აქვს ბუნებითი უკვდავება, და ნათელსა მყოფ არს მიუწვდომელსა, – როგორ შეიძლება, რომ მომკვდარიყო თავის უკვდავი ღმრთებით, მაცხოვნებელი წამებისას?! ძლიერ შემცდარხართ და დიდად შორს ხართ ჭეშმარიტებისაგან, თქვენს მოძღვართან ერთად.“ – ასეთი ბრძნული მოსაზრებებით დაუყო პირი ალამუნდარმა მწვალებლებს და არცხვინა ისინი ახლადნათელ-ღებულმა ისმაიტელმა.

კიდევ სხვა საკვირველი სასწაულიც მოვისმინოთ არა ამქვეყნიური, არამედ ღვთის განგებულებით, ზეცითგან გამოცხადებული, ჭეშმარიტი კეთილმორწმუნეობის საუწყებელად და საძაგელი სომხური მწვალებლობის სამხილებელად:

როდესაც უნეტარესი პატრიარქი პროკლე სახულიერო წოდებასთან და ერთან ერთად კონსტანტინეპოლის შემოგარენს მოივლიდა, ცრემლით ლოცვას აღასრულებდა და ევედრებოდა ხშირი და საშინელი მიწისძვრების შეჩერებისათვის – მაშინ, უეცრად, ხალხიდან პატარა ბავშვი აღიტაცა ზეცად, ყველა მორწმუნის თვალშინ, რომლებიც დიდი შიშით დაღადებდნენ: „უფალო შეგვიწყალენ!“ შემდგომ ბავშვი კვლავაც უვნებლად დადგა მიწაზე. როდესაც უნეტარესმა პროკლემ ბავშვს ჰკითხა, რა იხილა და რა ისმინა იქ, ყრმამ უპასუხა, რომ წმიდა ანგელოზები იქ „სამწმიდაოს“ საგალობელს გალობდნენ დანართის გარეშე, ისე, როგორც ამქვეყნად გალობს ერთი წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია.

ამის თქმისთანავე, ღვთის მიუწვდომელი განგებით, ბავშვი გარდაიცვალა. ხოლო გამონათქვამი „დანართის გარეშე“ ნიშნავს შემდეგს: უსჯულო სევეროსმა, რომელიც ქრისტეს ღმრთაების შესახებ ბრძნობდა, რომ იგი ვნებას ექვემდებარებოდა და სურდა რა ამ მწვალებლობის დანერგვა, თავის მიმდევრებს ასწავლა, რომ „სამწმიდაოს“ საგალობელი დანართით ეგალობათ შემდეგნაირად: „წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკვდავო, ჩვენთვის ვნებულო, შეგვიწყალენ ჩვენ.“ ამ დანამატით – „ჩვენთვის ვნებულო“ ყოვლადუწმიდურს სურდა ეჩვენებინა, რომ ქრისტეს ღმრთაება ივნო ანუ მოკვდა მის წმიდა სხეულთან ერთად. რა შეიძლება, რომ ამ გმობაზე უარესი და საძაგელი რამ იყოს წინაშე ღვთისა?

უკეთუ მხოლოდ შობილის ღმრთაება ივნო, ანუ მის წმიდა სხეულთან ერთად მოკვდა, როგორც ის უწმიდურნი ამტკიცებენ, მაშინ ეს ნიშნავს, რომ სრულად წმიდა სამებაც ივნო, ანუ მოკვდა, რამეთუ ერთ არს ღმერთი, ერთ არს ბუნება და ერთ არს არსება სამებისა განუყოფელისა; რამეთუ წმიდა სამება განუყოფელად განიყოფება

იპოსტასებით, ხოლო არსებით შეერთებულია შეურევნებლად, ე.ი. ერთ არს დმერთი ყოვლად წმიდა სამება ერთარსება, იგივ განიყოფება და განუყოფელია, განიყოფება იპოსტასებით, ხოლო განუყოფელია არსებით, ბუნებით და ღმრთებით. ამიტომ, ცხადად მხილებულნი არიან უწმიდური სომხები სევეროსთან ერთად, რამეთუ ისინი გმობენ წმიდა სამებას, როდესაც მის ვნებას აღიარებენ, ანუ სიკვდილს, მხოლოდ შობილის მაცხოვნებელი წამების დროს.

ო, რა უწმიდურებაა და რა სატანური ნააზრევია! მარტო ამ ერთი მწვალებლობისათვის გვმართებს მათი მოძაგება სრულად და მათგან განშორება, თანახმად ღმრთის მოშურნის გამოთქმისა: „ანუ არა მოძულენი შენინ, უფალო, მოვიძულენა და მტერთა შენთა ზედა განვკყდი? სიძულვილითა სრულითა მოვიძულენ, და იგინი მტერად შემექმნეს მე“ (ფს. 138, 21-22). კიდევ ერთი საკვირველი ამბის შესახებ მონათხოვი მოვისმინოთ, რომელიც ღვთის განგებით, მოხდა ჭეშმარიტების საჩვენებლად და სევეროსისეული ღვთივსაძაგელი გმობის სამხილებლად.

როდესაც ქალკედონში შეიკრიბა 630 ღვთივსულიერი მამა წმიდა მსოფლიო IV კრებაზე და მრავალი ღღის მანძილზე ჭეშმარიტებისათვის გულმოდგინედ გამოარჩევდნენ, ამ დროს დემონური პაექრობით შეპყრობილი მწვალებლები ძლიერ ეწინააღმდეგებოდნენ მართლმადიდებელთა მიერ საღმრთო წერილიდან მოყვანილ მტკიცებებს. მაშინ, ორივე მხარემ, განგებულებით, ამგვარი გადაწყვეტილება მიიღო: ჭეშმარიტებაზე მინიშნება ღვთისათვის მიენდოთ და ყოვლად დიდებულ დიდმოწამე ეფემიასათვის. ამისთვის, ორივე მხარემ ცალ-ცალკე დაწერა თავისი სარწმუნოების სიმბოლო და დაბეჭდა; შემდეგ გახსნეს მოწამის წმიდა ნაწილების ჩასასვენებელი, დადეს ორივე წერილი მის წმიდა ნეშტზე და მართლმადიდებლებმა წარ-

მოსთქვეს: „შენ, უფალო, გულთამხილავო, დოცითა ყოვლადდიდებულისა მოწამისა შენისათა, არწმუნე წინააღმდგომთა ჭეშ-მარიტებისა შენისათა!“ შემდგომ დახურეს წმიდა ლუსკუმა, კვლავ დაბეჭდეს და თავ-თავიანთ ადგილს მიაშურეს.

რამდენიმე დღის შემდეგ, ერთობლივი შეთანხმებისამებრ, შეიკრიბენ და წმიდა საძვალე გახსნეს – ო, რა საოცარი და აღმატებულია ყოველ გონებაზე სასწაული შენი, ყოვლადნეტარო და კაცომოვარეო მეუფეო! – ნახეს, რომ მართლმადიდებელთა წერილი მაგრად ეპყრა წმიდა მოწამეს ხელში, ხოლო მწვალებლების წერილი – შორს ეგდო, მის წმიდა ფერხთით, ვთარცა დმრთივსაძაგელი და ყოვლითურთ დვთისმგმობელობით აღსავსე. სხვა კიდევ მეტი რაღაა საჭირო, მათი მწვალებლობის სარცხვენელად? მაგრამ არ დასცხრებიან უსჯულოები! არის კიდევ საეკლესიო სიტყვა, რომელიც ამბობს, რომ მტრული მხარის მოწმობა უფრო უტყუარად ითვლება; და ვინ შეიძლება ჩვენი მართლმადიდებელი სარწმუნოების უფრო დიდი მტერი იყოს, ვინემ – ეშმაკი? ამიტომ ზემოთ ნათქვამს დაგუმატებ კიდევ ერთ მოწმობას, რომელიც ეშმაკებმა თქვეს და ამით დავამთავრებ სიტყვას:

კერპთაყვანისმცემლობის წყვდიადის ბატონობის დროს ელადაში იყო ერთი ადგილი, თავისი ჯადოქრობით ყველაზე ცნობილი. ამ ადგილს ეწოდებოდა პითია, სადაც ულამაზესი საკერპო ტაძარი იყო აგებული და მასში იდგა ცნობილი კერპი, რომელსაც ყველა წარმართი განსაკუთრებულ პატივს სცემდა და მათებურად „დმერთი“აპოლონი ერქვა. მასთან ყველა ხალხის კერპთაყვანისმცემლი მიემართებოდა ყველი მხრიდან და ყოველი მათგანი თავის კითხვაზე პასუხს იდებდა, აპოლონის ქურუმისაგან დემოური მზაკვრებით, და აი, ამიტომაც ჰქონდათ ამ „დვთისადმი“ დიდი რწმენა კერპთაყვანისმცემელ ხალხებს.

უფალი ჩვენი იქსო ქრისტეს მაცხოვნებელი წამების შემდეგ და შემდგომად მისი ზეცად ამაღლებისა, როდესაც ჭეშ-მარიტების შემეცნებით გაბრწყინდა მთელი მზისქეშეთი, და ერთნი სიხარულით შეუდგნენ მოციქულთა ქადაგებას, ინათლებოდნენ, ხოლო მეორენი ძლიერ ეწინააღმდეგებოდნენ ყოველივე ამას და მთელ ქვეყანაზე ამის განსჯა და ურთიერთშორის ბრძოლა შეიქმნა, მაშინ აპოლონის ერთმა ქურუმა, როდესაც დაინახა, რომ მთელი ქვეყანა ესოდენმა მღელვარებამ მოიცვა და მოკლე ხანში ყველა შეძრა, მოისურვა, თავის „დმერთი“ აპოლონისაგან შეეტყო, თუ რა იყო ეს ახალი მოძღვრება, მთელ ქვეყანას რომ მოეფინა და ვინ იყო იქსო ქრისტე. ქურუმმა გაბედა და ყოველივე ამის შესახებ პკითხა თავის კერპლმერთ აპოლონს. ხოლო ეშმაკი, რომელიც იდუმალ მტრობდა ქრისტეს კეთილმორწმუნებს, შეკითხვისათვის განურისხდა თავის მსახურს, არ მოუწონა საქციელი და უთხრა: „უმჯობესი იყო სულაც არ გეკითხა ჩემთვის ამაზე, წყეულო მსახურო ჩემო!“ მაგრამ დვთაებრივი ძალით იძულებულმა, მოკლედ უპასუხა თავის მსახურს, განკაცებული ქრისტე დმერთის საშინელი საიდუმლო და მისი მაცხოვნებელი წამების შესახებ და დასძინა: „ჯვარცმული არის დმერთი, მაგრამ დმრთაება მისი არ ვნებულა.“

ამის შემდეგ რას იტყვის უდირსი სევეროსი თავის სამგზის წყეულ სომებს მიმდევრებთან ერთად? აი, სხვა ყოვლითურთ ცბიერმა აპოლონმა, დვთის ძალით, თავის საკუთარი ნების წინააღმდეგაც კი აღიარა ქრისტე მაცხოვარი, როგორც ვნებული და როგორც უვნებელი; ვნებული, როგორც ადამიანი, რამეთუ იყო სრული კაცი და უვნებელი – დმრთაებით. ხოლო დიოსკოროსს, სევეროსს და მათ მიმდევარ წყეულ სომხებს, როგორ არ ეშინიათ იმის მტკიცება, რომ ივნო ქრისტეს უკადაგი დმრთაება, მისი მაცხოვნებელი წამების დროს?

ამიტომ გირჩევ, როგორც ერთგულ მეგობარს და საყვარელ ძმას, განეშორე მათ უწმიდურ საკრებულოს და მათთან პირმოთნე საუბრებს, უკეთუ ნამდვილად გსურს ბოლომდე უკნებლად დაიცვა შენში წინაპართაგან გადმოცემული მართლად მადიდებელი სარწმუნოება – რამეთუ გახსრწნიან კეთილსათნო ჩვევებს ბოროტი საუბრები, როგორც იტყვის სამოციქულო სიტყვა. და კუალად: „მწვალებელსა კაცსა შემდგომად ერთისა და ორისა სწავლისა განეშორე“ (ტიტე 3,10). წყეული სომხები კი არა თუ პირველი და მეორე, არამედ შვიდი კრების მოძღვრებას ეწინააღმდეგებიან: და როგორდა ლირსველი ისინი ჩვენთან ურთიერთობით და საუბრებით?

ვინც კეთროვანის განკურნებას შეეცდება, თავადვე დასხეულდება და მას კი ვერ განკურნავს. ესეც იცოდე, რომ ყველა მწვალებლობის მეთაური არის ეშმაკი, რამეთუ სახარებაში მოხსენიებული მტერი სწორედ ის ადამიანია, რომელმაც სუფთა და უწმიკვლო სახარებისეულ ღვთისშემეცნების ხორბალში ცბიერების ღვარძლი დათესა, ანუ ის დმრთივსაძაგელი სხვადასხვა მწვალებლობა, რომელშიც ჩვენს ჩათრევას ესწრაფის ყოვლადუწმიდური და სურს განგვაშოროს მართლმადიდებელ სარწმუნოებას; რომლის მოძღვრებითაც გვწამს მარადმყოფი და დაუსაბამო დმრთაების ყოვლისამყრობელისა და ერთარსებისა და განუყოფელისა ყოვლადწმიდისა სამებისა და საშინელი, ყოველთა გონებაზე და სიტყვაზე აღმატებული საიდუმლო – მხოლოდ შობილი ძის განკაცებისა. რომელიც წმიდა სამების ერთი პირია და რომლისაგან და რომლისა მიერ სამუდამოდ შეიმუსრა ბოროტის ძლიერი ისრები; იარაღი მისი განქარდა და სამკვიდრებელი მისი შეიმუსრა. და ვითარცა უძლური ფრინველი, გმობისა და დათრგუნვის საგნად იქცა ყოველთაგან, რომელთა ყოვლითა გულითა და

ჟეშმარიტებით სწამთ ჯვარცმული იქსო ქრისტესი, რომელმან სძლია ეშმაკნი.

ნუ ვიქნებით უზრუნველნი და უგრძნობელნი, როცა ჩვენი ცხოვნებისა და ცხოვრების ესოდენ შეურიგებელი და ცბიერი მტერი გვყავს; არამედ მხენა ვიყოთ და ვიფხიზლებდეთ მარადეჯამს და რაოდენ იგი არ დაცხერება და ყოველგვარი მზაკვრობით ადიჭურვება წინააღმდგომად და მოსაკვდინებელად ჩვენდა, ეგრეთვე ჩვენც აღვიჭურვოთ კეთილმორწმუნოების იარაღით, მისი ლეგიონისა და მისი დამცველი ღვთისაძაგელი მწვალებლების წინააღმდეგ. და მოვიზდუდოთ ყოვლითა გონებითა დმრთივსულიერი წერილის ცოდნით, რათა ოდესებე ჩვენც განვიცადოთ უფრო ძლიერი საჭმელი და მთელი ცხოვრება ოდენ რძით არ ვიკვებებოდეთ.

მტკიცედ აღვიჭურვოთ დოგმატთა ყოვლადსაჭურველით, როგორიც არის იოანე დამასკელის საღვთისმეტყველო თავნი და მტკიცეთ დავისწავლოთ ისინი, რათა დავუყოთ დაუდუმებელი პირი ჩვენს მტრებს და დავამხოთ ყოველი წინააღმდგომი ქრისტეს ნებისა, რამეთუ ქრისტემ მოგვცა ხელმწიფება დათრგუნვად გველთა და ღრიანკალთა და ყოველთა ბოროტთა ძალთა, „რამეთუ არა არს ბრძოლად ჩვენი სისხლთა მიმართ და ხორცობა, არამედ მთავრობათა მიმართ და ხელმწიფებათა, სოფლის მპყრობელთა მიმართ ბნელისა ამის საწუთოისათა, სულთა მიმართ უკეთურებისათა, რომელნი არიან ცასა ქვეშე“ (ეფეს. 6,12) და რომელთა ნაირგვარი მანქანება და განსაცდელი დაამხოს უფალმა და უკნებელად საუკუნოდ დაგვიცვას ჩვენ – ამინ.

თარგმნა
მონოზონმა ანამ (ნიაური)

„ივერიის გაბრწყინება“ №1
(49) იანვარი 2006, გვ.17-20

MRVDEL MOWAME KIRION II (SAZAGLISVILI)

MARTL MADIDEBELI SAQARTVELOS SIIT MUSULMANEBTAN SAUKUNE OBRIVI BRZOLIS BOLO EPIZODI

(გაგრძელება)

საქართველოსა და რუსეთის დაახლოება მოხდა 1768 წელს, პირველი თურქული ლაშქრობის დროს, როცა ოტომანმა პორტიმ იმი გამოუცხადა რუსეთს, დიდმა იმპერატრიცა ეკატერინემ, სამხედრო საბჭოს დასკვნის თანახმად, გადაწყვიტა, ბრძოლა დაეწყო თსმალების წინააღმდეგ და ამ მიზნით, მოწოდებები გაუგზავნა სხვა ქრისტიანებსაც – ჩერნოვორელებს, პოლონელებსა და ქართველებს.¹ ამათგან მხოლოდ ქართველმა მეფეებმა – ერეკლე II-მ და სოლომონ I-მა, მოსახლეობასთან ერთად, აღფრთოვანებით მიიღეს დიდი იმპერატრიცას მოწოდება, რომ ქრისტიანთა საერთო მტერთან ბრძოლაში ჩაბმულიყვნენ. მართლმადიდებელი მონარქის მოწოდების თანახმად, ქართველი მეომრები მამაცურად იბრძოდნენ თურქების წინააღმდეგ, მთელი ხუთწლიანი თურქული კომპანიის მანძილზე².

ქართველების რუსებისადმი ერთგულუბამ სპარსეთის სულთანი და ირანის შაჰი ერეკლეზე გაანაწყენეს, რომლებიც ყოველნაირად ცდილობდნენ მის წინააღმდეგ კავკასიელი მთიელებისა და მეზობელი ხანების ამხედრებას. მეფე ერეკლე ხედავდა რა, რომ მხოლოდ საკუთარი ძალებით ვერ აღუდგებოდა საქართველოზე ყოველი მხრიდან გარშემორტყმულ მტრებს, მართლმადიდებლი სამეფოს დასაცავად, ერთმორწმუნე რუსეთს სოხოვა საქართველოს დახმარება და მის მფარველობაში შევიდა, 1783 წ. 24 ივნისს ქ. გიორგიევსკში დადგებული ხელშეკრულების თანახმად, რუსეთმა საქართველო თავისი მფარველობის ქვეშ

შეიყვანა. ამ აქტით საფუძველი ჩაეყარა რუსეთისა და საქართველოს სრულ დაახლოებას, რაც ქვეყნის სულიერების სფეროსაც ეხებოდა. ცნო რა თავის მიმართ რუსეთის უმაღლესი ხელისუფლება, ერეკლემ დასახელებული ხელშეკრულების მერვე არტიკულის თანახმად, ქართული ეკლესია წმიდა სინოდს დაუქვემდებარა. რუსეთი კი ვალდებულებას იღებდა (გვ.2), დაეცვა ქართული სამეფოს არა მხოლოდ არსებული მიწები, არამედ იმ პროვინციათა მიწებიც, რომლებიც შესაძლოა, შემდგომ შესულიყო საქართველოს გამგბლობაში.

ამ ხელშეკრულების გარდა, ერეკლე ქვეყნის შიდა საშუალებებსაც ეძებდა სამეფოსა და ეკლესის მაჰმადიანთაგან დასაცავად. ამ მიზნით, ვიცეპანცლერ სოლომონ ლეონიძის მცდელობით, 1790 წელს თბილისში დაიდო უგრეთ წოდებული სამოკავშირეო ტრაქტატი, რომელსაც ხელს აწერდნენ კახეთის მეფე, იმერეთის მეფე, სამეგრელოსა და გურიის მფლობელები:

„ჩვენ – ნათქვამია ტრაქტატში – ვართ ერთმორწმუნე ხალხი, რომელნიც ერთითა პირითა ვადიდებთ ერთსა კათოლიკესა ეკლესიასა, მიზანშეწონილად, მიგვაჩნია ჩვენს სამშობლოში ნანატრი მშვიდობა დავამყაროთ და განვავრცოთ მასში გავრცელებული აღმსარებლობა და აღვადგინოთ სიყვარული, რისკენაც მოგვიწოდებს ჩვენი ქრისტიანული რჯული და მჭიდრო ნათესაცირი კავშირი“.³

ამ ტრაქტატის თანახმად, მეფე ერეკლე

3. „ცხოვრება მეფის გიორგის მეცამეტისა“ პლ. იოსელიანისა, გვ. 21-28. Дубровинъ - Георгий XII, стр.16-17

1. История России Соловьев. т.28 стр.14\30\140

2. ibid t.28.str.24

პირობას სდებდა, რომ დაიცავდა თავის მოკავშირეებს. მისი მფარველობის ქვეშ მყოფი მოკავშირენი კი თავის მხრივ ვალ-დებულებას იღებდნენ, ეცნოთ თავიანთ მიმართ ერველეს ძალაუფლების „მამობრივი მზრუნველობა“ და მასთან ერთად მტრებისაგან დაეცვათ საერთო სამშობლო და მშობლიური ეკლესია.

ეს დიპლომატიური აქტი, რუსეთთან შეერთებული საქართველოსათვის, პოლიტიკური თვითმყოფადობის შენარჩუნების საშუალება იყო, რომელსაც მის გადამრჩენ დუზად მიიჩნევდნენ. სამშობლოს ინტერესთა ერთგული, სამეფო კარის შორსმჭვრეტელი დიდებულები ამ დიპლომატიურ აქტზე დიდ იმედებს ამყარებდნენ; ისინი ამ ნათესაური კავშირით აპირებდნენ წარსულის შეცდომების გამოსწორებას და სამშობლოს მომავლის გაუმჯობესებას.

სპარსეთში იმ დროს არეულობა იყო და რუსეთ-საქართველოს შორის კავშირისა და გეორგიევსკის ტრაქტატისათვის უურადღება არ მიუქცევიათ; მაგრამ როცა სპარსეთის ტახტზე ხოჯა-მუჰამედ-ხანი ავიდა, თეირანში უკმაყოფილებას გამოთქვას, რომ მეფე ერველე სპარსეთის ზეგავლენისაგან განთავისუფლებას ცდილობდა და ერთმორწმუნე რუსეთისაკენ ილტვოდა. სპარსელები რუსეთის წინააღმდეგაც უკმაყოფილებას გამოხატავდნენ, რადგან შორსმჭვრეტელ შაპს არ შეძლო, ამ გარიგებაში არ დაენახა პეტრე დიდის გეგმის განხორციელება. პეტრე დიდს უნდოდა რა სპარსეთის ჩრდილო პროვინციების დაპყრობა, ინდოეთისაკენ მიმავალი თავისუფალი გზის აღმოჩენაზე ფიქრობდა.

II

საქართველო რომ ერთმორწმუნე რუსეთისადმი გამოხატული სიმპათიისათვის დაესაჯა, შაპმა 70 000-იანი ჯარი შეკრიბა და საქართველოსაკენ გაემართა. კაცობრიობას იშვიათად თუ უნახავს სამეფო ტახტზე ისეთი ამაზრზენი მხეცი, რო-

მელიც ზოგჯერ ადამიანის სახეს იღებდა. ისტორიოგრაფთა მტკიცებით, სიძულვილი და მრისხანება იფრქვეოდა მისი ღრმად ჩამჯდარი თვალებიდან, რომლებიც შინაგანი მდელგარების დროს თითქოს მეწამულ ელვარებას აკვესებდა. აღა-მაჟმად-ხანის გამჭოლი მზერა ურუანტელს გვრიდა მათ, ვისაც ის უურებდა; დამცინავი დიმილი კი, რომელიც წვრილ და მუდამ მოკუმულ ტუჩებზე გამოეხატებოდა ხოლმე, მის ირგვლივ ყველაფრისადმი ძლიერ და ღრმა სიძულვილს ამჟღავნებდა. ბაგშვობაში შაპი არაბუნებრივად დაამახინჯეს, რამაც დიდობაში იგი მთელი კაცობრიობის მოძულება აქცია. დამახინჯებული სხეულით შაპი ზერობრივად მტარვალი გახდა. მას ერთ სამარეში სურდა მთელი კაცობრიობის დამარხვა, რომ ყველანი ფეხით გაეთელა. მის ხისტ და მქრქალ სულში რამდენიმე სურვილი ბატონობდა: ეს იყო ძალაუფლების მოყვარეობა, მეორე – სიძუნწე, მესამე – შურისძიება. ყოველივე ამას უკიდურესი ფორმით ეძლეოდა, განსაკუთრებით კი – შურისძიებას. თავისი დაუნდობლობით, აღა-მაჟმად-ხანი ირანის ყველა მის წინამორბედ მბრძანებელს აჭარბებდა. დანდობის, შეწყნარების, კაცომოყვარეობის სიტყვები არასოდეს აღმომხდარა საჭურისი ნადირის ბაგებს. იგი მიჩვეული იყო სიძულვილის, დვარძლისა და გამუდმებით სიკვდილით დასჯის გამომხატველ გამოთქმებს. სწორედ ეს აღა-მაჟმად-ხანი, მთელი ირანის რისხვა, უახლოვდებოდა თბილის და მას მეგზურობას უწევდნენ მეუნუნა (მეჯლუმი) და აბო (იგივე აგო) შაპნაზაროვები, ყარაბახელი მელიქები სომხეთიდან, რომელიც მეფე ერველეს სიკეთით, მფარველობითა და კეთილგანწყობით სარგებლობდნენ.

რისხვა ეკიდა საქართველოს თავზე და ყოველდღე მზადდებოდა ჭექა-ქუხილი; „სევდიანი საქართველოს“ ზეცა ავბედითი ღრუბლებით იფარებოდა.

„თავი დაანებე რუსებს, ჩამოშორდი მათ და ჩვენი მეგობრობა საუკუნოდ ურყევი იქნებაო“ უთვლიდა შაპი ირაკლის. 1795

წლის ავგენითი სექტემბრის დღეებამდე კარგა ხნით ადრე. მსგავსი შემოთავაზება მრავალჯერ განმეორდა, მაგრამ უშედგებოდ. „არამარტო შაპი თავისი ჯარით, არამედ მთელი აზიაც რომ ამხედრდეს ჩემ წინააღმდეგ, მაშინაც კი არ ვუდალატებ რუსეთს“ – უპასუხა ერეკლემ. მეფე საომრად ემზადებოდა, ყველგან შიკრიკები დააგზავნა ბრძანებით, რომ სასწრაფოთ გამოეგზავნათ ჯარი დედაქალაქში, რომელიც თავდაცვით მდგომარეობაში მოიყვანა. ჯარები ნელ-ნელა მოდიოდა, ამიტომ ერეკლეს მდგომარეობა დღითი-დღე რთულდებოდა და ოდნავ მხოლოდ იმან ანუგეშა, რომ 8 სექტემბერს თბილისში მოკავშირე იმერეთის 3000 კაციანი ჯარი შემოვიდა, რომელსაც პირადად მეფე სოლომონ II ხელმძღვანელობდა.

* * *

მეფე ერეკლე მცირერიცხოვანი, 7000-იანი ჯარით მხნედ გაემართა სამოცდაათიათასიან არმიის დასახვედრად. მეფემ ბრძანება გასცა, კავთისხევის მონასტრიდან წმიდა ევსტათის ნაწილები ჩამოესვენებინათ და ხიდზე გამოებრძანებინათ, რათა წმიდანის ლოცვით და მეოხებით, დმერთს მათვის შეწევნა და გამარჯვება მიენიჭებინა.

გადამწყვეტი ბრძოლა კრწანისის ველზე გაიმართა. ქართველთა ჯარმა, მოკავშირე ლაშქართან ერთად, საოცარი სიმამაცე გამოიჩინა; რამდენჯერმე უკუაგდეს მტერი და დროშები აყარეს. „—პირველად ვხედავ, რომ ჩემი მტრები ასე მამაცურად იბრძივიან!“ – თქვა აღა-მაჟმად-ხანმა. მაგრამ მცირერიცხოვანი ძალებით ირაკლი ვერაფერს გახდა მტრის ურიცხვ ურდოსთან და მათი სიმრავლით დათრგუნული იყო, მაგრამ დამარცხებული კი – არა. მეფემ არაგვის ნაპირებისაკენ დაიხია და საქართველოს ყველა კუთხეში ბრძანებები დააგზავნა, ტირანთან საბრძოლველად ახალი ჯარი შეეკრიბათ.

თბილისში ამ დროს საშინელი არეულო-

ბა მოხდა. იქ დარჩენილმა მოსახლეობამ ბედი მტრის გულმოწყალებას მიანდო; მაგრამ მწარედ შეცდნენ – საჭურისისათვის უცხო იყო მოწყალება. ძალაუფლების მოყვარული, შურისმამიებელი და პირქუში საჭურისი იოლად არავის პატივის წევნას. სეიდაბადის ბაღებთან შესახვედრად მისულ მოქალაქეებს შაკმა გამოუცხადა, რომ მისი ძალაუფლების აშკარა უარყოფისათვის, თბილისს ისე დასჯიდა, ეს სასჯელი მათ საშინელ სამსჯავროს მოაგონებდათ, სადაც ყოველი თავად აგებს პასუხს საკუთარი ცოდვებისათვის.

12 სექტემბერს, აგბედით სამშაბათს, შუადღის ორი საათისათვის, სპარსელთა ურდოები შემოიჭრნენ ქალაქში, დაიკავეს თაორის კვარტალი და დაიწყო დარბევა. ეს იყო საქართველოს სამეფო დედაქალაქის – თბილისის რიგით მე-19 გაჩანაგება.⁴ შიიტების მეჩეთმაც კი ვერ შესძლო მის კედლებს შეფარებული მოსახლეობის დაცვა; თავგასულმა სპარსელებმა იქაც შეაღწიეს, ყველა იქ მყოფი დახოცეს, 12-15 წლის ბავშვების გარდა, რომლებიც სხვა მიტაცებულ ნადავლთან ერთად სოღანლუღში წაიყვანეს, სადაც აღა-მაჟმად-ხანის მთავარი ბინა – სადგომი იყო.

13 სექტემბერს – დიდმოწამე ქეთევანის ხენებისა და იერუსალიმის უფლის აღდგომის ტაძრის ენკენიის დღეს (326 წ.) შევიდა შაპი თბილისში. დედაქალაქი ძირფესვიანად დაანგრიეს, ავლაბრის გარეუბანი გადაბუგეს. დიდებული სასახლე, ერმიტაჟი, სამეფო აბანოები, დივანხანა, არსენალი, ტიპოგრაფია და ზარაფხანა გაძარცვეს და დაანგრიეს. ცეცხლს მისცეს სასულიერო სემინარია და კერძო სასწავლო დაწესებულებები, ბავშვები კი თავიანთი სახელმძღვანელოებით ტყვედ წაიყვანეს. აღა-მაჟმად-ხანმა მოინდომა სამეფო დარბაზებიდან მოედანზე საეგზარქოსო მთის აღმართვა, საიდანაც ცეცხლით აბრიალებულ თბილისს გადახედავდა. მისი სურვილი უმაღვე შეასრულებს.

დადგა თბილისისათვის კიდევ უფრო

4. Крат. историч. очеркъ г. Тиф. 1880 г. стр.43

საშინელი დღე – 14 სექტემბერი, როცა ჩვენი დედაქალესია ქრისტეს წმიდა ჯვრის აღმართვას (ჯვართამაღლებას) ზეიმობს. ხმა გავრცელდა, რომ მეფე ერეკლეს მთავარი წამქეზებლები, ირანის ძალაუფლების წინააღმდეგ, სასულიერო პირები იყვნენ. განრისხებულმა შაჰმა ეს რომ შეიტყო, დედაქალაქის ყველა სასულიერო პირის შეკრება ბრძანა. ამ უგუნური ბრძანების გაცემა ჯვართამაღლების დღესასწაულს დაემთხვა და ამით, საქართველოს ეკლესიის სულიერ მწყემსებს, თითქოს ზეციდან შეასხენეს თავდაღების წმიდათა-წმიდა მოვალეობა და რომ მათ ტანჯვა მოელოდათ იმ მაცხოვებელი ჯვრის სახელით, რომელსაც ღმერთკაცი ეზიდებოდა მხრებით წამებაზე ნებაყოფლობით მიმავალ გზაზე.

არაადამიანმა აღა-მაჭმად-ხანმა, მომავალი თაობების ჭკუის სასწავლებლად, ყველა სასულიერო პირის დასჯა ბრძანა. ჯალათებმა მათ ხელები შეუკრეს და მტკვარში გადაყარეს, რომლის ტალღებშიც ჰპოვეს წმიდა მამებმა მარადიული განსასვენებელი. სხვაგვარად მოქცენენ მხცოვან მიტროპოლიტ დოსითეოზეს, დარია (დარეჯან) დედოფლის სულიერ მოძღვარს. სპარსელებმა მას დვთისმშობლის ხატის წინ მუხლმოყრილს შეუსწრეს, შეიპყრეს და მისი საკუთარი სახლის ვენახის ტერასიდან ხელშეუკრელად გადაგდეს მტკვარში. დაღუპულ მღვდლებს შორის იყვნენ: სიონის ტაძრის კანდელაკი იოანე ქართველიშვილი, მღვდელი გრიგოლი და ტაძრის დეკანოზი. სამღვდელო პირთა ოჯახის წევრები ტყვედ წაიყვანეს.

სასულიერო პირთა ამოხოცის შემდეგ, სპარსელებმა უფლის ტაძრების ძარცვას მიჰყვეს ხელი. ეკლესიები მოკლულთა გვამებით აავსეს. სიონის საკათედრო ტაძარში დაწვეს შესანიშნავი კანკელი, გაიტაცეს ძვირფასი წმიდა საღვთისმსახურო ჭურჭელი, ხატების ოქროს შეჭედოლობა. საერთო არეულობაში, სიკვდილს სასწაულად გადარჩენილმა, სწავლულმა დეკანოზმა, იოანე ოსეშვილმა მოასწრო

სიონის დვთისმშობლის ძვირფასი ხატის გადარჩენა. იმ ხატისა, რომელიც ვახტანგ VI-ის ვაჟიშვილმა, ბატონიშვილმა გიორგიმ გამოაგზავნა მოსკოვიდან 1762 წელს, დვთისმშობლის ძველი ხატის სანაცვლოდ, რომელიც უკვალოდ გაქრა მუჰამედ-ყულისანის მიერ თბილისის აოხრების დროს (1723-1729). განდევნილი მეფე ვახტანგ VI კანონმდებლის საგანძური გადმოეფრქვია დვთისმშობლის ხატებას. დეკანოზმა იოანემ ეს ხატი მხარზე შემოიდო და ისე გამოიტანა თბილისიდან. მერე ურემზე დადო და კამაურის მთებში დამალა. 10 დღის მერე, ხატი ისევ სიონის ტაძარს დაუბრუნდა. სპარსელების დამანგრეველი ხელი ტაძრის სამრეკლოსაც შეეხო.

არც კათოლიკური ეკლესია დაინდეს, რომელიც კაპუცინმა ბერებმა დააარსეს 1661 წელს, მეფე ვახტანგ V შაჰნავაზის ხარჯით. დაანგრიეს აგრეთვე სკოლა, რომელიც აღნიშნულ ეკლესიასთან მდებარეობდა და სადაც ადგილობრივ ქართველთა და სომეხთა შვილები სწავლობდნენ. მდიდარი საეკლესიო ბიბლიოთეკა დაწვეს, ტაძარი გააპარტახეს, ხატები ჩამოგლიჯეს, საეკლესიო ჭურჭელი მოიპარეს.

ბარბაროსები არ დაკმაყოფილდნენ ტაძრების შებლადვით: ისინი ავლაბრის ხიდი-საკენ გაემართნენ, სადაც წმიდა ევსტათის ნაწილები იყო დასვენებული. აქ მათ სხვა მხეცური საქციელი ჩაიდინეს: სიწმიდესთან მიჰყავდათ შეპყრობილი ტყვები და უბრძანებდნენ, წმიდა ნაწილები ფეხით გაეთელათ და ყოველგვარი ენით აუწერელი უზნეობა ჩაედინათ. თვითმხილველთა გადმოცემით, ცნობილია, რომ არც ერთ ქრისტიანს არ შეუსრულებია ბოროტმოქმედთა მოთხოვნა. ურჩები მტკვარში გადაყარეს და წმიდა ნაწილებიც მიაყოლეს. მდინარე ცხედრებით აივსო; ქართველთა იორდანეში – წმიდა მდინარე მტკვრის მორევში ჩაძირულთა განწირული გმინვა ისმოდა.

ქალაქის ბაზრებში გაცხოველებული ვაჭრობა იყო – ყიდდნენ ახალგაზრდა

ქალებსა და ქალწულებს. როცა ხედავდნენ, რომ მყიდველები მაინცდამაინც არ ეტანებოდნენ მეძუძურ ქალებს, სპარსელები ძუძუმწოვარ ბაგშებს დედებს მკერდზე აკლავდნენ, რათა ცოცხალი საქონელი სარფიანად გაეყიდათ. მსხვერპლთა კვნესა, განცდები და თრთოლა სპარსელებს ამხიარულებდათ. აღა-მაპმად-ხანის არმიის შემადგენლობაში შემავალი არამარტო ველური ტომები იყვნენ გაწაფული არადამიანური წამების ხერხების მოგონებაში, არამედ მხედართმთავრებიც კი ყოველნაირი საზიზდარი, უმსგავსო საქციელით ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ.

* * *

ყოველი დღის განთიადზე სპარსთა ჯარი ხროვად მოემართებოდა, თავის მბრძანებლის წინამდგრობით, ბანაკიდან საქართველოს დედაქალაქისკენ. აქ მათ თავაშვებულობას საზღვარი არ ჰქონდა: ქალებს იპყრობდნენ და ბანაკში აგზავნიდნენ, სადაც დამებს ამაზრზენ ორგიებში ატარებინებდნენ. მათ შვილებს გზებზე ბედის ანაბარა აგდებდნენ. ქალაქის ჭიშკარს იქეთ გზა სამ წელზე უმცროსი ასაკის ბაგშვებით იყო მოფენილი. მუსულმანების მიერ დაყრილი ბაგშვები საცოდავად მისტიროდნენ დედებს.⁵

აღა-მაპმად-ხანის ისტორიოგრაფი არ მალაგს, რომ საქართველოს დედაქალაქის თბილისის გაჩანაგებისას, სპარსეთის ჯარმა განდგომილ ქართველებს იმის მაგალითი აჩვენა, თუ რა ელოდათ მათ სამსჯავროზე.⁶ ამ გულშემზარავმა სცენებმა რვა დღეს გასტანეს. სარგებლობდა რა მცხოვრებთა უმწეობით, აღა-მაპმად-ხანმა მთლიანად გამოამჟღავნა თავისი სიბოროტე და სიხარბე. მუსულმანები ქრისტიანთა სისხლში ცურავდნენ.

პირველსატახტო ქალაქი მცხეთა აგრეთვე გადამწვარი იყო სპარსელების მიერ. ისინი მცხეთის ცნობილი ტაძრის დაწვასაც აპირებდნენ, მაგრამ რაზმის

უფროსმა – ნახიჭევანის ხანმა შეაჩერა. – არ ეგების სიწმინდისა და მეფეთა საფლავების წაბილწვა, – უთხრა მან თავის მეომრებს. მონასტრის ქონება წარიტაცეს და ყველგან უმრავი მოკლული ეგდო. კათალიკოსის მოსაყდრემ და ბერებმა წასვლის წინ, მონასტრის ქონება საიდუმლო ადგილას, კედლის შიგნით დამალეს, ყველაზე მაღლა, სადაც ხვრელი იყო გაკეთებული და სხვა ქვების მსგავსი ქვებით იყო დაცობილი. როცა ქონება გადამალეს, ბერებმა სიჩქარით იმ ადგილზე კიბე დატოვეს. სპარსელებმა ამის გამო მიაგნეს სამალავს და ქონება გაიტაცეს.

20 სექტემბერს აღა-მაპმად-ხანი მდიდარი ნადავლით გაემართა სპარსეთისაკენ. თან მიჰყავდა 16000 ტყვე, უმეტესად ულამაზესი ახალგაზრდა ქალები და ქალწულები. აღა-მაპმად-ხანი სწრაფად მიიწევდა წინ, რადგან იცოდა, რომ მეფე ირაკლი ჯარს აგროვებდა და მის შურისძიებას უფრთხოდა; ეშინოდა, რომ იგი გზაზე გადაედობებოდა. საქართველოს დიდი ხანი იყო მსგავსი დარბევა აღარ განეცადა. საჭურისის ჯარისკაცებმა გაუგონარი, დესპოტურ აზიაში დიდი ხნის დავიწყებული ბარბაროსობა გამოიჩინეს.

სპარსელთა მიერ საქართველოს სამეფო დედაქალაქის დარბევა, ცნობილმა სასულიერო მჭერმეტყველმა, მიტროპოლიტმა ამბროსი ნეკრესელმა ასე აღწერა: „რას იფიქრებდით, აბობოქრებული ზღვის შუაგულში, პატარა ნავში მჯდომი ადამიანი რომ დაგენახათ, რომელიც მენავის გარეშე დარჩენილა და რომელსაც შიშისგან ხელიდან ნიჩბები დაცვენია და ტალღები აქეთ-იქით ახეთქებს? ხომ ძალიან შეგაცოდებოდათ სიკვდილისთვის განწირული ეს ადამიანი?“

აბობოქრებული ზღვა – ეს არის ჩვენზე მოწევნილი ღვთის რისხევა; პატარა ნავი კი მტრებით მუდამ გარშემორტყმული ჩვენი ქვეყანაა; მწუხარებით ადგსილი ხალხი, რომელიც სიბრალულს იწვევს – თავად ჩვენ ვართ, საქართველოს მკვიდრნი; მენავე – ჩვენი იმედი და მეოხეი, ყოვლად-წმიდა ღვთისმშობელია; ნიჩაბი და საჭე

5. ი. ს. N 3-4 „Пастырь“ 1896 გ.

6. Сын отечества, 1835 გ. стр. 333

– ჩვენი ლოცვა-მუდარაა დვთის მიმართ. შეჭირვებულნი ვართ ჩვენ, ძმებო, მეტისმუტად შეჭირვებულნი, ამ პატარა ნავში – საქართველოში... ერთნი ქონების გარეშე დარჩენენ, მეორენი – ქმრებისა და ცოლების გარეშე, მესამენი – დაობლდნენ, მეოთხენი უდროოდ დაიღუპნენ ჯვრის და სარწმუნოების მტრებთან უთანასწორო ბრძოლაში... დვთისმთხობლის მიერ გამორჩეული ეს ქვეყანა, ყველაზე მეტადა არის დამცირებული, ყველასაგან დათრგუნულია და განაწყენებული.“⁷

მაგრამ შაპს ძვირად დაუჯდა თბილისის აოხრება. მან მალე იგემა დვთის სასჯელი. მანაც იწვნია თავისი მხეცობისა და ტირანის მსხვერპლთა ცრემლები. „მისი ბედი გადაწყდა“ 1797 წლის 4 ივნისს. საფარ ალი-ბეგმა, საქართველოდან წამოსულმა, მცხეთაში დაბადებულმა მისმა საყვარელმა ნუკერმა (აღმოსავლეთის ზოგიერთ ხალხში: ხანის, მხედართმთავრის პირადი დაცვის მებრძოლი; მსახური) მოკლა ეს მტარვალი. ტირანის სიკვდილი ბედნიერი მოვლენა იყო ყველა მისი ქვეშევრდომისათვის და არაერთი შვილებზე მგლოვიარე დედის ცრემლი დაშრიტა, არაერთი ირანელი გაახარა იმ ბოროტმოქმედის სიკვდილმა, რომელსაც მხოლოდ ადამიანთა სისხლი სწყუროდა.

* * *

ორშაბათს, 11 სექტემბერს (1895 წ. – რედ.), თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამდოლის, მისი საიმპერატორო უდიდებულესობის კარის კამერპერის (ზოგიერთ მონარქიულ სახელმწიფოში: ერთ-ერთი წოდებულება სამეფო კარზე (კამერ-იუნკერზე მეტი); ამ წოდებულების მქონე პირი), კონსტანტინე ივანეს ძე ბაგრატიონ-მუხრანსკის ინიციატივით, წმიდა ნიკოლოზის ბერძნულ ეკლესიაში, გორის ეპისკოპოსმა, მისმა უწმიდესობამ ალექსანდრემ, ქალაქის ყველა სასულიერო პირთა დახმარებით ლიტურგია ჩაატარა, რომელსაც უამრავი ხალხი ესწრებოდა. ლიტურგიის ბოლოს სამადლო-ბელი ლოცვა აღავლინეს უფლის მიმართ

და მრავალუმიერი უთხრეს დღევანდელ სამეფო გვარეულობას, რუსეთის ქრისტემოყვარე ჯარს, რომლის საფარქვეშაც საქართველომ საუკუნეა რაც მშვიდობა მოიპოვა. პარაკლისის მერე, კრწანისის ველზე, ქვეყნის მაღალჩინოსანთა, ამიერკავკასიის დეპუტაციისა და თავადაზნაურთა მეთაურების თანდასწრებით პანაშვიდი გადაუხადეს 1795 წლის 11-12 სექტემბერს სარწმუნოებისა და მამულისათვის დაღუპულ მეომრებს.

ხოლო, როცა გულწრფელ, გულითად მადლობას აღვავლენთ დვთის მიმართ რამეთუ მხენელად ერთმორწმუნე რუსი ხალხი გამოგინინა, ... უნდა ვუმადლოდეთ, არ დავიგიწყოთ აღა-მაჰმად-ხანის ურდოების წინააღმდეგ მებრძოლი ჩვენი სახელოვანი წინაპრები, რომლებმაც ძალა არ დაზოგეს, რომ მოწამეობრივ ქვეყანაში ქრისტიანთა სისხლისლვრა შეეჩერებინათ. საერთო ხმას აწ ჩვენც ერთსულოვნად შევუერთდეთ და გულით, მადლიერების გრძნობით წარმოვთქვათ:

სამარადისო ხსოვნა თქვენ, ყოველთა, მამაცო მებრძოლებო და მარადიული მადლობა ჩვენგან, თქვენი შორეული შთამომავლებისაგან, ჭეშმარიტად ქრისტიანული თავდადებისათვის! ყოველი თქვენგანის ძირფასი სახება, დაე, წარუშლელად იყოს აღბეჭდილი ყოველი ქართველის, ყოველი ჭეშმარიტი მამულიშვილის გულზე. დაგ, თქმულებები და გადმოცემები თქვენზე, თქვენს თავდადებულ ცხოვრებაზე, უსაყვარლესი მონათხოვი იყოს მრავალტან-ჯულ იბერიაში და დაე, თქვენი საონოება, სამშობლოს სიყვარული და ქრისტიანული სარწმუნოებისადმი ერთგულება დგდის რძესთან ერთად შეითვისონ შემდგომმა თაობებმა!

საუკუნო ხსენება! საუკუნო ხსენება! საუკუნო ხსენება!

(„Пастырь“ 1895 გ. N5-6.
1896 გ. N1,2,3,4.)

რუსულიდან თარგმნა
რუსულან ჭანტურიშვილმა
ფილოლოგიის დოქტორი

ZALISAEBR ARVASRULEBT RVTIS NEBAS

არქიმანდრიტი ლაზარეს (გაგნიძე) სამღვდელო ხარისხში
მსახურების 20 წლისთავისათვის

მამა ლაზარე, წელს სამღვდელო
ხარისხში თქვენი ხელდასხმის 20 წელი
სრულდება. რა გზა გამოიარეთ სასული-
ერო წოდებაში მოსვლამდე?

მართლაც მიფიქრია ამ გზაზე. მიფიქრია
რომ სამღვდელო ხარისხში ჩემს ადყვანა-
მდე და ბერად კურთხევამდე, ბავშვობის
წლებიდანვე, ამ გზას ვადექი. განსაცდელ-
ბით აღსავს ვიწრო, მძიმე გზა გამოვიარე:

დავიბადე თბილისში 1937 წლის 4
თებერვალს. დედა ოთხი წლისას გარდა-
მეცვალა. ბებია გვზრდიდა ობლად დარ-
ჩენილებს: მე, ორ მმას და დას. ბებია –
ეფროსინე გაგნიძე-რეხვიაშვილისა, სამ-
ღვდელო ჩამომავლობისა იყო და ერთგუ-
ლად ადასრულებდა მარხვას და ლოცვას.
მან დიდად განაპირობა შემდგომში ჩემი
სულიერი ცხოვრება. ომის მძიმე წლებში
ბებიასთან ვიმყოფებოდი, რაჭაში. შემდგომ
იყო დედინაცვალთან გატარებული მძიმე
ოჯახური ცხოვრება...

1956 წელს დავამთავრე თბილისის 58-ე
საშუალო სკოლა. იმავე წელს ჩავირიცხე
თბილისის უცხო ენათა პედაგოგიურ ინ-
სტიტუტში – გერმანული და უნგრული
ენის სპეციალობით. 1961 წელს დავამ-
თავრე ინსტიტუტი და კათედრაზე დამ-
ტოვეს. შემდეგ ინსტიტუტთან არსებული
უმაღლესი პედაგოგიური კურსები დავამ-
თავრე... ვიყავი საქართველო-უნგრეთის
და გერმანიის მეგობრობის საზოგადოე-
ბის თავმჯდომარის მოადგილე (თავმჯდო-
მარე აკადემიკოსი აღექსანდრე ბარამიძე
იყო). ხალხებს შორის მეგობრობის გან-
მტკიცებისათვის, რამდენიმეგზის დამა-
ჯილდოვეს. 1972-85 წლებში გერმანელ
და უნგრელ პოეტებისათვის ბწყარედით
ვთარგმნიდი ქართულ პოეზიას და პირიქ-
ით, ქართველ პოეტებისათვის ვაკეთებდი
ბწყარედებს. მაგალითად, გერმანელი პო-
ეტის, პერმან ბუდეზინგისთვის, მოვამზადე
ბწყარედი ირაკლი აბაშიძის პოეტური
ციკლისთვის „რუსთაველის ნაკვალევზე“;
ქართული საბჭოთა ენციკლოპედიისათვის

მოვამზადე უნგრელ მწერალთა და კულ-
ტურის მოღვაწეთა შესახებ სტატიები.

1969-96 წლებში, უცხო ენების ინსტი-
ტუტის პარალელურად, ვმუშაობდი უფროს
მეცნიერმუშაკად ქართული ლიტერატუ-
რის ისტორიის ინსტიტუტში, სადაც აკა-
დემიკოსმა აღექსანდრე ბარამიძემ მიმი-



არქიმანდრიტი ლაზარე (გაგნიძე)

წვია და 1973 წელს დავიცავი სადოქტორო
დისერტაცია თემაზე „შოთა რუსთავე-
ლის „ვეფხისტყაოსნის“ უნგრული თარგ-
მანები“. ვიკლევდი ქართულ-უნგრულ და
ქართულ-გერმანულ ლიტერატურულ ურთ-
იერობებს. საქართველოს მეცნიერებათა
აკადემიის და ჯავახიშვილის სახელმწიფო
უნივერსიტეტის სამეცნიერო კრებულებში
გამოქვეყნებული მაქვს 40-მდე სამეცნიერო
ნაშრომი, გამოვეცი გერმანულ-ქართული
ლექსიკონი (1990 წ.) და ქართულ-გერმან-

ული ბოტანიკური ლექსიკონი (2008 წ.). 1998 წელს მთავრობამ დირსების ორდენით დამაჯილდოვა.

ხშირად მიწევდა გერმანიას, უნგრეთსა და ავსტრიაში სხვადასხვა დონისძიებებში მონაწილეობა. 1966 წელს რუსთაველის 800 წლისთავის ზემის საორგანიზაციო – სამთავრობო კომისიის წევრი ვიყავი; და ამ ზემის ჩამოსულმა გერმანელმა პროფესორმა, ქართველოლოგმა, გერტრუდ პეჩმა დამიმოწაფა. მისი მეშვეობით, 1966-70 წლებში ბრწყინვალე სკოლა გავიარე იქნის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტში. იმსანად, პროფესორი პეჩი გერმანულად თარგმნიდა კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენას“ და „ქართლის მოქცევას“, რაშიც მოკრძალებული წვლილი მეც შევიტანე. პეჩმა მეგობრული ურთიერთობა დაამყარა იქნის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტსა და ჯავახიშვილის უნივერსიტეტს შორის, რასაც შედეგად მოჰყვა სტუდენტ-პროფესორთა გაცვლა. ამ პერიოდში საქმიანი და მეგობრული ურთიერთობა მქონდა აკადემიკოს ილია ვეკუასთან, კონსტანტინე გამსახურდიასთან, შემდგომ – ზვიად გამსახურდიასთან. პროფესორი პეჩი კარგად იცნობდა ომამდელ ქართულ ემიგრაციას გერმანიაში. მისგან უშუალოდ ბევრი რამ შევიტყვე გრიგოლ ფერაძის, გრიგოლ რობაქიძის, გენერალ მადლაკელიძის შესახებ...

ასეთი აქტიური საზოგადოებრივი და სამეცნიერო ცხოვრებიდან, მრავალი ჯაფისა და განსაკდელის შემდგომ, როგორ გადაწყვიტეთ სასულიერო წოდებაში მოსვლა და როგორ მოხვედით სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტერში?

ჩემი ცხოვრების „მეათერომეტე ქამს“, 54 წლის ასაკში, მოვედი ეკლესიაში. მიუხედავად აქტიური ცხოვრების წესისა, სულიერ სიღატაკეს მუდამ განვიცდიდი; ხშირად ვფიქრობდი ეკლესიური ცხოვრების გზას შევდგომოდი, მაგრამ წინააღმდეგობაში ვვარდებოდი. ეკლესიაში ჩემი მოსვლა ეროვნული მოძრაობის მარცხს ემთხვევა. 1991 წლის დიდმარხვის დასაწყისში სამთავროს დედათა მონასტერში დავიწყვე სიარული, როგორც მრევლმა. დღემდე აუხ-

სნელია ეს ჩემთვის – ეს იყო დვთის ნება. იმსანად მე და პეტრე გრუზინსკი ერთად ჩავდიოდით მცხეთაში. პეტრე სვეტიცხოველში მიდიოდა, მე – სამთავროში შევიდოდი. ასე აღმოვჩნდი სამთავროს დედათა მონასტერში. არაფერი ვიცოდი მაშინ ეკლესიურ ცხოვრებაზე. მივედი და დავდექი. იქ, პატარა ქვაზე დირსი გაბრიელი იყო ჩამომჯდარი, დედა სუსანაც იქვე იდგა და რომ დავუნახივარ, უთქვამს: „აი ბიჭი ჩვენიაო.“

პირველი აღსარება მეუფე დანიელს ჩავაბარე, მაგრამ ჩემი პირველი მოძღვარი მეუფე იოსები იყო.

უწმიდესმა და უნეტარესმა 1992 წლის 14 ოქტომბერს სამთავროში დიაკვნად მაკურთხა და სახელად მირიანი დამარქვა, მოციქულთასწორ მეფე მირიანის სახელზე. და დღესაც კი, უწმიდესი მირიანის მემახის. მეუფე იოსებმა (რომელიც იმხანად სვეტიცხოვლის წინამდღვარი იყო) სვეტიცხოველში გადამიყვანა. ფაქტიურად იქ ჩამოვყალიბდი სასულიერო მოღვაწედ. ჩემი სასულიერო სემინარიაცა და აკადემიაც სვეტიცხოველი იყო. 1995 წლის პირველ ივნისს, წმიდა ნინოს სესხების დღეს, მეუფე დანიელმა მღვდლად დამასხა ხელი. შემდგებ, ერთხანს, ძეგვის ეკლესიაში ვმსახურობდი, სადაც არც მრევლი იყო და არც ტაძარი. ადრე იქ პურის საცხობი ჰქონდათ გამართული. არც საღვთისმსახურო წიგნები გამაჩნდა და არც სამდვდელო შესამოსელი; რთულ პირობებში მომიწია მსახურება. შემდეგ უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ქაშვეთის წმიდა გიორგის ეკლესიაში დამადგინა, სადაც 12 წელი დაგყავი; მაგრამ სამთავროს მონასტერს არასდროს დაცილებივარ. ქაშვეთში მსახურების პარალელურად, 1998 წლიდან 2007 წლამდე სამთავროს დედათა მონასტერის მწირველი მღვდელი ვიყავი; მონასტერის სულიერი მოძღვარი მაშინ აქ იყო მეუფე მიქაელი. 2001 წლის 7 აპრილს უწმიდესისა და უნეტარესის ლოცვა-კურთხევით, შიომღვიმის მონასტერში ბერად აღმკვეცა იმსანად მონასტერის წინამდღვარმა, არქიმანდრიტმა მიქაელმა (გაბრიჭიძე) და მომანიჭა იღუმენის ხარისხი. 2007 წლის 25 ოქტომბერს,

უწმიდესმა ილია II-მ ამიუგანა არქიმანდრიტის ხარისხში, ხოლო 2010 წლის 2 აგვისტოს, უწმიდესმა და უნეტარესმა დამაჯილდოვა მეორე ჯვრის ტარების უფლებით. უწმიდესის კურთხევით, 2008 წლიდან სამთავროს დედათა მონასტერში სული-



სამთავრო. 2015 წ.
უწმიდესი და უნეტარესი ილია II
და არქიმანდრიტი ლაზარე (გაგნიძე)

ერ მოძღვრად დამადგინეს და დღემდე ამ მსახურებას აღვასრულებ.

დირს მამა გაბრიელთან ურთიერთობიდან რას გაიხსენებდით?

მამა გაბრიელთან თბილი ურთიერთობა მაკავშირებდა. დედებიც კეთილგანწყობილი იყვნენ ჩემს მიმართ: დედა სუსანა, დედა ეპრაქსია, დედა სიდონია და იმხანად უკვე წინამდებარი, იღუმენია ქეთევანი. მამა გაბრიელი გულთამხილავი იყო და მკაცრი. ხშირად მოფერებით მეკითხებოდა: „საიდან ასეთი სიმდაბლეო?“ დირსი მამა გაბრიელის მრავალი სწავლა მახსოვს, მაგრამ აქ მოვიყვანდი ერთ ეპიზოდს: ერთხელ მეუფე იოსებმა ძალად შემიყვანა საკურთხეველში (თავს უდირსად ვთვლიდი). წირვის დასრულების შემდეგ ჩემში ყველაფერი შეიცვალა. შინ მიბრუნებულმა

საჭირო ნივთები ავიღე, ტაძარში დავბრუნდი, საკურთხეველში შევედი და დავიწყე კედლების და იატაკის წმენდა. ამ დროს მამა გაბრიელი შემოვიდა და მითხრა: „ჰა, „უბორკა“ – გაქვსო?“ სხვათაშორის ჩაილაპარაკა და მიმახვედრა, რომ ეს საქმე კურთხევით უნდა შემესრულებინა. შემდეგ დასძინა: „ეხლა ამის დრო არ იყო და როცა დადგება „უბორკის“ დრო, შეგახსენებო.“ ეს დღეც დადგა – 1993 წლის ფერისცვალების წინა დღე იყო. ხელებდაკაპიტებულმა მამა გაბრიელმა გვერდით ამომიყენა და მითხრა: „აბა, „უბორკის“ დღეც დადგაო.“ ასე აღვასრულე საკურთხეველში ჩემი პირველი მორჩილება, ღირსი გაბრიელ აღმსარებელისა და სალოსის გვერდით.

მამა ლაზარე, თქვენ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესის ერთ-ერთი წამყვანი დედათა მონასტრის სულიერი მოძღვარი ხართ. რას იტყოდით დღევანდელ სამონასტრო ცხოვრებაზე და კერძოდ, სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტერზე?

სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტერი საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში და ზოგადად ქართულ სასულიერ ცხოვრებაში, ერთ-ერთ ძლიერ სულიერ სავანედ ჩამოყალიბდა, სადაც თანდათან იკვეთება ქართული სამონაზვნო ცხოვრებისათვის დამახასიათებელი ტრადიციების ნიშნები – ლოცვასა და ხელსაქმესთან ერთად, საგანმანათლებლო, მწიგნობრული მოღვაწეობა, რომელიც უზრნალ „სამთავროს მაყვლოვანის“ გამოცემას უკავშირდება; ასევე, პირველი ნაბიჯები გადაიდგა მონასტრის მატერიალური ბაზისათვის, კერძოდ სამეურნეო საქმის აღორძინებისათვის.

ჩვენი მონასტრის სულიერ ზრდაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ საქართველოს დედათა მონასტრების ამჟამინდელი წინამდლვრების უმრავლესობა სამთავროს დედათა მონასტერში აღიზარდა სულიერად და აქვე აღიკვეცა მრავალი მათგანი. ახლახან, სრულიად მოკლე ხანში, მცხეთის სამთავროს მონასტრიდან გამოირჩა, საიდუმენიო ხარისხში აღიყვანეს და სხვადასხვა მონ-

ასტრის წინამდღვრებად დაადგინეს სამი იღუმენია, რაც სავანის გამორჩეულობაზე მიუთითებს. სხვა ბევრის თქმაც შეიძლება. მაგალითად, სამთავროს დედათა მონასტერი საქართველოს ყველა სხვა მონასტრებს შორის რიცხობრივად გამორჩეულია – დღეისათვის აქ სამოცამდე მონოზონი და მორჩილია. უმრავლესი მათგანი ჩემს მიერ არის აღკვეცილი.

ცნობილია აგრეთვე, რომ სამთავროს დედათა მონასტერი დღემდე ისტორიული, ათონური, ტიპიკონით ხელმძღვანელობს. ჩვენ ვცდილობთ დაგიცვათ ტრადიციული საუფლო გზა, ლოცვის და ფიზიკური შრომის ღვაწლისა... ამ გზაზე ვერანაირ „სიახლეს“ და კორექტირებას ვერ დავუშვებთ.

დღეს ბევრს ლაპარაკობენ სეკულარიზაციაზე, ერისა და ბერის ცხოვრების წესის აღრევაზე – ეს ბოლო დროის შავი ნიშანია. დრო აჩქარდა, გადაადგილების საშუალებები აჩქარდა... წინათ მონასტრიდან იშვითად გადიოდნენ ბერ-მონოზნები, დღეს კი მონასტრიდან გასვლა გახშირდა და ეს ჩვეულებრივ მოვლენად იქცა; ისინი სხვადასხვა ყოფით პრობლემებზე მიმოდი-

ან, რაც არ უნდა იყოს სასურველი. ერისკაცთა მონასტერში „მოშინაურება-დამეგობრებაც“ არ არის სასურველი. მკაცრად უნდა დავიცვათ მონასტრებში წინამდღვრის უფლება-მოვალეობანი. ყველანაირად უნდა ცდილობდეს სულიერი მოძღვარი და ვცდილობ კიდეც, რომ მონასტრის წინამდღვრის ლირსებას ავამაღლებდეთ. გახსოვთ, ალბათ, წმიდა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან, წინამდღვარსა და მოძღვარს შორის ურთიერთდამოკიდებულება – ეს ყველამ უნდა გაითვალისწინოს.

დედათა მონასტრის და მით უფრო სამთავროს დედათა მონასტრის სულიერი წინამდღვრობა ჩემგან განსხვავებულ ღვაწლს ითხოვს, რათა დავუბრუნდეთ ამ მონასტრის მდიდარ სულიერი ცხოვრების ძირებს, რაც იოლი არ არის აღსასრულებლად, მაგრამ უფლის შემწეობას ყოველთვის ვგრძნობდი და ძალისაებრ აღვასრულებდი დათის ნებას. ამინ!

ესაუბრა მონოზონი ანა (ნიაური)
სამთავრო – 2015 წელი



სამთავროს მონასტრის მდვდელმსახურნი და კრებული

2015 წ.

IRUMENIAD KURTXEVIS 24 WLISTAVI

13 ივლისს, სკეტიცხოვლობის დღესასწაულზე, წმიდა ნინოს დედათა მონასტერმა წინამძღვრის, იღუმენია ქეთევანის ამ მაღალ წოდებაში კურთხევის 24 წლისთავი ალნიშნა.

მონასტერს ესტუმრნებ და დედა ქეთევანს ღირსესახსოვარი დღე მიულოცეს სხვადასხვა მონასტრებში მოდგაწე იღუმენიებმა, რომლებიც სამონოზვნო ცხოვრების გზას სამთავროს დედათა მონასტრებში შეუდგნენ: იღუმენია ბარბარე (გრიგალაშვილი), იღუმენია ბარბარე (კაპანაძე), იღუმენია ღინარა (ქვარაია), იღუმენია მარიამი (ტი-კურიშვილი), იღუმენია თეკლა (გველესიანი), იღუმენია ეფემია (დუმბაძე). სტუმართა შორის იმყოფებოდა იღუმენია ანა (ქარდაგა). სტუმრებმა საჩუქრები გადასცეს იღუმენია ქეთევანს; მონასტრის ეზოს მოძღვარმა, დეკანოზმა გაბრიელმა ღირსი გაბრიელ აღმსარებელისა და სალოსის წმიდა ნაწილებთან პარაკლისი გადაიხადა. ტრაპეზის შემდეგ იღუმენია ქეთევანი, სტუმრებისა და მონასტრის დედების თანხლებით საპატრიარქო ლოცვას დაესწრო. ლოცვის დასასრულს უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ იღუმენია ქეთევანს მიულოცა იღუმენიობის 24 წლისთავი და საჩუქრად გადასცა ძვირფასთვლებიანი სკვნილი.

მკითხველს ვთავაზობთ იღუმენია ქეთევანთან საუბარს, რომელიც ჩაიწერა მონოზონ-მა ანამ (ნიაური).



უმიღესი და უნეტარესი ილია II და სხვადასხვა მონასტრის წინამდღვრები

* * *

დედა ქეთევან, როგორ შეუდექით სამონასტრო ცხოვრების გზას?

დგოის განგებით, ჩემი ეკლესიური
ცხოვრება უწმიდესს და უნეტარესს, სრუ-
ლიად საქართველოს კათოლიკოს-პატრი-
არქეს ილია II-ს უკავშირდება. სიცარიელის
და დაუქმაყოფილებლობის გრძნობა მუდამ
თან მსდევდა და მხოლოდ მაშინ, როცა
პირველად დავისწარი წირვას სიონის

საკათედრო ტაძარში და მოვისმინე სრულიად საქართველოს საჯეთმპყრობელის ილია II ქადაგება, მივხვდი, რასაც ვეძებდი. ამის შემდგომ გადავწყვიტე ჩემი ცხოვრება უფლისათვის მიმედვნა. რჩევისათვის კათოლიკოს-პატრიარქთან საპატრიარქო რეზიდენციაში მივდი.

აწ განსვენებულმა ზურაბ ჭავჭავაძემ
შემიყვანა უწმიდესთან. მანვე მასწავლა, რო-

გორ უნდა ამედო კურთხევა პატრიარქისგან. უწმიდესმა დანახვისთანავე უთხრა ჩემზე ბ-ნ ზურაბს – „როგორი სამონოზნოა?!“, ზურაბიც ლიმილით და თავის დაკვრით დაეთანხმა. ჩემდა გასაკვირად, უწმიდესმა მისვლის დღესვე მიმიღო და დამტოვა საპატრიარქოში. ამ დღიდან დავტოვე კორნელი კეკელიძის სახელობის ინსტიტუტი და საპატრიარქოში დავმკვიდრდი. შვიდი წლის განმავლობაში, ვიდრე სამთავროს მონასტერში გადასვლამდე, არ მოგლებია მისი უწმიდესობის მზრუნველობა და მამობრივი სითბო, მანუგეშებდა მისი მადლიანი ლიმილი და მაღალი ზნეობა. უწმიდესი გახდა ჩემი ცხოვრების წინამდღვარი.

1984 წელს უწმიდესმა მორჩილად მაკუთხა, სკვილის გადმოცემისას მითხრა: „ეს სკვილი იერუსალიმიდან ერთადერთი ჩამოვიტანე და შენ გერგორ“ – მარცხენა ხელზე გამიკეთა და დაამატა: „ეს არის სულიერი მახვილი ხილულ და უხილავ მტრებთან საბრძოლველადო“. უსაზღვროდ ბედნიერი ვმადლობდი უფალს და საყვარელ პატრიარქს ჩემი სულიერი ცხოვრების წარმართვისათვის.

1986 წელს უწმიდესმა, სიონის საკათედრო ტაძარში, სამ მორჩილთან ერთად სამონოზნედ მაკურთხა. მიწოდა ნინო – მოციქულთასწორის სახელი. შემმოსველი თავად პატრიარქი ბრძანდებოდა.

1987 წლის ზამთარს, იღუმენია ანა აჭაიძის გარდაცვალებიდან 40 დღის გასულს, უწმიდესმა მცხეთაში, სამთავროს დედათა მონასტერში ჩემი გადმოყვანა გადაწყვიტა. დამიბარა და მითხრა: „შენი საბოლოო ადგილი მცხეთაშია, იქ უნდა ჩაეწერო“, შემდგომ დიდხანს მესაუბრა მონასტრულ ცხოვრებაზე – „მონასტერში რომ მიხვალ ნურავის შეხედავ, გამოსწორება შენი თავიდან დაიწყეო“ – მამობრივი სიყვარულით დამარიგა. ამ სიტყვების ძალა დღემდე არ განელებულა ჩემში. ასე დაწყო ჩემი სამონასტრო ცხოვრება.

1988 წელს, უწმიდესმა მონასტრული ცხოვრების უკეთ გასაცნობად და გამოცდილების მისაღებად, პიუხტიცის (ქსტონეთი) რუსულ დედათა მონასტერში გამგზავნა, 16-კაციან ჯგუფთან ერთად. იმ დღეს, ვიდრე უწმიდესის გადაწყვეტილებას შევიტყობდი, მე და მორჩილი მაია ებრალიძე (ამჟამად მონოზონი ეკატერინე) ფასანაურში ვიყავით წმიდა იოანე

ნათლისმცემლის დღესასწაულზე. წირვის შემდეგ მეუფე ზოსიმე ქადაგება ასე დაასრულა: „იოანე ნათლისმცემელი თავის დღესასწაულზე განსაკუთრებით შეეწევა ყველა მლოცველს, რწმენით თუ ითხოვთ, აუცილებლად აგისრულდებათო“. წმიდა იოანე ნათლისმცემლის ხატთან მდგომა, სასოებით ვევედრე მეოხებას წმიდანს და შევთხოვე, რომ ჩემთვის მონოზნობის გზა ესწავლებინა, მინდოდა ღრმად ჩავწვდომოდი და გამეცნობიერებინა გზა, რომელსაც ვადექი. მონასტერში მობრუნებულებს, სვეტიცხოვლის მდვდელმა, მამა ზურაბმა, მაცნობა, რომ უწმიდესი მიხმობდა. მორჩილ მაიასთან ერთად გამოვცხადდი საპატრიარქოში. მისმა უწმიდესობამ თავისთან შემიყვანა, პიუხტიცის დედათა მონასტერში წასვლა შემომთავაზა: „ერთი თვით უნდა გაგიშვა, შენ რას იტყვიო?“ – მე არსად წასვლა არ მინდოდა. უწმიდესისგან ერთი თვით ასე შორს ყოფნა ძალიან გამიჭირდებოდა და დაუფიქრებლად ვუპასუხე: „ვერ შევძლებ თქვენო უწმიდესობავ, იქნებ არ გამიშვათ-მეთქი!“ „მე არ გაძალებ, მაგრამ ვფიქრობ, წასვლა სჯობია, შენოვის კარგი იქნებაო.“ – მომიგო უწმიდესმა. იყოს ნება უფლისა-მეთქი და დავთანხმდი. შემდეგ უწმიდესმა რამდენიმე რჩევა მომცა, თან დამავალა: „დღიური იქონიერ და რასაც ერთი თვის მანძილზე ნახავ და გააკეთებ, ყველაფერი ჩაწერე და ჩამოსვლისას ჩამომიტანეო“. დამლოცა და გამომისტუმრა. სენაკში დაბრუნებულს, ანაზდად გამახსენდა ჩემი ვედრება იოანე ნათლისმცემელისადმი – „მონოზნობის გზა მასწავლე-მეთქი“ და მივხვდი, უწმიდესის სიტყვით, ამ გზაზე მიმითითა. გავხალისდი, პატრიარქის რჩევა ჭეშმარიტად დგვის კურთხევად მივიჩნიე.

მართლაც ნაყოფიერი აღმოჩნდა ჩემთვის პიუხტიცის დედათა მონასტერში გატარებული ერთი თვე, ამ ხნის მანძილზე ბევრი რამ ვნახე. აწ გარდაცვლილ იღუმენია ვარვარას (ტროფიმოვა) წინამდღვრობით, სანიმუშოდ აწყობილი მონასტერი მოვიღოცე, ყველგან და ყველაფერში წესრიგი სუფევდა, ყველა თავისი საქმით, მორჩილებით იყო დაკავებული; მონასტერში ერთ ხმამაღალ სიტყვასაც ვერ გაიგონებდით; დები შეხვედრისას ერთმანეთს მხოლოდ „შემინდე“ და „დამლოცეთი“ მიმართავდნენ და მაღევე განშორდებოდნენ. ყველაფერმა ამან ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა.

ესტონეთიდან საპატრიარქოში დაბრუნებულს, უწმიდესმა მკითხა: „აბა, რა გასწავლეს მონასტერში?“ – „მგონი მორჩილება, თქვენო უწმიდესობაზ“ – მოკლედ ვუპასუხე. „მორჩილება?!“ – ხმამაღლა გაიცინა და მომეფერა პატრიარქი. – ამით დაფარა ჩემი გამოუცდელობა. შინაგანად ვიგრძენი, რომ ვთქვი ის, რაც ჯერ სრულიად არ მესმოდა, რამეთუ სიმდაბლე და მორჩილება წმიდათა თვისებებია და მე ერთ თვეში ამ უმაღლეს სათხოებებს როგორ შევიძნდი? ჩემი მაშინდელი პასუხი და პატრიარქის დიდბუნებოვანი მოქმედება ხშირად მასენებება... ჭეშმარიტი მორჩილების მოსაპოვებლად, მოსაგრე ხომ მონასტერში მთელი ცხოვრების მანძილზე მოღვაწეობს.

როგორია მონასტრის წინამძღვრის წესება და რამდენად რთულია მისი ადსრულება?

მამა გაბრიელის სიტყვით, „იღუმენიობა მარტო ხარისხი კი არ არის, არამედ დამამდაბლებელიცაა. თუ იღუმენია სიმდაბლისკენ მიდის, მაცხოვნებელიაო.“ როგორც მოძღვრის, ისე წინამძღვრის უპირველესი მოვალეობაა, მასზე მინდობილი დების კრძალი სულის ხსნისკენ, დმერთან მიიყვანოს, ცხონებისკენ წარმართოს. იზრუნოს თითოეულ წევრზე. მონასტერში არსებობს უწმიდესის დადგენილი სამი კანონი, რომლის შესრულება უმთავრესია:

1. **არ განიკითხო.**
2. **რაჟამს მოყვასი ბრალს გდებდეს, თავს ნუ იმართლებ, სთხოვე შენდობა და განშორდი.**
3. **ყოველ ადამიანში დაინახე მხოლოდ სიკეთე, მიმართე მას კეთილი სიტყვით, თუ ეს არ ძალგიძს – ნურაფერს ეტყვი.**

უწმიდესი შეგვაგონებდა: „მონასტერში ხმამაღლა არ უნდა ისაუბროთ, კრძალულად, მდუმარებით უნდა დადიოდეთ“. ერთხელ მამა გაბრიელს ვკითხე: „იქნებ ჯობია შენიშვნა არ მივცე დედებს?“ მამა გაბრიელმა მიპასუხა: „მაშ სჯულისკანონი რატომ დაიწერა? მაშინ არაფერი ყოფილა ამოდენა სჯულისკანონი! შენ ვალდებული ხარ რომ უთხრა და მიუთიოთ, დაო და დედაო, ისინი იმაზე აგებენ პასუხს, რომ კურთხევა არ შეასრულეს. ჭეშმარიტი მორჩილება ადამი-

ანს ათავისუფლებს, სრულ თავისუფლებას ანიჭებს. ურჩი მონოზნები თვითონ აგებენ პასუხს დვთის წინაშე, რამეთუ მორჩილების მაგალითი თვითონ უფალმა მოგვცა: „იყო მორჩილ ვიდრე სიკვდილამდე“.

წინამძღვრობა მონასტრის წარმართვას ნიშნავს და მისი აღსრულება იოლი არ არის, გასათვალისწინებელია მონასტრის წესება, ტიპიკონი, ტრადიციები და ა. შ. ასევე მონასტრის უკონომიური მხარე.

იღუმენია მონასტრის თითოეული წევრის მორჩილებას განკარგავს, ხოლო მოძღვარს მათი სულიერი ხელმძღვანელობა აბარია.

იღუმენიად კურთხევამდე კეთილმოწესის მოვალეობას ვასრულებდი. იმ დროს პატრიარქი ხშირად მობრძანდებოდა ხოლმე სამთავროში. ერთხელ, უწმიდესის მორიგი სტუმრობისას, შევიკრიბეთ მონასტრის მხეცვანი და ახალბედა დედები. უწმიდესი გვესაუბრებოდა მონასტრულ ცხოვრებაზე, ისესენებდა მონასტრის უხუცესი დედების ლვაწლს, მათ მორჩილებებს. გვარიგებდა – „უნდა ილოცოთ, ხელსაქმე აკეთოთ, ქსოვოთ, შეკეროთ, ტერიტორიები დაალაგოთო...“ ერთ-ერთი მონოზნისაგან უარყოფითი პასუხი რომ მიიღო – „მე არ შემიძლია!“, „უწმიდესმა შეშფოთებით უთხრა: – „წარწყმდებით, მონასტერში თუ არაფერი გააკეთეთო“. ამ საუბრისას, ოთახში მოულოდნელად დირსი მამა გაბრიელი შემოვიდა, უწმიდესს სიყვარულით მიუხელოვდა, დაუწიქა, მიწამდე თავდახრილმა ხელი ჩემსკენ გამოიწოდა და ხმამაღლა უთხრა: „ეს აკურთხე, უწმიდესო, იღუმენიად, ღირსიაო!“ უწმიდესმა ყველას მოგვავლო თვალი და განაცხადა: „მე ჯერჯერობით საიდუმენიოს აქ ვერავის ვხედავო“. მამა გაბრიელმა კვლავაც სთხოვა: „უწმიდესო, ჩემს სიტყვას ნუ დააგდებ, ღირსიაო“. მერე წამოდგა და უხმაუროდ გავიდა. მე ამან ძალიან შემაწუხა, ვფიქრობდი: „რატომ უთხრა ეს მამა გაბრიელმა უწმიდესს.“

იმ წელს სამთავროში მობრძანეს ათონის ივერიის ყოვლადწმიდა დვთისმშობლის ხატის ასლი, რომელიც ამჟამად სიონის საკათედრო ტაძარშია დასვენებული. ხატთან ერთი თვის განმავლობაში ყოველდღე იკითხებოდა პარაკლისი. ერთ დღეს მობრძანდა პატრიარქი. ტაძარი და ყოვლადწმიდა დვთისმშობლის ხატი მოილოცა და ყველას გასაგონად გამოაცხადა: „ერთ კვირაში მოვალ და იღუმენიას დავასახელებო“. ში-

შის ზარი დამეცა, „ვაი თუ მე დამასახელოს-მეთქი“. არ ვიცი საიდან მოდიოდა ეს ფიქრი. ჩემი შიში მამა გაბრიელს გავანდე. ბერძა მანუელშა: „ნუ გეშინია, დაო, მადლი გიახლოვდება, ხელს ნუ ჰკრავ, თუ პატრიარქი გაკურთხებს, დვთის ნება იქნებაო“. მე მაინც ვერ ვმშვიდდებოდი.



უწმიდესი და უნეტარესი ილია II იღუმენია ქეთევანს უძღვნის ძვირფასთვლიან საგნილს

იმხანად ტაძარში მქონდა მორჩილება. როცა ყველა წავიდა, მივედი ტაძრის შუაში დასვენებულ ივერიის დვთისმშობლის ხატთან, მუხლი მოვიდრიკე და გულმხურვალედ შევევედრე, რომ ჩემთვის არ დაჭდოთ იღუმენიობის მიმეჯ ჯვარი. წამოვდექი, ხატისთვის ზურგშეუქცევლად დავიწიე უკან, შევხედე ხატს და უნებურად აღმოვთქვი: „უფალო, იყოს ნება შენი!“ მეტად აღარაფერზე მიფიქრია. მივენდე სრულიად დვთის ნებას.

ერთი კვირის შემდეგ მობრძანდა კათოლიკოს-პატრიარქი. დედები ტაძარში მივეგებეთ. უწმიდესმა ბრძანა: „ახლავე უნდა გადავიხადოთ პარაკლისიო“. მკითხველად მე შემარჩია. პარაკლისის დამთავრების შემდეგ უწმიდესმა გამოაცხადა: „მონასტერს სჭირდება იღუმენია და მე იღუმენიად ვასახელებ დედა ნინოსო“. ისევ ავფორიაქდი, ყოვლად წმიდა დვთისმშობლის ხატთან მდგარი უწმიდესი უკვე ჯვარზე ამთხვევინებდა ყველას. პატრიარქთან მიახლოებისას მთელი ძალები მოვიკრიბე, უწმიდესის წინ დავიხოქე და ხმადაბლა ვუთხარი: „ოქვენო უწმიდესობავ, არ შემიძლია ეს ჯვარი ვიტვირთო, სიმდაბლით არ ვამბობ უარს, მართლა არ შემიძლია-მეთქი!“ უწმიდესმა ჯვარ-

ზე მამთხვევინა, თავი გვერდზე გადმოხარა და ყურში ჩამჩურჩულა: „წმიდა ნინო შეგაძლებინებსო“. ამ სიტყვებისთანავე სახე შეიკრა და ხმა აღარ ამომაღებინა.

1991 წლის 13 მარტს, უწმიდესმა, სამთავროს ფერისცვალების ტაძარში, მონასტრის სხვა წევრებთან ერთად აღმკვეცა მონოზნად, მიწოდა დიდმოწამე ქეთევანის სახელი.

აღკვეცის წინ, მე და მონოზნი ანასტასია, აწ განსვენებულ სქემარქიმანდრიტ ვიტალისთან (სიდორენკო) წავედით სამონოზნე შესამოსელისათვის (მანტიებისათვის). მამა ვიტალი იღუმენია სერაფიმასთან (აწ განსვენებული) და თავის მორჩილებთან ერთად სახლში დაგვხვდა. ვუთხარით რაც გვჭირდებოდა. იღუმენია სერაფიმა არც დაფიქრებულა, ორი მანტია გამოიტანა. ერთი მათგანი უნდოდა, ჩემთვის თავად მოეხურა, მაგრამ მამა ვიტალიმ ხელიდან წარსტაცა და თვითონ მომაფარა. მერე პატარა ხატი მაჩუქა

— „დვთისმშობელი იღუმენია“ და მონასტრულ ცხოვრებაზე გვესაუბრა. კითხვაზე: მონასტერში გაუგებრობები და არეულობები რას მოაქვსო? გვიპასუხა: „მონასტერში არეულობა ერთმანეთის მორჩილებებში უხეშ ჩარევას მოაქვსო.“

ჯერ კიდევ სამონოზნე ვიყავი, მეუფე სერგიმ (ჩეკურიშვილი) სამთავროს დედები საფარაში მიგვიწია, ზაგორსკიდან დიდი ხუცესი, წინასწარმცნობელობის ნიჭით დაჯილდოებული ბერი ნაომი ჰყავდა სტუმრად. მამა ნაომი ყველას სათითაოდ გვესაუბრებოდა, დარიგებებს გვაძლევდა. მეც დამარიგა: „ნათესავებს, ახლობლებს ფრთხილად მოექცი, დაარიგე, დაასახუქრე; უბრალოდ, მარტივად ესაუბრე მათ, გამოკითხე არის თუ არა მონათლული, ჯვარდაწერილი და ა.შ. მონასტერში ხორცი და დვინო ტრაპეზე არ გამოიტანო, ხორცი რძის პროდუქტებით შეცვალე, პატარა აფთიაქი გქონდეს, იქ ბევრი ავადმყოფი გეყოლებაო...“ — მიკვირდა, ისე მარიგებდა, როგორც მონასტრის წინამძღვარს. ვთხოვე რჩევა მოეცა. მითხრა: „არაფერი მოითხოვო, რაც გქონდეს, იმას დასჯერდიო“. ბოლოს დასძინა: „ჩემთან რას მოდიოდით, რჩევა თქვენი პატრიარქისგან აგელოთ, ისეთი პატრიარქი გყავთო.“

მოგვიანებით კი მამა ნაომს ერთი კვირით ადრე უთქვამს რუსეთში ჩასულ სტუდენტ გოგონასთვის: „მცხეთაში, სამთავროს მონასტერში, ქვევანს აკურთხებენ იღუმენიადო“ და საჩუქრებიც გამოუტანებია: პირსახოცი, თეთრწინჯკლებიანი თავსაფარი, თბილი წინდები – „ეზოში რომ გამოვა იღუმენია, ფეხზე რომ არ შესცივდესო“. სულ ახლახან კი მამა ნაომმა მაია გოთუას ხელით გამომიგზავნა საეკლესიო ნივთები და უთქვამს: იღუმენია ქვევანი კარგად მახსოვესო. სურვილი გამოუტევამს საქართველოში ჩამოსვლისას მცხეთას და იღუმენია ქვევანს აუცილებლად მოვინახულებო. შეგვეწიოს მისი ლოცვა.

მონოზნად ადგვეციდან ზუსტად ოთხი თვის შემდეგ, 1991 წლის 13 ივნისს, სვეტიცხოვლის ტაძარში პატრიარქმა იღუმენიად მაკურთხა და დამადგინა სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტრის წინამდღვრად. გადმომცა კვერთხი და გამშვენებული ჯვარი, ნიშნად სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტრის განსაკუთრებული პატივისა. იმ დღიდან, დვთის შეწევნით, ძალისაებრ ჩემი უღირსებისა, ვატარებ ამ საპატიო ჯვარს.

2006 წლის 24 აპრილს, კათოლიკოს-პატრიარქმა მეორე ჯვრით დამაჯილდოვა, ეს დიდ პატივთან ერთად, დიდი პასუხისმგებლობაც იყო, მივხვდი, პატრიარქი კიდევ უფრო მეტს მოითხოვდა ჩემგან. თუმცა ერთი ჯვრის ტარებაც კი მძიმე იყო, მაგრამ უწმიდესის ლოცვა და სიტყვები, რომ წმიდა ნინო შეგვეწევა, დღემდე მანუგეშებს.

წინამდღვრობის პირველ წლებში, სხვადასხვა განსაცდებლის უამს, სულიერ ბრძოლაში გამოუცდელი, ზოგჯერ გულგატებილობაში ვვარდებოდი. ამიტომ, ხშირად მიხდებოდა მამა გაბრიელთან სტუმრობა, ვისგანაც ყოველთვის რჩევას და ნუგეშს ვიღებდი. მაშინ ჯეროვნად ვერც ჩემს მდგომარეობაში ვერკვეოდი და ვერც იღუმენიობის ჯვარს ვაცნობიერებდი სრულყოფილად. ერთხელ, ასეთი სულიერი რყევების დროს, მამა გაბრიელისგან ველოდი პასუხს და ერთხელ ბერს ვუთხარი, რომ საიდუმენიო ჯვარის უღირსი ვარ და არ ვარ იღუმენია. მაშინ ასე მიპასუხა: „კურთხევის დროს სული წმიდის მადლი გადმოდის და მოქმედებს, შენ იღუმენია ხარო.“ – ბერის ამ სიტყვებმა გონება გამინათა და პასუხისმგებლობა მაგრძნობინა.

წინამდღვრობის პირველი წლები განსაკუთრებით მძიმე იყო ჩემთვის. მონასტერი, ფაქტიურად, ახლად ყალიბდებოდა. მონასტრულ საკითხებზე მამა გაბრიელს ხშირად მივმართავდი. ერთხელაც, აღელვებულმა შევწივლე: „ადარ შემიძლია, ჯვარი უნდა მოვისხნა-მეთქი.“ ბერი შეუყოვნდა, ხატებისაკენ მიბრუნდა, ხელაპყრობილმა იღოცა და შემდეგ დასძინა: „მოთმინება იქონივ, დაო და დედაო! შენით ნუ მოიხსნი ჯვარს, ვინც მოგხსნის, პასუხს ის აგებს. განა პატრიარქს არ უჭირს?! შენ არ იცი, „ქათალიკოსის“ ჯვარი რა მძიმეა, იგი ხომ ორ ჯვარს ატარებს – ერისას და ეკლესიისას, იმან რადა ჰქნას?!“

იღუმენიასთვის, წინამდღვრისათვის, ფიზიკურ შრომაზე გაცილებით მძიმეა მონასტრის თვითოვეულ წევრზე პასუხისმგებლობა: როგორც უწმიდესი ბრძანებს: „იღუმენია მონასტერში ეველაზე აგებს პასუხს.“

– დედა ქვევან, თქვენი, როგორც წინამდღვრის მოღვაწეობა, უწმიდესისა და უნეტარესის წინამდღოლობით წარემართება. რას გაიხსნებდით მისი სწავლებიდან?

უწმიდესი და უნეტარესი ილია II ჩვენი დროის დიდი სულიერი მოღვაწეა. იგი როგორც მზრუნველი მამა და ბრძენი მოძღვარი, ყოველთვის თვალყურს აღევნებს სამთავროს მონასტრის სულიერ ცხოვრებას, მუდამ სამთავროს ძველი დედების ცხოვრებას შეგვასხენებს. როგორც ცნობილია, მისმა უწმიდესობამ ბავშვობის გარკვეული დრო სამთავროს დედათა მონასტერში, თავის ნათლიასთან, იღუმენია ზოილესთან გაატარა. ამდენად, ის ახლოს იცნობდა ძველი თაობის დედებს და მათი ცხოვრების მაგალითით შთაგაგონებს. დედა ზოილეს როდის ეძინა არ ვიცოდი, მთელი დამეგბი სკვნილზე ლოცულობდაო. ხანგრძლივ ლოცვასთან ერთად, ბევრს შრომობდნენ ფიზიკურად. იღუმენია ანაზე (აჭაიძე) ამბობდა „ტიპიკონი ზეპირად იცოდა, გალობდა, ლოცულობდა, შრომობდა ფიზიკურადო...“ მასესხნება დედა ანას თავმდაბლობით ნათქვამი სიტყვები: „მე არაფერი გამიკეთებია, მაგრამ ხომ ვეგდე მონასტერში, იქნებ ამით შემიწყალოს უფალმაო.“

დვთისა და მამულის სიყვარული, ტრადიციების ერთგულება და მრავალი სათნოება საოცარი ჰარმონიითაა შერ-

წყმული ჩვენი პატრიარქის პიროვნებაში. ასევე აღსანიშნავია უწმიდესის საოცრად მოკრძალებული დამოკიდებულება წინაპრების, უფროსი თაობისა და კერძოდ საკუთარი მშობლების მიმართ. იგი ყოველ წელს, აღდგომის მეორე დღეს მიბრძანდება მშობლების საფლავზე, იხდის პანაშვიდს და სამთავროს დედები „სულთათანას გალობენ“.

ერთხელ, მონასტერში მორიგი განსაცდელის დროს, კათალიკოს-პატრიარქთან წარვდექით მოძღვრისა და წინამდღვრის უფლება-მოვალეობების გასარკვევად და მოძღვარმა ჰქითხა: მონასტერში ვისი სიტყვაა უპირატესი? უწმიდესმა ამგვარად უპასუხა: „მოძღვარი დედა იღუმენია ხომ არ იქნება მონასტერში? მოძღვარს ავალია აღსარება, ზიარება, სულიერი აღზრდა... პრობლემები ურთიერთშეთანხმებით უნდა გადაიჭრას, თორემ ჭეშმარიტ გზას დაკარგავთო.“

პატრიარქი არასოდეს ისმენს სხვათა განკითხვას, განმკითხეველს ურჩევს, საკუთარ ცოდვებს ჩაუდრმავდეს. არ დამავიწყდება მისი შეგონება: „მოყვასის ცოდვა დამალეთ და ღმერთი თქვენს ცოდვებს დაფარავსო... ადამიანებს გონებით ჯვარი გა-

დასახეთ, სიკეთე უსურვეთ და მადლი არ მიგატოვებთო“...

სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტერში განისვენებს ღირსი მამა გაბრიელი აღმსარებელი და სალოსი, ეს მონასტრისთვის დიდი შეწევნა და პასუხისმგებლობაცა.

ღირსი მამა გაბრიელი ჩვენი დროის უდიდესი წმიდანია, რომელიც აღიარა სრულიად მართლმადიდებელმა სამყარომ. ღვთის წყალობად ვთვლი, რომ მონასტერში მასთან ერთად მომიწია ცხოვრებამ და მოღვაწეობამ. ერთხელ მამა გაბრიელმა მითხრა: „იცოდე შენა, პატრიარქის გარდა ვერავინ გაგიგებსო.“ მამა გაბრიელი იყო მოძღვარი და მასწავლებელი, სალოსური ღვაწლის მტვირთველი, მაგალითი სიყვარულისა და უბრალოებისა, რომლის შესახებ ჩემი მოგონებები გამოქვეყნებულია „ბერის დიადემაში“; და როგორც პატრიარქმა ბრძანა: „ერთმა კაცმა, მთლად საქართველოს ფერი უცვალა“.

უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის და ღირსი მამა გაბრიელის ლოცვით, ღმერთმა დალოცოს და გაამთლიანოს სრულიად საქართველო. ამინ.



SEMOKLEBULI KANONNI MONAZONEBITISA CXOVREBISANI

საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში A ფონდის 358-ე ნომრით ერთი საინტერესო ხელნაწერი ინახება – „შემოკლებული კანონი მონაზონებითისა ცხოვრებისანი“. ის ყოფილი საეკლესიო მუზეუმის A კოლექციიდანაა და მის ჩვენამდე მოღწევას ბატონ ექვთიმე თაყაიშვილს უნდა ვუმაღლოდეთ.

ხელნაწერი XIX საუკუნისაა. „8 ფ. 22X18. ქადალდი (უხაზო რვეულის ფურცელი); ქადალდის ყდა; მხედრული, სათაური და დასაწყისი ასოები ნუსხურით; დაუწერელია 8r-v. ხელნაწერის ძველი ნომერია A-360 1r., „ნაწილი მესამე შემოკლებული კანონებითისა ცხოვრებისანი“... 1r-7v“ (A ფონდის აღწერილობა 1985: 79). აქვე შევნიშნავთ, რომ სათაური და დასაწყისი ასოები ასომთავრულითაა. „შენიშვნები: 1. სულ შეიცვას 20 თავს. 2. ბოლოში ტექსტს ხელით გაკეთებული აქვს შენიშვნა: „კანონი ეს ჯერ არს იკითხებოდეს ყოველწლივ შემდგომად სამის თვისა ერთგზის მაინც დაუგდებლად ტრაპეზსა ზედა დანიშვნისაებრ წინამდღურისა“ (7v). მინაწერები: 1. A - 360 ც. Древнехр (1r) 2. „გერასიმესი“ (1r). 3. „წიგნი ესე გეუთვნის ბერს გერასიმეს“ (1r) (A ფონდის აღწერილობა 1985: 79).

ხელნაწერი მეტად საყურადღებო ძეგლია, როგორც სასულიერო პირთაოვის, ისე ქართული ეკლესიის ისტორიის მკაფიოებელი მატერიალური ძეგლი. გერასიმე სავანელის „წიგნი“, რომლის სრული ტექსტიც ქვემოთ მოგვყავს, 20 თავისაგან შედგება. მხედრულად დაწერილი სათაური, როგორც აღვნიშნეთ, ასეთია: „შემოკლებული კანონი მონაზონებითისა ცხოვრებისანი“, ასომთავრულით კი შემდეგი წერია: „ჩრილი ჭისცი“ „გოგის გენა სამი გოგი ჭისცი“ და „გოგის გენა სამი გოგი ჭისცი“. მესამე ნაწილი, რასაკვირველია, თავისთავად გულისხმობს პირველსა და მეორე ნაწილებს, რომლებსაც ჩვენამდე, სამწუხაოდ, არ მოუღვია. ის, რომ მესამე ნაწილი ნამდვილად ტიპიკონის ბოლო მონაკვეთია, ტექსტის დასასრულს დართული შენიშვნა ადასტურებს: „კანონი ესე ჯერ არს იკითხებოდეს ყოველწლიურ შემდგომად სამისა თვისა ერთგზის მაინც დაუგდებლად ტრაპეზესა ზა დანიშნისამებრ წინამძღვრისა“. რომელ მონასტერში მოქმედებდა ეს წესი და სად მოდგაწეობდა ბერი გერასიმე სავანელი, ჩვენთვის უცნობია. არც ის ვიციოთ, XIX საუკუნეში ეს წესი, თუ ხელნაწერი უფრო ადრინდელი დედნის XIX საუკუნეში გადაწერილ პირს წარმოადგენს. ტიპიკონის ისტორიის შესახებ ბერის თქმა არ შეგვიძლია...

„XIX საუკუნების ერთი უცნობი ტიპიკონი“

შემოკლებული კანონები მონაზონებითისა ცხოვრებისანი XIX ს.

87-ԳԵՂԱՊԱԳԻՆԵԼ ԵՇԽԱՔԻՆ
Ճ-ԳԻՇԵՎԻՎՈՎԱ-ԴԵՎԸ ԾՀՎԴԺՎՈՎԱՆԵՎԻ
XIX և.

၁၂၃၀

ქაიმენი არიან მოვალეობანი უპირვე-
ლესნი მონაზონებისანი
ქათა ჰყარობდეს დ თსა ყოვლითა გვი-

ლითა ვა მამასა და ეშიშვოდეს უფალსა.
ქათა სიყვარულსა ამას ჰქონის ებჯეს კა დ
შესაძლოთა აღსრულებითა მცნებათა
მისთათა ხ მოშიშებასა ლოცვითა თავსა
თვისისათა განრისებისაგან მისასა.

ქათა მოყუასსა კეთილსა უყოფდეს ყოველსა შინა დთისათვის.

ქათა უარპყოფდეს თავსა თვისსა განგდებითა ნებისა თვისისათა და დამონებითა მისითა ნებასა ზედა დთ ისა და მთავრობისათა.

ქათა აღმოფხვრიდეს ბოროტსა ვა თვის შორის, ეგრეთ სხუათა შორისცა: თვის შორის მოკუდინებითა სულის გამხრწნელთა ვნებათათა; და სხუათა შორის დაცვითა ბიწიერთა საქმეთაგან.

ქათა დანერგვიდეს სახარებითსა კეთილმსახურებასა, ვითარ იგი თვის შორის, ეგრეთ სხუათა შორისცა, თვის შორის გულისმოდგინებითთა სმენითა. განაკითხვითა დ თისა სიტყვისათა, ცრემლითა სინაწელითა და კეთილკრძალულებით ხშირად ზიარებითა წოდების საიდუმლოთასა: სხუათა შორის კეთილითა მაგალითითა. სულიერთა საუბრითა და გულისმოდგინებითა დ თისა მიმართითა ლოცვითა.

თავი ၄

ქასა მოქმედებდეს მონაზონი შენაკსა შინა.

სუუარობდეს სენაკსა თვისისა მემხოლოებასა, მყუდროებით და მდუმარებით ჯდომასა.

ცქუნდეს დ თი მარადის თუალითა წინაშე. იგონებდეს ვ დ ყოვლისა მხედველ და ყოვლისა მეცნიერ არს.

ლულისხმაჲყოფდესა განსაცდელსა მტერისასა და მხნედ წინა აღუდგებოდეს მას ლოცვით.

ლლოცვიდეს ვიდრე განხურვებადმდე სულისა ლმობიერებითისა ცრემლსა შინა.

ჭოცალეობდეს წიგნის კითხვასა ანუ ხელთსაქმარსა შინა.

სულთ ითქმიდეს საუკუნოისა ნეტარებასა მიმართ.

ცლიქურვოდეს ლოცვით უშიშროებად, რაჟამს სახმარ იყოს მისდა განხულა სენაკით.

თავი ၅

წითარ უკუ იქცეოდეს მონაზონი გარე სენაკსა

საგრძნობელთა შეზღუდვიდეს მოკრძალვით და უფროსდა სახედველთა და სასმენელთა. საქმეთა ამაოთა და ახალთა არა ყურად იღებდეს.

ჭწრაფლად შემდგომად სახმართ აღსრულებისა, სენაკად უკუ იქცეოდეს.

ჭონაზონებითსა პატივსა და ზრდილობასა ყოველგან დაიცვიდეს.

სხუათა თანა საუბრისა შემთხუევასა შა სულიერთა საქმეთათვის მეტყუელებდეს.

ცომილებასა მოყუსისა არა გამოიკულევდეს.

თავი ၆

ქა-თანა ჭრის მონაზონსა ლოცუასა შა და მარხულად

უირუცლად გონებისა განმზადება. გამოიხატვიდეს რა თვს შორის დიდებულებასა დთისასა, და არარაობასა თვსსა.

ყოველსა მსოფლიურსა და ჭორციელსა განზრახუასა განსდევნიდეს გულისაგან.

ცდლებესითა სიმდაბლითა და სასოებითა დ თსა წარუდგენდეს თავსა თვსსა.

ზეურყეველად ეგებოდეს მლოცველობითსა მდგომარეობასა შინა.

ჭლოცვიდეს სულითა და ჭეშმარიტებითა, ესე იგი სიმდაბლით და გულისშემუსვრილებითა გონებით და გულისხმის ყოფით.

სცვიდეს გონებასა განბნევისაგან.

ცკსთა წარუმართებლობათა და უდირსებათა თვს სულთ ითქმიდეს.

თავი ၇

ქახსა იმარხვიდეს მონაზონი ტრაპეზისა ზედა

ტუმილსა იცავდეს გულსმოდგინებით.

ზემოჯდომასა არა ირჩევდეს.

ხოძალვით ჰსჭამდეს და სმიდეს.

ჭიგებასა ჭამადთასა ემპაცრებოდეს, ახსოვდეს რა ნაღველი და მმარი ჩ უცნოვის ჯვარცმულისა უფლისა.

სულთ სარგებელსა საკითხავსა ყურადიდებდეს და მის მიერ, ვითარცა სულიერთა საზრდელითა, უმეტეს განიძღებდეს სულსა თვისება.

თავი ၅

ქასა ჰყოფდეს მონაზონი უამსა განთიადისასა

ცლნიშნულსა მას უამსა შინა დაუფონებლად ადდგებოდეს.

ყ დ მსრაფლ მუხლთ მოდრეკითისა ლოცვითა წარადგენდეს თავსა თვისება წინაშე დ თისა და მსახურებასა შინა მისება.

ჭას დამესა შინა დაცვისათვის მადლობდეს.

ინწყებათა დღისათა ანუ პირველთა განზრახუათა მიაქცევდეს დთისა მიმართ.

ხეთილითა განზრახვითა სათხოდ ლუთისა განტარებასა დღისასა განიგულებდეს.

ცლსასრულებლად ამისა შეწევნასა და მადლსა დთისაგან გულსმოდგინედ მოითხოვდეს.

თავი ၆

ქასა ჰყოფდეს მონაზონი ძილად მიმავალი

ჭილსა და ცხედარსა არა სხუასა რასამე, ვითარ იგი სიკუდილსა და დასაფლავესა წარმოიდგენდეს გონებასა შინა თვისება.

უანიცდიდეს სვინდისსა, ნუთუ რამე სიბოროტე ექმნეს დღისით და ინანდეს განზრახვითა განმართულსათა.

ულოცვიდეს გულითად, რათამცა უცოდველად და უსაცოუროდ დირს იქმნა გარდავლად დამისა.

უსრეთ დ თსა და მფარველსა ანგელოზსა შემვედრებელი თავსა მიეცეს ძილსა.

უოროტა გულის სიტყვათა და მტერისა საბრხეთა ეკრძალებოდეს ცხედარსა ზედა.

მავდენგზისცა და ეკვეთოს განდვიძებასა, სულთქმით და გედრებით მიიღტვიდეს დთისა მიმართ.

უარეშე სახმარისა არა ჰყოვნიდეს ცხედარსა ზედა.

თავი ၇

ქასა იცავდეს მონაზონი აღსარებასა შინა

უირუცლად სინდისსა გულსმოდგინედ გამოიკულევდეს.

ზეცოდებისათვის ფრიად ტკივნეულებდეს.

ცოდუათა სრულებით აღიარებდეს.

უანმართუასა ცხოვრებისასა მტკიცედ განიგულებდეს და მცირედაცა განზრახვითა ცდომილებათა ეკრძალებოდეს.

საკანონოსა მოძღვრისაგან კეთილსულობით შეიწყნარებდეს ანუ თუ რჩევისამებრ მისისა, თვთ დასდებდეს თავსა თვისება ცოდვისა წილ კმაყოფილად.

თავი ၈

უამოქულევასა შ ა სვინდისისასა რასამე ყურად იღებდეს

უარდა მოვალეობისა აღთქმათასა დადებულთა ნათლისა დებასა შინა ჯმითა ყოველთა სატანას საქმეთასა.

უარდამავლობისა აღთქმათასა ქმულთა მონაზონებასა შ ა აღთქმითა სიწმინდისა და მოთმინებისა, მორჩილებისა და უპოვარებისა ყოვლისა მწუხარებისა და იწროებისა თავდებათა.

უახსნასა მონაზონებითის კეთილ წესიერებისასა დაბრკოლების მიცემითა.

უერაგთა განზრახუათა და ბოროტა გულის თქმათა დაუცხოომელად შემასმენელთა.

უატეუბასა სათანადოსა ლოცვისასა და დიდების მეტყულებასა ზედა დ თსასა გონების განბნეულობასა.

ხადნიერებასა ენისასა, დრტვინვითი ბოროტმეტყუელებით და განკითხვით.

Qდრჩებასა წინამდგრის ბრძანებულთა-სა და გარეწარობასა თანამდებობისასა.

თავი ၇

ქასამე ჰყოფდეს უწინარეს ლიტურ-დიისა და უამსა ლიტურდიისასა უპუთუ მღვდელმონაზონი არს

უირუელად განიწმენდდეს სინანულით სინიდისსა.

ჭოთმინებით და ლოცვით მღვდელ მოქმედებისათვის ღირსად თავსა თვისსა განამზადებდეს შემუსვრილითა და მდაბლი-თა გულითა წარსდგებოდეს.

ზემსგავსებულითა კრძალულებითა თა-ვისა თვისისა და ერთათვის მსხუცრპლსა უსისხლოსა შესწირვიდეს.

ზიშით და სარწმუნოებით ეზიარებოდეს მომხსენებელი უწინარეს ამისა ასამაღ-ლებელსა ამის: წ ა წმინდათა.

ჭადლობით წარვიდეს.

თავი ၈

ქასამე ჰყოფდეს მღვდელ მონაზონი შემდგომად ლიტურდიისა

წიგურდიისათვის ვ ა უდიდესისათვის კეთილის ყოფისა დ თისასა მადლობდეს.

სრულებით თავსა თვისსა სამარა-დისოსა მსახურებასა შინა, შინაგნითა გულსმოდგინებით მას შესწირვიდეს.

საუკუნოსა ნეტარებისათვის სულთ ითქმიდეს.

ცავსა თვისსა ყოვლისაგან საქმისა და სიტყვისა სულთა განმხრწნელისა და ყოველთა მცდოველობითთა ბრკბულე-ბათაგან ფრთხილად იცავდეს.

ესწრაფდეს რათამცა არღარა სხუბრი და უხუად მომნიჭებელისა კეთილისა თვი-სისადმი უბიწოებასა შ ა თავსა თვისსა აცხოვნებდეს.

თავი ၇၉

ზოგად ყოვლისა მონაზონისა რამე სახმარ არს დაცუად

ლონება ვერაგთა განზრახუათაგან. სული ბოროტთა გულის თქმათა და აღზუავებისაგან.

ქედუა სოფლისა საცოურთაგან.

სასმენელი ამაოთა და სასაცილოთა საუბართაგან და უმეტეს მოყუასსა ზედა ძვირის მეტყუელებათაგან.

წნა განკითხვისა და დრტვინვისაგან.

ჭუცელი გემოთ მოყუარებისა და სამ-თურალოთა მეტნობისაგან.

სრულებით თავი თვისი უქმობისა და მდედრთა თანა ქცეულებისაგან.

ია ამათ ყოველთა ზედა იცევდეს წი-ნაშე ღუთისა სრულსა სიმდაბლესა და მყუდროებასა სულისასა.

Qდოვარებასა და ნებითსა სიგლახაკე-სა სრულსა სიფხიზლესა და სიწმინდესა და სრულსა უმანკოებასა მშვიდობასა და ძმათ მოყვარებასა.

თავი ၇၂

ქადმენი არიან მოვალეობანი მონა-ზონისანი ზოგად ძმათა მიმართ

ყოველთა უფლისათვის ჰყვარობდეს, ყოველთა უმჯობეს თავისა თვისისა შე-რაცხდეს.

წარუმართებლობასა და უდონოებასა მათსა მომინებით იტვირთვიდეს.

ცრავისმე არარათომე შეაწუხებდეს სუ-ლიერთა საუბართა მიერ ერთი ერთსა არ-გებდეს.

ჩაცუალ გებით ერთი ერთისათვის ილ-ოცვიდეს.

თავი ၇၀

ქადმენი არიან მოვალეობანი მონა-ზონისანი წინამდლურისა მიმართ

ყუარობდეს მას ვითარცა მამასა ისმენდეს ვითარცა მოძღუარსა.

ჭისგან განსაზღვრებულსა მორჩილებასა უდრტვინელად გულის მოდგინებით აღასრულებდეს.

ჭისმიერსა სჯულისდებასა კეთილ წესიერებასა და კეთილ ცხოვრებისადმი დაურღვეველად დაიცავდეს.

ჭხილებასა და პატიჟსა მისსა, მოთმინებით იტვირთვიდეს.

Ó ღმერთსა ევედრებოდეს მისთვის.

თავი ၇၇

ქამე არიან მონაზონისად დაწესე- ბული საშუალობანი

ცლსასრულებლად აღთქმათა მისთა წინაშე ღთისა და კელესისა

ცლთქმათა მათ ხშირად მოხსენებავ ყდ შესაძლო მაიძულებლობავ აღსრულებისადმი მათისა ესე იგი თუთ თავსა თვისსა განლგიძება ანუ იძულებავ.

ტაუცადებელი და ყდ საწადელი ღვთისაგან თხოვნა მადლისა და ძალისა მაცხოვარებითისა ღვაწლისა მიმართ.

სასინანულო გლოვა ცოდვათა თუ გარდასრულისა ცხოვრებისათა, და დაცუა თვისისა ყოფადთაგან.

ტოველთა წარმართებათა თანა შემსგავსება ნაკლუვანებისა ღთ სისა უაღრეს ბუნებისა ღუაწლთა თანა ძუცლთა მამათასა და ამის მიერ თავსა თვისსა გულის მსიტყველობისა დასამცრობელი.

ცხოვრებისა და ვნებათათა წესთა მოხსენება მისაბაძავად ხოლო საუკუნო საბანჯული და მართალთა სიხარული ღუაწლსა ზედა განსამხნობელად.

თავი ၇၈

ქამე არს წამალი წინა აღმდგომი ცოდვათა და წინათვე დამცუშლი მათგან საშუალობა

წმიდა და გულსმოდგინებით ლოცვა ქეს მაცხოვრისა მიმართ.

ზევრდომა შუამდგომელობისადმი სათ-

ნოთა ღუთისათა უმეტეს ადრე მსგავსისა განსაცდელისა დამთმენელთადმი, ვთარცა ვინ შთავრდომილ არს.

ჭანშორება მეგობრისაგან უშიშროებასა შინა მცხოვრებთა.

ჭტკიცედ წინა აღდგომა დაწყებასა შინა ბოროტისა განცდისასა.

სულისწმინდით განცხადება უძლურებათა თუსთა ღუთის მოშიშთა მამაკაცთადმი.

ხითხუა სიტყვისა ღთისა კეთილმსახურთა მწერალთა და წმი ცხოვრებისა.

ტაუცოვნებელი სინანული რავდენგზისცა შეემთხუას შთავრდომა ცოდუასა შინა გ დ განმართვის წინადადებითურთ.

ტუვიათი განსლუა სენაკით და მოკლე სიტყვიერი საუბარი.

თავი ၇၉

ქამსა თანა ჭამს მონაზონს დაუცხოომელად ხსოვად უაღრესისა ცხოვრების უშიშროებისათუ

ქლი სოფელი ესე საცოტურიან არს და ხორცი უძლურ ამისთუს, სათანადო არს მდვიდარება და ლოცვა, სიფრთხილე და სიმხნე.

ქლ ცხოვრება არს მოკლე ჟამიერი, უპუმოქცეული და სასინანულოდ მოცემული.

ქლ სიკუდილი უცნაურ არს, და თანა წარუალ და ცოდვილთაკთს ბოროტ.

ქლ მძროწლარებს სული განტეჟებისა ჟამსა ცოდუათა მხილებისაგან და შიშისაგანცა სასჯელისა ღთისა.

ქლ ყოფადი სასჯელი მძვინვარე და მოუთმენელ არს, ვინათგან სიმართლე ხ ც განისჯების.

ქლ მსაჯული საქმეთამებრ მიმგები საშინელ და უგედრებელ არს.

ქლ სატანჯული ბოროტთა და დაუსრულებელ არს: ცეცხლი უშრებ და მატლი უძილო.

თავი 78

ქადსა ჰყოფდეს მონაზონთა რათამცა შეიძინა მყუდროება და მშვიდობა სულიერი

Qდფლის ზრახუასა შინა სიკუდილისა დასასჯელისა ლუთისასა საქმეთაებრ ღრმითა სიმდაბლითა განიწურონებოდეს.

ცრავის არარასამე შა თვინიერ შენდობილისა მიზეზისა, არა ეცილებოდეს.

ცრარასმე შინა გარეშესა თვინიერ თვისისა თანამდებობისა, არა გაერეოდეს.

¶ოველსა შემთხუცელსა სამხიარულოსა და სამწუხაროსაცა განურჩეველად რეცა კელისაგან ღოთისა მიიღებდეს.

ჭემხოლოებასა თვისისა სენაკისასა ჰყუარობდეს, მდუმარებასა გულსმოდგინედ იცავდეს.

ცკნიერ ღვთისა და თვისისა ცხოვნებისა არარასამე ეძიებდეს სოფელსა ამას შა.

თავი 79

ქანი არიან დონისძიებანი მონაზონი- სანი მისაწოომელად სიწმინდისა საზო-

მისაებრ კაცობრივისა უძლურებისა

Qდგულებელსეოფა ყოველთა მსოფლიოთა ამაოებათა და ზრუნვათა.

ჩურთნა სჯულსა შინა უფლისასა დღე და ღამე.

ეშირად გამოკვლევა სვინიდისისა საქმეთათვს, სიტყუათა და განზრახუათა.

ცოომილებათა შინა თვისთა ჭეშმარიტისა თქმა. სიმდაბლით აღსარება. გულის შემუსვრილება. გულის მოდგინებით მოთმინება.

ცკო უმცირესთაგანცა ცოომილებათა სიფრთხილე, ვითარცა მიმყუანებელთა დიდთა ცოომათა მიმართ.

¶ოვლითა ღონითა შესაძლო განრიდება ცოდვათა მიზეზთა და შემთხუცევათაგან.

¶ოველთა ბიწიერთა საქმეთაგან დაცუა თავსა თვისისა.

თავი 80

ქანი არიან დონისძიებანი მიწევნად

მონაზონებითსა სრულებასა

ჭუდობა და სიყვარული ყოველთა თანა.

სიმშვიდე და მყუდროება წინაშე ყოველთასა.

Ծაუცხომელი მაიძულებლობა სათნოებითისა ღუაწლისა მიმართ.

Qდარისყოფა თავისა თვისისა ვნებითურთ და გულის თქმით.

სამარადისო მლოცველობა.

Ծიდსულობითი სიყვარული მტერთა.

ჭოძულეთა კეთილის ყოფა.

ჭწყევართა კურთხევა.

¶ანსაცდელის შემსმთხუცელთათვს ლოცვა.


ჩინა აღუდგომელობა ყალთა შეწუხებათა და ჭირთა.

მომელ არს ჯუარი ქრისტიანებრივი და ვიდრე აღსასრულადე მოთმინება ღოთისათვს: მასვე დიდება პატივი და სიმტკიცვ, მამისა თანა ძესა და სულსა წმინდისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე ამინ.

შენიშვნა: კანონი ესე ჯერ არს იკითხებოდეს ყოველწლივ, შემდგომად სამის თვისა, ერთგზის მაიც, დაუგდებელად ტრაპეზისა ზა დანიშვნისაებრ წინამდლურისა.

ZARZMIS RVTISMOSBLIS XATIS SAXISMETYVELEBITI SAZRISI

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა და ყრმა იქსოს ხატის მნიშვნელობა უაღრესად დიდია ქრისტიანული ეკლესიისთვის. იგი ყველაზე თვალსაჩინო, კრებითი სახეა უფლის განკაცების, მსხვერპლისა და ხსნის დოგმატების, რის გამოც მისი იკონოგრაფია გამოირჩევა განსაკუთრებული ტიპოლოგიური მრავალფეროვნებით. მათ შორის ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული სახეობაა „მოალერსე“, იგივე „მოწყალე“ ღვთისმშობელი (ელეუსა),



სურ. 4.

ზარზმის ღვთისმშობელი. XI ს.

რომლის წარმოშობა, საეკლესიო გარდამოცემით, ლუკა მახარებლის სახელთანაა დაკავშირებული.

მოალერსე ღვთისმშობლის ხატის იკონოგრაფიული სქემა წარმოგვიდგენს დედა ღვთისას წელსზევით გამოსახულებას, მკერდზე მიკრული ყრმა ქრისტეს (ევმანუელის) სხეულით, რომელიც თავის მხრივ სახით ეხება დედის სახეს და ხელი მის კისერზე აქვს შემოხვეული.

აღსანიშნავია, რომ მოალერსე

ღვთისმშობლის იკონოგრაფიის უძველესი ნიმუშები შემორჩენილია საქართველოში (საბერების გამოქვაბული ეკლესიების მოხატულობები – VIII-IX სს.), სინას მთაზე (ქართველი ბერის, იოანე თოხაბის მიერ XI ს-ში შექმნილი უფლის სასწაულებისა და გნების ციკლების ამსახველი ხატი, რომლის ზედა რეგისტრში კონსტანტინოპოლის ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატის გამოსახულებაა წარმოდგენილი), კაბადოკიურ მხატვრობაში (თოკალი კილისეს XI-XII სს-ის ფრესკული ხატი სურ. 1), რუსეთში (ვლადიმირის ხატი – XI-XII სს სურ. 2) და სხვ. აღსანიშნავია, რომ ამ იკონოგრაფიის სახესხვაობაა „გლიკოფილუსა“ ანუ ტკბილად ამბორის მყოფელი ღვთისმშობელი, რომლის სქემაში დედისა და შვილის თბილი განწყობა და ალერსი უფრო ხაზგასმითაა ნაჩვენები. (სურ. 3)

მოალერსე ღვთისმშობლის იკონოგრაფიაში მნახველზე უდიდეს ზეგავლენას ახდენს განსაკუთრებული სითბო და სინაზე, რითიც ურთიერთდამოკიდებულებაა გადმოცემული.

ელეუსას თემის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია ზარზმის მონასტრის ღვთისმშობლის ქართული ხატი, რომელიც თარიღდება XI ს-ით და ხასიათდება შესრულების უზადო ტექნიკით, მაღალი მხატვრული დონითა და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სახისმეტყველებით-შინაარსობრივი საზრისის განუმეორებელი სიღრმით (სურ. 4). თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს არის საეკლესიო ხელოვნების ნამდვილი შედევრი, რაზეც მეტყველებს თუნ-

დაც ის ფაქტი, რომ ქართული ეკლესიის უძინესი სიწმინდის, აწყურის დვთისმშობლის ხელოუქმნელი ხატისთვის XVIII ს-ში მოჭედილ კუბოს ფრთებზე თითქმის ზედიწევნითაა განმეორებული სწორედ ზარზმის ხატის ჩარჩოზე მოცემული დედა დვთისას ცხოვრების აპოკრიფული ციკლის სცენები.




სურ. 1.

დვთისმშობლის ფრესკული ხატი თოქალი ქილისედან. კაბადოკია. IX ს.

სამხრეთ საქართველოსთვის თურქოსმალთაგან შექმნილი საშიშროების გამო, დვთისმშობლის ეს ხატი XVI ს-ში გადააბრძანეს გურიის შემოქმედის მონასტერში. საგულისხმოა, რომ იმავდროულად, მასთან ერთად იქნა გახიზნული ზარზმის მონასტრის სხვა უძვირფასები სიწმინდები; ისეთები, როგორიცაა წმინდა სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში ნახსენები და IX ს-ში მოჭედილი ფერისცვალების სასწაულთმოქმედი ხატი და მოოქრული ვერცხლით შეჭედილი XI ს-ის სამწერობლების წყვილი. მოგვიანებით, 1924 წელს, უკვე ბოლშევიკური ტერორისგან დასახსნელად, სიწმინდის სამსახურებლი ეს უნიკალური ნივთები გადაიტანეს თბილისში, სადაც ისინი ჯერ უნივერსიტეტის მუზეუმში, ხოლო 1952 წლიდან

ხელოვნების მუზეუმში იქნა დაბინავებული. უფრო ადრე კი, სავარაუდოდ XIX-XX სს-ის მიჯნაზე, დვთისმშობლის ხატის ჩარჩოს ჯვარცმისა და დვთისმშობლის მიძინების სცენების რამდენიმე ფრაგმენტი რუსეთში იქნა გატანილი (ისინი ამჟამად ინახება ერმიტაჟში).

ზარზმის დვთისმშობლის ხატი საშუალო ზომისაა (80 X 64 სმ). იგი მოოქრული ვერცხლისგანაა ნაჭედი და თავის დროზე პქონია ფერწერული სახეები. ხის დაფის (47 X 35 სმ) დაზიანების გამო იგი რამდენჯერმე გამოუცვლიათ და დღესდღეობით, XX ს-ის დაფაზე, მოჩანს ფოტო, რომელიც გადაუდიათ XIX საუკუნის იმ რუსული სტილის მხატვრობისთვის, რომელიც ხატისა და მისი დაფის გაახლების დროს ყოფილა დახატული, გამოცვლილ დაფაზე. XIX ს-ის ნახატი, შუაზე გამსკდარი დაფა ინახება მუზეუმის ფონდებში (სურ. 5). დიმიტრი ბაქრაძისა და ექვთიმე თაყაიშვილის აღწერილობითა და როინიშ-



სურ. 2.
ვლადიმირის დვთისმშობლის ხატი. 1130 წ.

ვილ-ერმაკოვის ფოტოების მიხედვით, ხატის ჭედურ პერანგს ამკობდა 32 დიდი ზომის თვალი, რომლებიც მოპარული უნდა იყოს XX ს-ის 20-იან წლებში.

ზარზმის დვოისმშობლის ხატის ცენტრალურ ნაწილზე, ვაზის ფოთლის ორნამენტის ფონზე, წარმოდგენილია დვოისმშობელი ყრმით, ელეუსას ტიპისა, ფართო ჩარჩოზე კი გამოსახულია ათორმეტ საუფლო დღესასწაულთა და დმრთისმშობლის ცხოვრების აპოკრი-



სურ. 3.

გლიკოფილუსა. ფილოთეოს მონასტრიდან.
ათონის მთა. XIII ს.

ფული ციკლები, რაც საქმაოდ იშვიათი მოვლენაა ქრისტიანულ ხელოვნებაში და განსაკუთრებით აღნიშნულ პერიოდში (ეს ორი ციკლი ერთობლივად, ოდონდ მოპირდაპირე კედლებზე, წარმოდგენილია XI ს-ის ბოლოს მოხატულ ატენის სიონის ტაძარშიც).

ცენტრალურ ნაწილსა და ჩარჩოს შორის, ვიწრო ქანობზე, ლამაზადაა გამოყვანილი ქართული ასომთავრულით ნაწერი საქტიტორო ტექსტი, რომელიც ერთი შეხედვით ისე აღიქმება, როგორც

ორნამენტულ ფონთან შერწყმული დეკორი. ტექსტი შემდეგი შინაარსისაა:

„წ(მიდ)ოდ(ედო)ფალომ(ეო)ხ(ე)ყ(ა)ვ წ(ინაშ) ე ძის[აშენის]ა და ღ(მრთი)სა ჩ(უენ)ის(ა) ყ(ოვე)ლთ(ა) ლ(აკ)ლ(ა)კთ(ა): ე(რისთავთ) ე(რისთავსა) მ(ი)რ(ია)ნს და ხ(ურცი)კს, ძ(ე)თა ხ(ურცი)კ(ისთა): მ(ი)რ(ია)ნ(ს), ს(ო)ს(ა) ნ(ს), ქ(ურ)დ(იას), ხჭ(ს). მე გლახაკმან ე(ვ)პრ(ა)ქს(ი)ა, დედ(ა)მ(ა)ნ ხ(ურცი)კისა და მ(ი)რ(ია)ნ(ი)სამ(ა)ნ შ(ე)ვკ(ა)ზმ(ე)ნ [ხატი ე] სე ს(ა)ლ(ო)ც(ვე)ლ(ა)დ ყ(ოვე)ლთ(ა) ლ(აკ)



სურ. 5.

ზარზმის ხატის დაფა.
XIX საუკუნის მხატვრობით

ლ(ა)კთა, ს(ა)ქ(სე)ნ(ე)ბლ(ა)დ ს(უ)ლი(სა) ჩ(კნი)სა.”

როგორც ირკვევა, ხატის შემკაზმველი ერისთავთ-ერისთავების, ხურციკისა და მირიანის დედა ევპრაქსია, რომელსაც იგი მისი შვილების, შვილი შვილებისა და საერთოდ, ლაკლაკთა (იგივე ლაკლაკიძეთა) საგვარეულოს სალოცველად და მოსახსენებლად შეუკაზმავს. ეს საგვარეულო კი, როგორც ზარზმის ფერისცვალების ხატისთვის შეწირული სამწერობლების საკტიტორო წარწერით ჩანს, აღნიშნულ პერიოდში წარმოადგენდა ზარზმის საყდრისა და მამულების მფლობელს.

საისტორიო წყაროებში ცნობები თვით ამ ხატის შესახებ არ არის შემორჩენილი, მაგრამ, იკონოგრაფიულ-სტილური მახასიათებლებით (გ. ჩუბინაშვილი) და ლაპლაკიძეთა შესახებ არსებული ინფორმაციის გათვალისწინებით (ე. თავაიშვილი), იგი XI ს-ის I მეოთხედითაა დათარიღებული.

ადსანიშნავია, რომ სწორედ ამ დროიდან ვრცელდება ბიზანტიურ ხელოვნებაში ხატები, რომლებსაც “ბიოგრაფიული”, “აგიოგრაფიული”, “ისტორიული” ეწოდებათ და რომლებზეც წმინდანები მათი ცხოვრების, სასწაულებისა და წამების სცენებთან ერთად არიან წარმოდგენილნი.

ზარზმის ხატის ჩარჩოს ქვედა ნაწილზე, მარცხნიდან მარჯვნივ, წმ. იოაკიმესა და ანას ცხოვრების ეპიზოდებია განაწილებული. მათი თანამიმდევრობა მარცხნიდან მარჯვნივ ამგვარია: “იოაკიმესა და ანას ძღვენის უარყოფა”, “იოაკიმეს ხარება”, “ანას ხარება”, “ღვთისმშობლის შობა” და “მარიამის იოსებზე დაწინდგა”. ჩარჩოს ზედა ნაწილზეც მსგავსადაა განთავსებული “ჯვარცმა”, “აღდგომა” (ჯოჯოხეთის წარმოტყვევნა), “ამაღლება” და “ღმრთისმშობლის მიძინება”. ხოლო რაც შეეხება, გვერდითა ველებს – აქ, “ხარებიდან” “ბზობის” ჩათვლით, ექვსი სცენა (“შობა”, “მირქმა”, “ნათლისდება”, “ფერისცვალება”) ისტორიული თანამიმდევრობის დარღვევით, ერთი შეხედვით, უსისტემოდაა გამოსახული.

არსებობს მოსაზრება, რომ ჩარჩოს ვერტიკალურ ნაწილებზე სცენათა ასეთი განლაგება გარკვეულ მხატვრულ ლოგიკასაა დამყარებული, რითიც წონასწორობა მყარდება მოპირდაპირე სცენებს შორის და ზოგადი კონკრეტური გარემონტირების სამარხის დარღვევის გარეშე.


უფრო გაწონასწორებული (გ. ჩუბინაშვილი). მაგრამ, როგორც ირკვევა, საქართველოს ეკლესიის ამ უდიდესი სიწმინდის იკონოგრაფიული სქემის უჩვეულობის საიდუმლო, მის თეოლოგიურ საზრისშია საძიებელი.

საქმე ისაა, რომ ხატზე სცენების ისტორიული რიგით განთავსების სქემა და მასზე ღმრთისმშობლის ნახევარფიგურის კომპოზიციურ ღერძად დამატება, იძლევა ქრისტიანული ხელოვნების ისტორიის აღრეული პერიოდიდანვე კარგად ცნობილ “ქრიზმას”, რაც საუფლო მსხვერპლისა და ხსნის დოგმატის ნიშან-სიმბოლოდაა მიჩნეული (სურ.6).

ქრიზმა წარმოადგენს იესო ქრისტეს სახელის ასოების შეწიაღებით მიღებულ მონოგრამას, რომელიც ძლევისა და მფარველობის ნიშანდ კონსტანტინე დიდის მეომრების ფარებზე უკვე IV საუკუნეში იყო გამოსახული. ქრიზმა რამდენიმე სახეობისაა და განირჩევა მისი განსხვავებული სიმბოლური არსის განსხვავებული ინტერპეტაციით. ასე მაგალითად, ექვსბოლოიანი ქრიზმა მიგვანიშნებს უფლის მიერ სამყაროს ექვს დღეში შექმნას. და, როცა ვერტიკალური ღერძის ზედა ნაწილი შეკრულიცად და მას ლათინური დის ფორმა აქვს, მაშინ იგი გვიცხადებს იესო ქრისტეს მეფეურ დიდებას, გინაიდან ლათინურად ღებ მეფეს ნიშავს. რვაბოლოიანი ქრიზმა გულისხმობს სამყაროს მეუფის ჯვარზე ვნებას, აღდგომასა და მერვე დღეს მის მეორედ, უკვე მსაჯულად მოსვლას; და რადგან ეს ბოლო ვარიანტი მსხვერპლისა და ხსნის დოგმატებს უკავშირდება, იგი აღრექრისტიანული ხანის საეკლესიო ხელოვნებაში ძალზე ხშირად გვხვდება. საინტერესოა, რომ ადრექრისტიანული სამარხი-სარ-

კოფაგების რელიეფებიდან ცნობილია შემთხვევა, როცა „ჯვარცმის“ გავრცობილ, მრავალეპიზოდიან და მრავალფიგურიან კომპოზიციაში, მაცხოვრის სხეულებრივი გამოსახულება ჯვარზე სწორედ ამგვარი ტიპის ქრიზმითაა ჩანაცვლებული (ერთგან იგი დაფიქსირებულია გვირგვინშია ჩაწერილი, რითაც უფლის მეუფების უსასრულობა და მარადიული დიდებაა ხაზგასმული).

ამდენად, ზარზმის ხატის თეოლოგიური პროგრამის ძირითად, შინაარსობრივ დერძად, სწორედ მაცხოვრის ჯვარზე ვნება



სურ. 6.

ქრიზმა – ზარზმის ღვთისმშობლის ხატის ოკონგრაფიული სქემის საფუძველი

ანუ მსხვერპლის თემა გვევლინება. ამის საბუთია ისაც, რომ ხატის ჩარჩოს ზედა მარცხენა კუთხეში, სცენათა რიგის თავში „ჯვარცმა“ გამოისახება და ისიც, რომ მის გასწვრივ, ქვემოთ, ღვთისმშობლის ციკლის საწყის კომპოზიციადაც იოაკიმესა და ანას მიერ ტაძარში შესაწირი მსხვერპლის მიტანის ამბავი გადმოიცემა.

ნიშანდობლივია, რომ კაბადოკიისა და დავით გარეჯის საბერეების მონასტრის გამოქვაბულიის ეკლესიების მოხატულობებში, სწორედ სამსხვერპლო ნიშებშია მოთავსებული „ელეუსა“ და თან ისე, რომ მის სიახლოეს „ჯვარცმა“ გამოისახება. საგულისხმოა აგრეთვე, რომ

ათონის მთის ფილოთეოს მონასტრის წინამდობლი ხატის, „ტკბილად ამბორის-მყოფელი ღმრთისმშობლის“ ზურგს ამკობს „ჯვარცმის“ გამოსახულება, ხოლო ვლადიმირის ღმრთისმშობლის ხატის უკანა მხარეს წარმოდგენილია „საყდარი გამზადებული“ (ჰეტიმასია), უფლის ვნების იარაღებთან ერთად (სურ. 7).

„საყდარი გამზადებული“ უფლის მეორედ მოსვლის, საშინელი სამსჯავროს და ხსნის იდეის სიმბოლოა. ე.ი. ვლადიმირის ხატის თეოლოგიური პროგრამა, იკონოლოგიური თვალსაზრისით, მსხვერპლის გადების გზით, ცხონებისა და საუკუნო ცხოვრების მოპოვების საზრისს გამოხატავს.

იგივეს გვიცხადებს ზარზმის ღმრთისმშობლის ხატის პროგრამაც; ოდონდ, ამ შემთხვევაში, მსხვერპლის, მეორედ მოსვლისა და ხსნის იდეები დაფიქსირებულია როგორც კი არა, არამედ ზედაპირზე, შეფარულად წარმოგვიდგება.

ამ მხრივ საყურადღებოა, რომ ჩარჩოს ზედა ველის ბოლო სამი სცენა – „ჯოჯოხეთის წარმოტყვევნა“ „ამაღლება“ და „ღმრთისმშობლის მიძინება“ – უფლის მეორედ მოსვლის წინასწარმეტყველურ ხატებად მიიჩნევა. ასე რომ, მათი „ჯვარცმასთან“ ერთად ხატის ზედა, ანუ ზეციურ ნაწილში მოთავსება, ვიზუალურად და აზრობრივად გვაახლოებს მერვე დღესთან.

აღსანიშნავია, რომ „მოალერსე“ ღმრთისმშობელი წარმოადგენს აგრეთვე ყოვლადწმიდა დედის მიერ ლოდზე დასვენებულ მაცხოვრის დატირების წინასწარული ხატს. იგი სიმბოლოა ამსოფლიური ეკლესიის ზეციურთან და ადამიანის ღმერთთან შეერთებისა, რისი აუცილებელი პირობაც, ეკლესიის სწავლებით, წმინდა ზიარების საიდუმლოში მონაწილეო-

ბაა. ამ მხრივ, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ არის, რომ ზარზმის ხატზე “ჯვარცმის” სცენა არა ისტორიული, არამედ ლიტურგიული რედაქციით, მაცხოვრის ფერდიდან სისხლისა და წყლის უხვი ნაკადის ჭურჭელში ჩადინებით გადმოიცემა და ისიც, რომ ხატს ფონად ზიარების სიმბოლო, ვაზის ფოთლის მოტივზე შექმნილი ულამაზესი „ხალიჩა“ ედება, რის შემხედვარესაც სახარებაში მაცხოვრის მიერ არაერთხელ თქმული მეტაფორა „მე ვარ ვენახი ჭეშმარიტი“ და დემეტრე მეფის (1125-115) მიერ ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი საგალობელი, „შენ ხარ ვენახი“ გვახსენდება.

ისე რომ, ზარზმის ხატის სახისმატყველებით პროგრამაში სიღრმისეულადაა გადმოცემული მსხვერპლისა და ხსნის დოგმები და მათი შემაკავშირებელი წმინდა ზიარების თემა, რაც განაპირობებს კიდევ მისი იკონოგრაფიული სქემის თვითმყოფადობას და ხატის განსაკუთრებულ ღვთივსულიერებას.

რაც შეეხება ხატის შესრულების სტილსა და მანერას – იგი იმდენად დახვეწილი და მაღალმხატვრულია, რომ ცხადია მისი ავტორი ძალზე მაღალი დონის ოსტატია. საერთო კომპოზიციური სქემით, ცალკეული სცენების აღნაგობით, ფიგურათა პროპორციებით, პოზებით, უეტიკულაციითა და მათი „სივრცეში“ განთავსებით, სახეთა გამომეტყველებითა და მეორეხარისხოვანი დეტალების (პეიზაჟი, არქიტექტურა) დამუშავებით, ისევე, როგორც მცენარეული ორნამენტისა თუ სხვა დეკორატიული ელემენტების გადმოცემით, ხატი მისი თანადროული, ანუ XI-XII

სს-ის რელიეფური ხელოვნების ისეთი შედევრების რიგში დგას, როგორებიც საფარის, შიომღვიმის, სამთავროს, ზედაზნის,



სურ. 7.
საყდარი გამზადებული. ვლადიმირის ღვთისმშობლის ხატის ზურგი.

ატენის, კანკელების გამოსახულებებია.

დასასრულ, უნდა ითქვას, რომ ზარზმის მოალერსე ღვთისმშობლის ხატი ქრისტიანული ხელოვნების სწორედ იმ კატეგორიის უნიკალური ნიმუშია, რომელთა შესახებაც ეკლესიის დიდ მამებს თავის დროზე უთქვამთ – „პატიოსანთა ხატთა მიერ წმინდა იქნებიან თვალნი მხილველთანი და ამაღლდება გონებად მათი ღმრთის შემეცნებად“.

ნანა ბურჭულაძე
საქართველოს ეროვნული მუზეუმის
უფროსი კურატორი

SAULISWULO DROSA

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა იღია II-მ, 2012 წელს გვაკურთხა, მოგვექარგა მეფე გიორგი XII-ის საუფლისწულო დროშის ახლი. თავდაპირველად გავეცანი დროშის ისტორიას, პირველწყაროებს და მათზე დაყრდნობით, აღვადგინე დროშის და ნაქარგობის მასალა. წიგნში „ბაგრატიონები“ მოვიძიე დროშის გამოსახულება.



საუფლისწულო დროშა. ყოვლადწმიდა დვთისმშობლის ხატი „პანტანასა“

ბა, რომლის მიხედვით, ნაქარგობა შესრულებულია აბრეშუმის ქსოვილზე და კიდეებში ლურჯი-ლაუგარდისფერი ქსოვილი მიუყვება. საუფლისწულო დროშაზე მოქარგულია ყოვლადწმიდა დვთისმშობლის ხატი „პანტანასა“ – „ყოველთა დედოფალი“ და მუხლმოყრილი, მავედრებელი დომენტი კათოლიკოსი, რომელმაც ხატის ორიგინალი შეამზადებინა: „ხატისა ამის კოპიოსა პირისაგან სჩანს, რომელ თვით ნამდვილი იყო შემზადებული დომენტი კათოლიკოსისაგან, ამისთვის, რომელი ქვე ხატისა დვთისა დედისა, ხატია თვით დო-

მენტი მუხლმოდრეგით და ხელთა განპყრობით დვთისა დედისადმი მვედრებელი“ (პლატონ იოსელიანი – ცხოვრება გიორგი XIII-ისა).

საუფლისწულო დროშა, შვილიშვილისათვის, მეფე გიორგი XII-ისათვის, მოაქარგვინა თემურაზ II-მ: „და მოიღეს ყვითელი ატლასი, მოიღეს მასზედ ხატი დვთისმშობელისა, ფერადებითა და კილიტებითა“ (პლატონ იოსელიანი – „ცხოვრება გიორგი XIII-ისა“). დროშა მოქარგა სამეფო კართან დაახლოებულმა ქალბატონმა ანასტასია ამირეჯიბმა (როსტომ ციციშვილის ქვრივმა). ხოლო ანგონ კათოლიკოსმა აკურთხა იგი და მიართვა მეფის ძეს მეტეხის ეკლესიაში, სადაც გადაიხადეს პარაკლისი „ვითარცა კარისა ძველად საყდარსა და კათოლიკოსისა მეტოქესა“ (პლატონ იოსელიანი).

მეფე გიორგი XII ამ საუფლისწულო დროშის ქვეშ მონათლული და ამავე დროშის ქვეშ შემდგარა მისი მეფედ კურთხევაც. დროშა მეტეხის ტაძარში ინახებოდა, რადგან იგი უფლისწულთა აღსაზრდელ ტაძრად იყო მიჩნეული. 1754 წელს გიორგი იოსელიანს დროშის ბოლოები შეუკცავს და ნაქარგი ხატი ჩარჩოში ჩაუსვამს, რომ არ დაგარგულიყო... დღეისათვის ამ დროშის ადგილსამყოფელი უცნობია.

საუფლისწულო დროშის ახლი ჩვენს მიერ სამი წლის მანძილზე იქარგებოდა, რომლის ესკიზები დიმიტრი ხარჩილავამ შეასრულა. მომქარგველები ვიყავით მე და იმ ხანად ქრისტიანული ხელოვნების ფაგულტეტის სტუდენტები: ლია ლომაძე და გვანცა პანპუხაშვილი.

ნაქარგი ხატი „პანტანასა“ – „ყოველთა დედოფალი“ შესრულებულია ოქრომკედით, გერცხლმქედით და ზეზის ძაფებით, ნამაგრი ტექნიკით. ხატში ნამაგრი ტექნიკის 5 სახეა გამოყენებული.

ტექნიკი „ზეზი“ ბიბლიური წარმოშო-

ბისაა და იგი საჭრელს უკავშირდება. წმიდა წერილში უფალი უუბნება მოსე წინასწარმეტყველს: „შენი მმა აარონი შემოსო მეწამული ზეზით...“; სულხან-საბას ლექსიკონში კი ზეზი ასეა განმარტებული: „ზეზი არს ორფერი ძაფი, და ძაფი და სირმა რთვად შესთული“ (საბა). მისი დამზადებისას ფერადი აბრეშუმის ძაფი შეეგრიხება ვერცხლის ან ოქროს თმას (სირმას), ან უკვე დამზადებულ ვერცხლების ან ოქრომკედს. აბრეშუმის ძაფის ფერი დომინირებს ოქროსა და ვერცხლის ფერზე და ამით სამოსის ფერადოვნების ხაზგასმა ხდება. ზეზით ქარგვის თავისებურებათაგან ორი ძირითადი მომენტია აღსანიშნავი: 1. სხეულის ნაწილების ამოქარგვა (სახე, ხელები, ფეხები, ტერფები) და სხვა ფერადოვანი აქცენტების მიღწევა. ზეზით ქარგვა ქართული ნაქარგობისთვისაა დამახასიათებელი (ბერძნულ, რუსულსა და ევროპულ ნაქარგობაში სხეულის შიშველი ნაწილები, ჩვეულებრივ, აბრეშუმის ძაფით იქარგება, ხოლო ფერადოვანი აქცენტები ოქრომკედის ან ვერცხლმკედის, ხილული ბმულადების ჩამაგრებით ხდებოდა). 2. საქარგავ მასალად ზეზი მხოლოდ საქართველოში დასტურდება.


ცნობილი გერმანელი მეცნიერი ინგბარი პეტრაშვე ჰეიმი, რომელიც ნაქარგობის ტექნიკასა და ტექნოლოგიებს შეისწავლის, თავის ერთ-ერთ ნაშრომში ასეთ დასკვნას აკეთებს:

„სიცილიაში აღმოაჩინეს 1181 წელს საქარგავად გამოყენებული ოქრომკედი. საქართველოში 1312 წლის ანჩის ოლარზე გამოყენებულია აგრეთვე ოქრომკედი, მაგრამ აქ (საქართველოში) გვხვდება ძაფი, რომელიც მიიღება ორი სახეობის ძაფის შეგრეხით (იგულისხმება ზეზი). საქმე ეხება მის თავისებურ შეგრეხას. აქ ოქროს თმის ორი მავთული ერთ წვერ აბრეშუმის ძაფთან ისეა შეგრეხილი, რომ მთლად არ ფარავს მას. მე ასეთი ძაფი არ შემხვედრია არც ევროპაში და არც ლიტერატურაში და არც ჩემი პრაქტიკული მოღვაწეობის მანძილზე“ (ი. პეტრა-

შევ ჰეიმი).

ჩვენ მიერ მოქარგულ ხატში ზეზით მოქარგულია სახეები, ხელები და შესამოსლები, ყოვლადწმიდა დედოფლის კაბა და მთავარანგელოზების, მიქაელისა და გაბრიელის კაბები.

საუფლისწულო ბაირადზე წარწერები მოვქარგეთ მე და ჩვენმა სტუდენტმა თა-



საუფლისწულო დროშა

თია ჭელიძემ. ბაირადი შეიკერა ქალბატონ მარინე წიგლაურის კერძო სახელოსნო „შროშანში“. მან შემოწირა, ჩინური, ნატურალური აბრეშუმის, ჩალისფერი ქსოვილი, რომელსაც გვერდებზე ლაჟვარდისფერი აბრეშუმი მოუყვება.

2015 წლის 22 მაისს უწმიდესსა და უწეტარესს ილია II-ს, მის მიერ დაკვეთილი საუფლისწულო დროშა მივართვით. უწმიდესმა მოგვიწონა ნამუშევარი და მქარბელთა ჯგუფი დაგვლოცა.

ღმერთმა ქნას, მალე მართლმადიდებელი, მირონცხებული, მეფე პყოლოდეს საქართველოს, ამინ!

საქ. საპატრ. ხალხური რეწვის განყოფილების ხელმძღვანელი ეთერ უროტაძე



2 აგვისტო. ილიაობა. ყოვლადწმიდა სამების ტაძარი. უწმიდესი და უნეტარესი ილია Ⅱ-ის ლოცვა ილია მართლის ხატთან.

18 ივლისს სამთავროს წმიდა ნინოს დგათა მონასტერს ესტუმრნენ სრულიად ამერიკისა და კანადის მიტროპოლიტი და ვაშინგტონის მთავარეპისკოპოსი ტიხონი და ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტი გერასიმე (შარაშენიძე) და სხვანი. სტუმრებმა ღირსი მამა გაბრიელის, აღმსარებელისა და სალოსის წმიდა ნეშტოან პარაკლისი გადაიხადეს. სტუმრებს მასპინძლობდა მონასტრის სულიერი მოძღვარი, არქიმანდრიტი ლაზარე (გაგნიძე)



დიდმოწამე გიორგის ძვლის ნაწილი გადაიკონის კლოდის (ლოპეს-ჟინისტი) შემოწირულობაა) და ღირსი მამა გაბრიელის ხატი (რომელიც გურამ მღებრიშვილმა დაწერა მიხეილ და ნატალია შლემოვების დაკვეთით).




26 აპრილს სამთავროს წმიდა ნინოს დგათა მონასტერს ესტუმრნენ სრულიად ამერიკისა და კანადის მიტროპოლიტი და ვაშინგტონის მთავარეპისკოპოსი ტიხონი და ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტი გერასიმე (შარაშენიძე) და სხვანი. სტუმრებმა ღირსი მამა გაბრიელის, აღმსარებელისა და სალოსის წმიდა ნეშტოან პარაკლისი გადაიხადეს. სტუმრებს მასპინძლობდა მონასტრის სულიერი მოძღვარი, არქიმანდრიტი ლაზარე (გაგნიძე)



მამა სილოანმა ღირსი გაბრიელის მიერ უკანასკნელ ხანს აღსრულებული რამდენიმე სასწაულის შესახებ გვიამბო: ტაძრის კედლიდან ღირსი გაბრიელის ხატის ჩამოხსნის შემდეგ კედელზე გამოიკვეთა ყაზანის ღვთისმშობლის ხატის კონტური; მსგავსი შემთხვევა განმეორდა მამა სილოანის კელიაში, სადაც ღირსი მამა გაბრიელის ხატმა მირონდენა დაიწყო. მამა სილოანმა კიდევ ერთი შემთხვევა გვიამბო: მან დავრდომილს ღირსი მამა გაბრიელის აღმსარებელისა და სალოსის დაუჯდომელი წაუკითხა, აცხო მირონი, აზიარა ქრისტეს სისხლსა და ხორცს და ავადმყოფი ფეხზე წამოდგა. წმიდა მამა გაბრიელის სასწაულებით განმტკიცებულნი, სიყვარულით და სიხარულით აღსავსენი მადლობდნენ უფალს, ღირს მამას და სამთავროს მონასტერს.

მონასტრის მეურნეობა



ფოტომასალის ავტორი:
მონოზონი ნონა (ჯავაშვილი)

